საქართველოს ცენტრული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84.
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირში დღეს იმართება ავიაქიმის დღე.
- მაროკოში გრძელდება ომი ესპანეთ - საფრანგეთის წინააღმდეგ.
- რემედასმა გერმანიაში ჩაატარა მიტინგები კომუნისტების მოღვაწეობის განთავისუფლებისათვის
- საარის ოლქის სათემო საბჭოების არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები
- ჩინეთის სახალხო არმია დღითი-დღე მტკიცდება.

ოთხშაბათი, 14 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 159 (1704)

დღეს, ოთხშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 7 საათზე შესდგება
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი **თოდრია.**

14 ივლისი

14 ივლისი წითელი საჰაერო ფლოტის, საავიაციო ქიმიურ მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის დღეა.

ეს არის დღე საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა და ყველა საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაციისა, რათა ამ გზით წინ იქნას წაწეული ქვეყნის ტეხნიკურ განვითარების და მისი სამხედრო თავდაცვის საქმე.

მიუხედავათ იმისა, რომ სამშვიდობო შესვენება უკვე რამოდენიმე წელია გრძელდება, მუშათა კლასი და მშრომელთა ფართე მასები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ თავის შრომის სახელმწიფოს დასაცავათ, მათი სიფხიზლე ერთი წუთითაც არ უნდა შესუსტდეს.

მთელს მსოფლიოში, ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სწარმოებს სამხედრო ტეხნიკის შეუჩერებელი განვითარება და მზადება ახალ საშინელ ომებისათვის.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის არსებობა ვერ მოუნელებიათ ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ კლასებს, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონობენ ყველგან, გარდა საბჭოთა კავშირისა.

სამხედრო ტეხნიკის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ავიაციის და ქიმიური მრეწველობის ((მახრჩობელა გაზები და სხვ.) გამოყენება სამხედრო საჭიროებისათვის. საბჭოთა სახელმწიფომ, მუშათა კლასმა და საბჭოთა კავშირის მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ უნდა მოიხმარონ ყოველივე ძალები, რათა საბჭოთა სახელმწიფო გადამჭრელ მომენტში არ დარჩეს უიარაღოთ სამხედრო ტეხნიკის ამ დარგში.

საავიაციო და ქიმიური მრეწველობის განვითარება საჭიროა არა მარტო ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვისათვის, არამედ ქვეყნის სამეურნეო და საწარმოო ძალების განვითარებისათვისაც. მიუხედავათ მეტად ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებისა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად მოიპოება ყოველგვარი ნედლი მასალა ძლიერი ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, უკანასკნელი აქამდის უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგში ჩვენი სახელმწიფო არ არის იმდენად დამოკიდებული საზღვარგარეთიდან, როგორც საავიაციო და ქიმიურ მრეწველობაში. მეურნეობის ამ დარგის განვითარებას წინ ელობება მრავალი დაბრკოლებები, იმიტომ, რომ ის მოითხოვს ისეთ ტეხნიკურ გამოცდილებას, ისეთ მაღალ სამეცნიერო და ტეხნიკურ ცოდნას და მეურნეობის ორგანიზაციას, როგორიც ჩვენ ჯერ არა გვაქვს. ამიტომ ყოველივე მიღწევა საავიაციო და ქიმიურ მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში არის იმავე დროს ჩვენი საერთო ტეხნიკური პროგრესის საუკეთესო დამამტკიცებელი, არის ნამდვილი, რეალური გამარჯვება ჩვენს ჩამორჩენილობაზე, ჩვენს უკულტურობაზე და ამცირებს ჩვენს სამეურნეო დამოკიდებულებას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან.

ავიაციის განვითარება საშუალებას მოგვცემს დავსძლიოთ ჩვენი სახელმწიფოს უსაზღვრო სივრცეები და დაუახლოვოთ დაშორებული განაპირა მხარეები საბჭოთა კავშირის კულტურულ, სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრებს. ქიმიური მრეწველობის განვითარება უდიდეს დახმარებას გაუწევს გლეხობას სასოფლო მეურნეობის განვითარებაში (მიწის ხელოვნური განოყიერება, ბრძოლა მავნებლებთან), უზრუნველყოფს საფეიქრო, შუშეულობის, რეზინის და სხვა მრეწველობის ყველა დარგებს საჭირო დამხმარე მასალებით, რომელნიც აქამდის ჩვენ საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს.

ავიაქიმი ასრულებს მეტად პასუხისმგებელ მუშაობას ფართე მასების ყურადღების მისაპყრობათ ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანების გადაჭრისაკენ, თავისი ორგანიზაციების საშუალებით მოსახლეობის ფართე ფენების ჩასაბმელად ჩვენი საავიაციო და ქიმიურ მრეწველობის აღმშენებლობის საქმეში საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისათვის ხელის შესაწყობათ.

ავიაქიმმა ამ მიმართულებით უკვე მიაღწია პირველ მნიშვნელოვან შედეგებს. ძნელად თუ მოიპოვება კავშირის ტერიტორიაზე ისეთი კუთხეები, სადაც არ იცნობდენ ავიაქიმს და მის ამოცანებს.

14 ივლისის დღემ ხელი უნდა შეუწყოს ავიაქიმის წევრთა რაოდენობის გადიდებას, მისი ორგანიზაციების ძალის და აქტივის განმტკიცებას და მისდამი მშრომელთა ფართე მასების თანაგრძნობის და ყურადღების გაძლიერებას.

ა. რიკოვი.

მზადება ახალი მგზავრობისათვის

(„პრავდას“ მოწინავე)

უკანასკნელ ხანებში თეთრ-გვარდიელთა პრესაში ახალი ჰანგები ისმის. ისინი, საბჭოთა ხელისუფლების, როგორც „სახელმწიფო მთლიანობის“ განმტკიცების ფაქტის აღიარებაზე არ ჩერდებიან. ამჟამად მათ წინაშე პირველ რიგში სდგას ჩვენი სამეურნეო მიღწევანი და სამეურნეო აღმშენებლობის ზრდა.

უკანასკნელმა ფაქტმა, რომელიც პროლეტარული ხელისუფლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას გამოხატავს თავისებური გარდატეხა გამოიწვია რუსეთის ბურჟუაზიის მებრძოლი ნაწილის განწყობილებასა და ტაქტიკაში. დღემდე მათი ლეიტ-მოტივი იყო: ბოლშევიკები პოლიტიკურად და სახელმწიფო აღმშენებლობის მხრივ წელში გაიმართენ, მაგრამ სამეურნეო დარგში კისერს მოიტეხენ. აქედან გამომდინარეობდა თეთრ-გვარდიელთა პრესის პირდაპირი დირექტივა: დაასაბუთე ბოლშევიზმის სამეურნეო გაკოტრება.

მაგრამ ეს დირექტივა სავსებით განადგურდა რეალურ სინამდვილესთან და სამეურნეო მიღწევათა ცოცხალ ციფრებთან დაპირისპირების დროს. ემიგრაციის თანაგრძნობი ნეპმანებისა და კულაკების წრის ელემენტები შეღაღადებდენ: ნუ ხართ სასაცილონი, ნუ უარჰყოთ იმ ფაქტებს, რომელიც საბჭოთა მოსახლეობის მილიონ ადამიანებისათვის არის ცნობილი. გარემოებამ მოითხოვა ემიგრაციის მეთაურთაგან იერიშების ფრონტის გამოცვლა.

შეცვლილი კურსის გამომხატველად გამოვიდა უცვლელი მილიუკოვი.

რაღაც „რდო“-ს (რესპუბლიკანურ-დემოკრატიული გაერთიანება) მიერ 27 ივნისს გამართულ ბანკეტზე, ამ „რდო“-ს ორი წლის თავის გამო, მილიუკოვმა წარმოსთქვა „საპროგრამო“ სიტყვა.

სიტყვის დედა აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ „რუსეთი ცოცხალია და მასში აღორძინების მძლავრი პროცესი სწარმოებს“. მილიუკოვის ამგვარი ეპიტეტები ეუცხოება ყურთა სმენას, იმიტომ, რომ არავის არ უყეფია ჩვენი სამეურნეო უსუსურების შესახებ, იმდენი, რამდენსაც ის ჰყეფდა.

„აღორძინების მძლავრი პროცესის“ აღიარებით მილიუკოვმა საკუთარი ხელით გაამათრახა თავიც და თანამოაზრეებიც.

ეჭვს გარეშეა, რომ საერთაშორისო მდგომარეობამ ბევრი შხამი ჩააწვეთა თეთრგვარდიელთა სულიერ განწყობილებაში და აიძულა ისინი დაენახათ არასასიამოვნო ჭეშმარიტება. ინგლისის გაფიცვის გაფართოებამ გააფთრა მილიუკოვი, სტრუვე და კომპანია. ევროპის კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეში თვით ასეთი გაფიცვის შესაძლებლობას სტრუვე, მაგალითად, სთვლიდა კომუნისტური სტიქიის გამარჯვებათ, თეთრგვარდიელთა მთელი ხროვა რეაქციონურ პრესასთან ერთად თავს დაესხა ინგლისის პროლეტარიატს.

საყოველთაო გაფიცვის დასრულების შემდეგ მათ თავისი იმედები ინგლის-რუსეთის დამოკიდებულების გართულებაზე დაამყარეს.

ემიგრაციას არა სურს შეურიგდეს ინგლისის რეაქციის ტაქტიკასაც კი, რომელიც მას ეჩვენება „მეტად ნელ ტაქტიკად“. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული გააფთრებული კამპანიაც კი, რომელსაც ინგლისის კონსერვატორული პრესა აწარმოებს, არ „ამშვიდებს“ საკმაოდ სასოწარკვეთილ პოლიტიკოსებს.

მაგრამ თეთრ-გვარდიელები მაინც არა ფიქრობენ იარაღის დაყრას. ემორჩილებიან რა საერთაშორისო ბურჟუაზიის ისინი ყოველთვის მზად არიან გააძლიერონ შეტევა კომუნისტური სიმაგრეების წინააღმდეგ.

მილიუკოვი ქადაგებს „შეურიგებლობას“. შეტევითა და შუბლის დაჯახებით არ შეიძლება სიმაგრის აღება, მაშასადამე საჭიროა ჩუმი, ქვეშ-ქვეშა ტაქტიკის წარმოება. მილიუკოვი განმარტავს „შეურიგებლობის“ ახალ აზრსა და მნიშვნელობას.

„ჩვენი ტაქტიკა, ამბობს იგი, გზას უხსნის ცხოვრების ზეგავლენის ახალ ფაქტებს და სულ ახალ-ახალ რთულ ამოცანებს ისახავს მიზნად. ასეთია მაგალითად მომზადებიდან, პერიოდიდან მიმდინარე პრაქტიკულ საქმიანობისაკენ გადასვლის ამოცანა“.

რა ადგილისაკენ მიმართავენ ახალი, უფრო რთული „პრაქტიკული ამოცანების“ ხაზით წარმოებულს იერიშებს? მილიუკოვის პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: მთელი ჩვენი იმედები დამყარებულია იმ პროცესებზე, რომლებიც თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით ხდება“.

მილიუკოვი ემიჯნება „სუსტნებისუყოფიანებს“. მის წინადადებას იძლევა შედგენილ იქნას ცენტრალიზაცია ქმნილი ორგანიზაცია მტკიცე შტაბით.

აი მოკლედ რუსული ფაშიზმის ახალი ორგანიზაციული საფუძვლები:

„წევრებს უნდა დაეკისროს მორჩილება „კარგად მოწყობილ ცენტრალურ უჯრედისადმი“ და „მის წრეში“ არ უნდა იქნენ დაშვებული პრინციპიალური ხაზით მერყევი მეზობლები.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მტერი ახდენს თავისი ძალების აშკარა გადაჯგუფებას „ქვეყნის შიგნით არსებულ პროცესების“, ე. ი. ჩვენი სამეურნეო ზრდის წინააღმდეგობათა იმედი. ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების აშკარა ცდას, ახალ, საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებულ პირობებთან შეფარდებით.

არ გვგონია, რომ მილიუკოვის ცდა ვინმეს შეაშინებს. ორგანიზაციამ, რომლის სახელითაც ის ლაპარაკობდა, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. თვით მილიუკოვის სიტყვით, ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ „მზადებაა მგზავრობისათვის“.

ორგანიზაციის ზრდა, რომელიც მხოლოდ ერთი წელია, რაც არსებობს, უკვე „დროებით შეჩერებულია“. მათ ძალები ემატებოდათ მხოლოდ მემარჯვენე ბანაკს ჩამოცილებულ ელემენტებისაგან, ე. ი. ემატებოდენ კიდევ უფრო მეტად რეაქციონურ მიმდინარეობის წარმომადგენლები.

ბურჟუაზიის შემოტევაზე გადმოსვლის ახალი ცდები, ისევე, როგორც წინად, ეხლაც დაიმსხვრევა ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მთლიანობასა და სიმტკიცეზე.

მაგრამ ჩვენ უფრო მჭიდროდ უნდა დავრაზმოთ ჩვენი რიგები, რომ დაუკარგოთ მტრებს ახალი „მგზავრობისათვის მზადების“ ხალისი და არ მივსცეთ საშუალება, რომ ისინი დაუკავშირდენ ნეპმანებისა და კულაკების წრის მონათესავე ელემენტებს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 13 ივლისი.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ვალების შესახებ

ფრანკის კურსი კატასტროფიულად ეცემა

პარიზში ფიქრობენ, რომ ფრანკის კურსს ხელოვნურად სცემს ამერიკა

ინგლისის პოლიცია თვალყურს ადევნებს კუკს; განზრახულია მისი დატუსაღება

საფრანგეთი კატასტროფის წინ

კაიოს გასტროლები

პარიზი, 13 ივლისი. კაიომ, რომელმაც 18 საათი დაჰყო ლონდონში, ჰაეროპლანით დაბრუნდა პარიზში.

გუშინ ჩერჩილთან თათბირის დროს, კაიომ უარი სთქვა შეთანხმების პირობების დაწვრილებით განხილვაზე, მაგრამ სრული კმაყოფილება გამოსთქვა შეთანხმების მიღწევის გამო და განაცხადა, რომ ნასიამოვნებია იმ „სულგრძელობით და სინდისიერებით“, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა გამოიჩინა „თავისი ყოფილი თანამებრძოლისადმი“.

ინგლისის გაზეთების აზრით, დღეს, საღამოს, როცა გამოქვეყნდება შეთანხმების ტექსტი. გამოირკვევა ის, თუ როგორ ახალ დათმობებზე წავიდა საფრანგეთი. ლონდონში საერთოდ ძალიან კმაყოფილი არიან იმ გარემოების, რომ 7 წლის შემდეგ მოკავშირეთა ვალების საკითხი უკვე აღარ წარმოადგენს განხეთქილების საგანს. ეს შეთანხმება სპობს უკანასკნელ უდიდეს უთანხმოებას სამხედრო ვალების შესახებ.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ გუშინდელი შეთანხმების ძალით **ვალის ანგარიშში შესატან წლიურ თანხად ნომინალურად დატოვებულია 12,5 მილ. გირ. სტერლინგი. ვალის საერთო ჯამი 31 მარტისათვის გამოანგარიშებულია 647.106.000 გირ. სტერლინგის რაოდენობით. მოსალოდნელია, რომ ეს თანხა დაფარულ იქნეს რომელიმე წელიწადში 1930 წლამდე.**

თავის სიტყვაში ბიუჯეტის შესახებ **ჩერჩილმა** განაცხადა, რომ ყოფილი ფინანსთა მინისტრი პერე თავის დროზე თანხმა იყო გადაეხადა 4 მილ. გირ. სტერლინგი მიმდინარე წელს. „ტაიმს“ გამორკვეულად მიაჩნია, რომ გადახდა უნდა დაიწყოს ამ თანხით და შემდეგში აყვანილ იქნეს 12,5 მილ. გირ. სტერლინგამდე ისე, რომ შემდეგ წლების განმავლობაში წლიური გადასახადი ამ უკანასკნელი თანხით განისაზღვროს.

მთავარ ინტერესს იწვევს მიღებული ფორმულა, რომელიც სპობს საფრანგეთის პირველ დავას იმის გამო, რომ შარშანდელ წინასწარ შეთანხმებაში არ იყო მუხლი გარანტიების შესახებ.

შეთანხმების შინაარსი

პარიზი, 13 ივლისი. „მატენ“ იტყობინება, რომ ვალების შესახებ მიღწეული შეთანხმების უმთავრესი პირობები გულისხმობენ: **ვალის შემცირებას 60 პროცენტით, მისი გადახდის დაყოფას 62 ნაწილად, თვითეულის 12½ მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით, ნაწილობრივ მარატორიუმს 5 წლით დამატებით მუხლებს გარანტიების და უზრუნველყოფათა (დამახინჯებულია) შესახებ.**

კაიო დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში თავის მოხსენებით გამოვა პარასკევს.

ფრანკი ეცემა

პარიზი, 13 ივლისი. ფრანკი გუშინ უეცრად დაეცა. გირვანქა სტერლინგი ღირდა 202 ფრანკი.

ამერიკის კარნახით

პარიზი, 13 ივლისი. ფრანკის დაცემას უმთავრესად ხსნიან უოლ-სტრიტის პოლიტიკით; უოლ-სტრიტი (ნიუ-იორკის ფინანსიური რაიონი) უკმაყოფილოა მით, რომ საფრანგეთი მოითხოვს ამერიკისადმი დავალიანების მოწესრიგების შესახებ დადებულ ვაშინგტონის შეთანხმების გადათვალიერებას. მაშინ, როცა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს საფრანგეთის ყველა ვალების კონსოლიდაციას ინგლისის მიმართ, ამერიკისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა იმიტომ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მევახშურ პროცენტებს მოითხოვს იმ სამხედრო და ფინანსიურ დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია საფრანგეთს მსოფლიო ომის დროს.

საფინანსო დიქტატურის წინააღმდეგ

პარიზი, 12 ივლისი. **პარიზში გაიმართა 40 ათასი კაცისაგან შემდგარი მანიფესტაცია ექსპერტების კომიტეტის მიერ წარმოდგენილ საფინანსო დიქტატურის გეგმის წინააღმდეგ. მანიფესტაცია მოწყობილ იქნა კომპარტიის, შრომის უნიტარულ კონფედერაციის, კომკავშირის და ომის ყოფილ მონაწილეთა რევოლიუციონურ ასოციაციის მიერ.** უკანასკნელი ორგანიზაციის რაზმები წეს-რიგს იცავდენ მსვლელობის დროს.

ორატორების სიტყვების დროს გაისმოდა ინტერნაციონალის სიმღერა და ხმები **„გაუმარჯოს საბჭოებს“.**

მანიფესტაციიდან დაბრუნებულ ერთ ჯგუფსა და პოლიციის რაზმს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს დაიჭირა 10-მდე დემონსტრანტი.

„ჯავშნოსანი პატიომკინი“

ბერლინი, 12 ივლისი. ბავარიის, ვიურტემბერგის, ტიურინგიის და გესენის მოთხოვნით, გერმანიის **კინო-ცენზურის სამმართველომ აკრძალა მთელ გერმანიაში კინო - სურათის „ჯავშნოსანი პატიომკინი“-ს ჩვენება.**

ვრანგელის გასტროლები

ვენა, 13 ივლისი. ბულგარეთის გაზეთის „პოლიტიკის“ ცნობით ვრანგელი სტოვებს სამხრეთ-სლავიას და ბელგიაში გადასახლდება. ამასთანავე იუწყებიან, ვითომც ვრანგელის სამხრეთ-სლავიის ორგანიზაცია იშლება.

ინგლისის პოლიცია „სადარაჯოზე“

კუკი მეთვალყურეობის ქვეშ

ლონდონი, 12 ივლისი. ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „სენდეი უორკერ“ ამტკიცებს, რომ პოლიციის საიდუმლო აგენტები თვალყურს ადევნებენ კუკს.

შინაგან საქმეთა მინისტრს ხიკსს განზრახული ჰქონდა კუკის დაპატიმრება, მაგრამ კაბინეტის დანარჩენმა წევრებმა ურჩიეს მას ჯერ არ გადადგას ასეთი ნაბიჯი.

რეაქციონური **„დეილი მეილ“** მოწინავე წერილში სწერს, რომ თუ დამტკიცდა, რომ კუკი მოღალატურ მიწერ-მოწერას აწარმოებს ჩვენი ქვეყნის მტრებთან, შინაგან საქმეთა მინისტრი არ დააყოვნებს მის დაპატიმრებას.

კუკის განცხადება

ლონდონი, 12 ივლისი. **კუკმა** ერთ-ერთ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნება სამთამადნო მუშების სადელეგატო კონფერენცია. ჯერ არ არის გამორკვეული რა საკითხები გაირჩევა ამ კონფერენციაზე.

ბურჟუაზიულ პრესას კუკის განცხადებიდან გამოჰყავს დასკვნა, რომ სამთამადნო მუშების ბელადებს უნდათ მიიღონ სამთამადნო მუშათა მასებისაგან დახმარება და მათი პოლიციისადმი ნდობის გამოცხადება.

„ბოლდუინ-ლიმიტეტ“

ლონდონი, 12 ივლისი. ლენსბერის რედაქტორობით გამოსულ ყოველკვირეულ ჟურნალის 8 ივლისის ნომერში მოთავსებულია შენიშვნა შემდეგი სათაურით: „ბოლდუინები წარმოადგენენ ბედნიერ ოჯახს სარკინისგზო ქარხნების და ქვანახშირის მაღაროების მეპატრონეებისას, რომელნიც ცდილობენ სამთამადნო მუშების სამუშაო ხელფასის შემცირებას“. შენიშვნაში ნათქვამია, რომ **კამპანია „ბოლდუინ-ლიმიტეტ“-ს ეკუთვნის ოთხი სანახშირო წარმოება.**

შემდეგ ჩამოთვლილია 19 პირი (ორივე სქესის), რომელნიც ბოლდუინის გვარს ატარებენ; აგრეთვე ჩამოთვლილია რაოდენობა ჩვეულებრივ და უპირატესობის მქონე აქციების, რომელიც მათ აქვთ. შემდეგ სიტყვების პირდაპირ: „პატივცემული სტენლი ბოლდუინი, პარლამენტის წევრი“, სწერია—„ჩვეულებრივი აქცია 194,526, უპირატესობის მქონე—37,591“.

კაპიტალისტი-მინისტრები

ლონდონი, 12 ივლისი. მუშათა პარტიის წევრმა ჰენდერსონმა თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომ დაარსდეს საგანგებო საარჩევნო კომიტეტი, რომელიც გამოიკვლევს საკითხს ინგლისის კაბინეტის იმ მინისტრების შესახებ, რომლებიც აქციონერებად ითვლებიან ისეთ სამრეწველო წარმოებებში, რომლებიც ხელშეკრულებითი ურთიერთობაში იმყოფებიან მთავრობასთან. რეზოლიუცია ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქნა.

ბირკენხედი არ ისვენებს

ლონდონი, 12 ივლისი. დიპლომატიური კორესპონდენტი მუშათა პარტიის ორგანოში **„დეილი ჰერალდში“** აღნიშნავს, რომ როდესაც ამას წინედ გავრცელდა ხმები ინდოეთის საქმეთა მინისტრის ბირკენხედის განზრახვის შესახებ, რომ მას სურს თავისი გავლენა გამოიყენოს ინგლის-ინდოეთის მთავრობაზე ანტი-საბჭოთა ინსცენიროვკის მოწყობის მიზნით, არავინ არ ელოდა, რომ ეს ხმები ასე მალე გამართლდებოდა. თუმცა ბირკენხედმა უკვე დაიწყო კამპანია ამერიკის პრესაში იმისათვის, რომ ინგლის-ინდოეთის მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე „გამორკვეულ იქმნას კავშირი საბჭოთა საქმიანობისა და ინგლისის აღმოსავლეთის სამფლობელოში რევოლიუციონურ მოძრობის შორის“.

„ინგლისი კვლავ სდგას თავისი საგარეო პოლიტიკის იმ ძირითადი საკითხის წინაშე, რომელიც მთელის თავისის სიმწვავით გამოაშკარავდა 50 წლის წინედ“.

კორესპონდენტი იგონებს, რომ 50 წლის წინედ მოხდა ინგლის-ავღანისტანის მეორე ომი.

შიშს დიდი თვალები აქვს

ლონდონი, 12 ივლისი. ინგლისის თემთა პალატაში ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგს შეკითხვა მისცეს: მიაქცია თუ არა სამინისტრომ ყურადღება ინდოეთში არსებულ ინგლისის ჯარების შტაბის სამხედრო სამმართველოს უფროსის მიერ კალკუტაში გამოქვეყნებულ განცხადების იმ საფრთხის შესახებ, რომელიც იქმნება ინდოეთის მშვიდობიანობისათვის „ავღანისტანში ბოლშევიკების მოქმედების“ გამო. განცხადებაში აღნიშნულია: „ავღანისტანის სამხედრო- საავიაციო ნაწილებში რუსი პილოტები და მექანიკები მსახურობენ“. საბჭოთა კავშირის დახმარებით ავღანისტანში ეწყობა ახალი ველოდრომები, გაჰყავთ ახალი სამხედრო რკინისგზები. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგს მისცეს შეკითხვა, რა ზომები მიიღო ამ ცნობის გამო ინგლის-ინდოეთის მთავრობამ. მინისტრის ამხანაგმა უპასუხა, რომ პრესაში გამოქვეყნებული განცხადების შესახებ მან არაფერი არ იცის. ინდოეთის საქმეთა მინისტრი **ლორდი ბირკენხედი** ახდენს ძიებას: ვისი რწმუნებით იყო გაკეთებული ასეთი განცხადება. მდგომარეობა ავღანისტანში,—დასძინა მინისტრის ამხანაგმა,—ჩვენი დაკვირვებითი თვალყურის დევნების საგანს წარმოადგენს.

კომუნისტების გამარჯვება გერმანიის მელითონეთა კავშირში

(წერილი გერმანიიდან)

ბერლინის დელეგატების არჩევნები გერმანიის მელითონეთა კავშირის ყრილობისთვის, რომელიც 2 აგვისტოს შესდგება ბრემენში, ოპოზიციის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. იმისდამიუხედევად, რომ პროფკავშირების ადგილობრივი ორგანიზაციისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთელი აპარატი ამსტერდამელებს ეხმარებოდა. ოპოზიციის სიამ გაიმარჯვა 3400 ხმის უმრავლესობით და ამრიგად ყრილობაზე 13 ოპოზიციონერი დელეგატი იგზავნება. ამსტერდამელებს ყრილობაზე არცერთი წარმომადგენელი არ ეყოლებათ. ოპოზიციის სიამ 13625 ხმა მიიღო, ამსტერდამელებისამ 10195 ხმა. წევრების საერთო რიცხვი 61500 უდრის, ამათგან არჩევნებში 39 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. 1925 წლის არჩევნების შემდეგ მონაწილეობამ 19 პროცენტით მოიმატა. ამ ერთი წლის წინათ ამსტერდამელებმა 7866 ხმა მიიღეს, ოპოზიციამ 6884 ხმა. მაშასადამე უკანასკნელი არჩევნები სასიხარულო მოვლენაა იმ მხრივაც, რომ ის ამტკიცებს მელითონეთა აქტივობის ზრდას და დაინტერესებას კავშირის ცხოვრებაში.

ამსტერდამის ადგილობრივმა გამგეობამ ერთხელ უკვე იგემა ამგვარი დამარცხება. 1923 წლის ივლისში, როცა არჩევნებში წევრების 50 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, ამსტერდამელებმა 22 ათასი ხმა მიიღეს, ხოლო ოპოზიციამ 34 ათასი. უყურადღებობამ წევრების ნებისყოფისადმი, პროფკავშირების გამცემლურმა პოლიტიკამ ინფლიაციის დროს, ხელფასისთვის ბრძოლის უარყოფამ, ღალატმა გაფიცვებისა და ოქტომბრის ბრძოლის დროს, რვა საათის სამუშაო დღის დათმობამ ბელადების მიერ გამოიწვიეს მასიური ლტოლვა პროფკავშირებიდან, რომელიც ბერლინის მელითონეთა ორგანიზაციასაც დაეტყო. ბერლინის განყოფილება 1921 წელს 170.000 წევრს შეიცავდა, ხოლო 1925 წელს მხოლოდ 62349 წევრს, ე. ი. ამ დროს უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე 1913 წელს, როცა ის 88000 წევრს შეიცავდა.

მელითონეთა კავშირიდან გამოსულ მუშებს შორის უეჭველად ბევრი ნაღდი რევოლიუციონერი ელემენტი იყო, რომელმაც ამსტერდამელების უსაზღვრო ღალატის შთაბეჭდილების ქვეშ ყოველგვარი ნდობა დაჰკარგა ნაყოფიერი პროფკავშირული მუშაობისადმი. ამიტომ არჩევნების შედეგი იმ მხრივაც უნდა დაფასდეს, რომ გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ხანგრძლივი და რთული კამათი პროფკავშირების საკითხის შესახებ წარმატებულად დასძლია. პირველი დიდი ნაყოფი გამოიღო ლოზუნგმა: „75 პროცენტი პარტიული მუშაობისა პროფკავშირული მუშაობააო“.

მაგრამ ჩვენი გამარჯვება გერმანიის პროფმოძრაობის მთავარ ცენტრში მხოლოდ დასაწყისია მომავალი წინსვლისა. უცილობელია, რომ ამსტერდამელები ჩაებღაუჭებიან თავიანთ პოსტებს. ამიტომ ოპოზიციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავგანწირულმა ჯგუფმა ყოველდღიური ბრძოლა აწარმოვოს თვითეული, გარეგნულად უმნიშვნელო ადგილისთვის. თუ ბერლინის ორგანიზაციაში რეფორმისტები დღემდე ასე ძლიერნი არიან, ეს უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ერთი მხრით მმართველობის აპარატი უპყრიათ და მეორე მხრით უსინდისოთ იყენებენ კავშირის წესდებას. მაგრამ ოპოზიცია არაფერს არ დაზოგავს, რომ ყოველგვარი ოინბაზობა და წინააღმდეგობა გადალახოს და პროფკავშირული აპარატი სავსებით ხელში ჩაიგდოს. ბერლინში დაახლოვებით 250 ათასი მელითონე კაცი და ქალი მუშაობს. ოპოზიცია მიზნად ისახავს, რომ მთელი ეს მასა შეაკავშიროს და მელითონეთა ორგანიზაციიდან ერთი ფოლადისებურად მტკიცე, კლასობრივად შეგნებული რაზმი შექმნას გათავხედებული მრეწველების წინააღმდეგ.

ბერლინის მაგალითი სანიმუშოდ უნდა გამოვიყენოთ მთელი ჩვენი მუშაობისთვის სახელმწიფოში. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრები, როგორიცაა შტუტგარტი, ზოლინგენი, ჰანაუ, ესენე პლაუენი, ჰალლე და სხვ. მაგრამ რეფორმისტებს ჯერ კიდევ ბევრი ციხე-სიმაგრე უჭირავთ სახელმწიფოში. საჭიროა მათი დაპყრობაც. მელითონეთა პროფკავშირის გამგეობა შეეცადა დემაგოგიური საარჩევნო გეომეტრიის შემწეობით ძალა-უფლება შეენარჩუნებინა. მაგრამ მნიშვნელობა აქვს არა მარტო მანდატებს, არამედ ოპოზიციისთვის მიცემულ ხმებსაც. ეს ხმები კი, განსაკუთრებით ლეიპციგსა, დრეზდენსა, ხემნიცსა, რურის ოლქებსა და ტიურინგიის ქალაქებში, ამტკიცებენ, რომ ჩვენ აქაც ჩქარის ნაბიჯით წინ მივდივართ. ჩვენი პარტიის გამარჯვებას ბერლინში და საერთო წარმატებას მთელს სახელმწიფოში დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროფკავშირული მთლიანობის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ოპოზიციამ თავგამოდებული ბრძოლა აწარმოვა საბჭოთა რესპუბლიკების მელითონეთა კავშირის მისაღებათ ბერნის საერთაშორისო მელითონეთა გაერთიანებაში და ოფიციალური პროფდელეგაციის გასაგზავნად საბჭოთა კავშირში. ამ ბრძოლის განგრძობა, რომელიც მიზანშეწონილად სცდილობს, რომ დიდი მემარცხენე ბლოკი შექმნას მუშათა მოძრაობაში, კვლავაც ოპოზიციონერ მელითონეთა ამოცანად დარჩება.

ერიხ ბენჩ.

ბერლინი, 2 ივლისი.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

მიზნობრივი ანაბარები

როგორც ვიცით, ჩვენი საკრედიტო კოოპერაცია უმთავრესად სახელმწიფო საშუალებებით იკვებება. მან კიდევ ვერ მოახერხა ანაბარების სახით მოსახლეობის თავისუფალი თანხების ცოტად თუ ბევრად საგრძნობი რაოდენობით მიზიდვა. საკრედიტო ამხანაგობათა ბალანსებში ანაბარებს ერთი უკანასკნელი ადგილთაგანი უკავიათ, მაშინ როცა გლეხობას, საერთოდ საკმაო თავისუფალი ფულები მოეპოვება. სხვათა შორის, აიხსნება ეს იმით, რომ ჩვენ უფრო ბევრს ვმსჯელობთ საანაბარო ოპერაციების მნიშვნელობაზე, ვინემ ვეძებთ პრაქტიკულ გზებს ანაბარების გასადიდებლად. ერთ ასეთ გზად უნდა ჩაითვალოს ანაბარების მიზიდვა განსაზღვრული მიზნისათვის. **„კოოპერატივნაია ჟიზნ“** შემდეგსა სწერს ანაბარების ამ ფორმის შესახებ:

„ანაბარების მიზნები, რომლებითაც შეიძლება მოსახლეობის დაინტერესება, საკმაოდ მრავალნაირია. ავიღოთ თუ გინდ მანქანებსა და იარაღებზე გლეხურ მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგი. საშუალებათა თანდათანი დაგროვება ანაბარის სახით ამა თუ იმ მეურნეობის საჭირო მანქანისათვის წარმოადგენს უფრო დამარწმუნებელ ფორმას, ვინემ ანაბარის სასარგებლოდ აგიტაცია საერთოდ. ისეთი სამ. მოთხოვნილებანი, როგორც შენობის აგება, საქონლის ყიდვა და სხ., ადვილად თავსდებიან თავის საკრედიტო კოოპერატივში ანაბარის თანდათანი დაგროვებას ფორმებში და, თვით კოოპერატივისათვის მნიშვნელობის გარდა, ეს, ეჭვს გარეშეა, ხელსაყრელ პირობებს ქმნის გლეხურ მეურნეობის მიერ სამეურნეო საჭიროებისათვის აუცილებელ საშუალებათა სწრაფი დაგროვებისათვის.

აგრეთვე უდავოა, რომ მიზნობრივი ანაბარის ფორმა, რამდენადაც ის უფრო სარფიანია მისი შემტანისათვის, უფრო ადვილად შეიძლება შეთვისებულ იქნეს ფართე გლეხურ მასების მიერ. მიზნობრივი ანაბარი უნდა დაუპირდაპირდეს კერძო მეურნეობის ქისაში დაგროვების მეტად არა საიმედო ფორმას, როცა შემონახული ფული ადვილად იხარჯება და მოგებას არ იძლევა. ანაბარი დაგროვებას უზრუნველყოფს არადანიშნულების მიხედვით და დახარჯვისაგან და ამასთან პროცენტების სახით მოგებასაც იძლევა. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებასაც, გლეხურ მასაში ჯერ კიდევ არსებული მისწრაფება დაგროვების დამალვისაკენ, რომ არ გამოაჩინოს თავისი შეძლებულობა, ძალიან შესუსტდება: მიზნობრივი ანაბარების შეტანა ზედმეტ საშუალებათა ძალას კი არ ნიშნავს საერთოდ, არამედ თანხების დროულ შემონახვას მეურნეობის საპიროებათა დასაკმაყოფილებლად“.

ეს მოსაზრებები მეტად საგულისხმოა და ანგარიშ გასაწევი. მიზნობრივი ანაბარების ფორმა გასაგებია გლეხობისათვის და ამ გზით წარმატებით შეიძლება გლეხობის თანხების მიზიდვა კოოპერაციაში. საჭიროა ამ მხრივ უკანასკნელმა გადასდგას სათანადო ნაბიჯები. ამასთან, მიზნობრივი ანაბარების ფორმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ საკრედიტო ამხანაგობა საჭიროების დროს გაიღებს კრედიტს მიზნობრივი ანაბარის შესავსებად და გლეხის იმ სამეურნეო მოთხოვნილების დაკმაყოფილების დასამყარებლად, რომლისათვის ეს ანაბარი შეტანილია. საერთოდ, ვიმეორებთ, დროა ანაბარების მნიშვნელობის შესახებ ზოგადი ხასიათის აგიტაციიდან გადავიდეთ იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელნიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საშუალებათა მიზიდვას კოოპერაციაში.

უცხოეთის პრესა

ლონდონი და მოსკოვი

გერმანელ მენშევიკების გაზეთში „ფორვერტს“-ში მოთავსებულია ამ გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტის წერილი, რომელიც შეეხება საბჭოთა პროფკავშირების მიერ ინგლისში ფულების გაგზავნას გაფიცულ მაღაროს მუშების დასახმარებლად და იმ ხმაურობას, რომელიც ამის გამო ასტეხეს პრესაში და პარლამენტში ინგლისის კონსერვატორებმა და მათმა მთავრობამ. ამასთან კორესპონდენტი (რომლის კორესპონდენციას მეთაური წერილის ადგილს უთმობს „ფორვერტს“-ის რედაქცია) წარმოსთქვამს ისეთ აზრებს, რომელიც უფრო შეეფერება გამოყეყეჩებულ მენშევიკს ე. ი. ისეთს, რომელმაც კარგი ხანია გაინთავისუფლა თავი კლასიური თვალსაზრისის „სიმძიმისაგან“ და მჩატედ დარიკინებს ურთულესი საკითხების ლაბირინთში. თვით განსაჯეთ, როგორი „მარგალიტებით“ უმასპინძლდება „ფორვერტს“-ის ლონდონელი თანამშრომელი თავის გერმანელ მკითხველებს. მოუთხრობს რა მათ საბჭოთა კავშირების მიერ ფულების გადაგზავნის ამბავს და ბურჟუაზიის დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი, ის სწერს:

„ამ ფულის გაგზავნამ, თავისთავად ცხადია, აღაშფოთა მთავრობა და საზოგადოებრივი აზრი. ვიდრე რომელიმე სხვა ევროპიული ქვეყნის ბურჟუაზია, ინგლისის ბურჟუაზია, თავისი **ეროვნული მედიდურობის გამო, უფრო უკადრისობს უცხოელების მიერ ინგლისელ მოქალაქეების ფულად დახმარებას**“.

აი სიბრძნე!

შეხედეთ, მოისმინეთ და ისიამოვნეთ მით!

რუსეთისა და მთელი საბჭოთა კავშირის მუშებმა, კლასიური სოლიდარობით, დახმარება აღმოუჩინოს გაფიცულ მემაღაროებს, რომლებიც ებრძვიან მაღაროს პატრონებს და მთელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, აწარმოებენ კლასიურ, პოლიტიკურ ბრძოლას. ინგლისის ბურჟუაზია ხედავს ამ ფაქტში იმას, რაც უნდა დაინახოს **შეგნებულმა ბურჟუამ ე. ი. პროლეტარიატის კლასიური სოლიდარობის მაგალითს,** რასაც, საბოლოო ანგარიშით, ამ ბურჟუაზიის დაღუპვა შეუძლია. ამიტომ ახმაურდა ის, ახმაურდა პრესა, ახმაურდა მთავრობა, საბჭოთა კავშირისა და მისი მშრომელების წინააღმდეგ. აქ **კლასი** ხედავს მოპირდაპირე **კლასის კლასიურ** საქმეს და იბრძვის მის წინააღმდეგ, როგორც უნდა იბრძოლოს პროლეტარიატის შეგნებულმა მტერმა. რა მოსატანია აქ უმსგავსო აბდაუბდა ინგლისის ბურჟუაზიის სპეციფიურ „ეროვნულ მედიდურობაზე“ ან და კიდევ იმაზე, რომ ის უკადრისობს „უცხოელების მიერ“ (ეს „უცხოელებია“ ჩვენი კავშირის მუშები) ინგლისის მოქალაქეების (ესენი არიან გაფიცული მემაღაროები) ფულად დახმარებას. აი თურმე როგორი ქერისუფალი გაჩენია ინგლისის მუშებს ჩვენი კავშირის მუშებისაგან დასაცავად.

ამას სწერს მენშევიკური გაზეთი.

შემდეგ კორესპონდენტი, რომელიც, როგორც ეტყობა, კარგად იცნობს მმართველი წრეების „შინაურ“ საქმეებს, ეხება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის საკითხს ინგლისის მთავრობის ცნობილ ნოტასთან და ანტისაბჭოთა კამპანიასთან დაკავშირებით. ის სწერს:

„მთავრობის პოზიცია ამ საკითხში იმის მაჩვენებელია, რომ ძლეულია ყოველგვარი დაბრკოლება მოსკოვის მიმართ უფრო რეალისტური (ვინემ წინედ) პოლიტიკის საწარმოებლად. რადგან არასოდეს არ ყოფილა გარეგნულად მაინც ასეთი ხელსაყრელი პირობები მოსკოვთან ურთიერთობის შესაწყვეტად, როგორც ახლა. არასოდეს არ ყოფილა ასე დიდი იმის შანსები, რომ საზოგადოებრივი აზრი დაერწმუნებიათ ამ ურთიერთობის შეწყვეტის აუცილებლობაში, როგორც იყო ამჟამად ფულების გარშემო ატეხილი განგაშის გამო. და, თუ მიუხედავათ ამისა, ეს ნაბიჯი არ გადადგეს ხელმძღვანელმა წრეებმა,—ჩვენ შეგვიძლია ერთნაირი დარწმუნებით ვაღიაროთ, რომ ამ ურთიერთობის შეწყვეტა მომავალში სრულიად არ არის მოსალოდნელი“.

გერმანელი მენშევიკი აქვე იმასაც დასძენს, რომ

„თანდათან მატულობს იმათი ხმა-თვით კონსერვატიულ ბანაკშიც—რომლებიც გამოდიან საბჭოთა რუსეთთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ და ამას ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ნორმალური ურთიერთობის დროს უფრო არ არის მოსალოდნელი ბოლშევიკების აგიტაცია ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც, ასეთი ასვრილი მდგომარეობის პირობებში, როგორც შეიქმნა უკანასკნელ ხანებში, უფრო შეუზღუდველია ამ აგიტაციის შესაძლებლობანი მესამე ინტერნაციონალის მხრივ“.

ჩვენ ვიცით, რომ ის რასაც კონსერვატორები მესამე ინტერნაციონალის აგიტაციის სახელით ნათლავენ, არის ფაქტიურად ბრიტანეთის **შინაური ძალების,** მუშებისა და დაჩაგრული ერების მოძრაობა, მათი დღევანდელი ბატონების წინააღმდეგ. საჭიროა კონსერვატორების სიბეცე, რომ ეს აგიტაცია მიაწერონ მესამე ინტერნაციონალს ან საბჭოთა მთავრობას. თვით კონსერვატიული მთავრობა და ბრიტანეთის კოლონიური რეჟიმი არიან საუკეთესო აგიტატორები ლონდონის მთავრობის წინააღმდეგ და ტყვილა ცდილობენ „დამნაშავე“ ეძებონ სხვაგან, როდესაც ამ დანაშაულების წყარო თვით ამ სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობა არის.

რაკოშის გასამართლება

სასამართლოში

ვენა, 13 ივლისი. ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე ბუდაპეშტში სასამართლოს შენობის წინ აუარებელი მუშები შეგროვდენ, რომლებსაც ძლივს აკავებდენ პოლიციელების რაზმები.

მუშები მხურვალედ ესალმებოდენ ბრალდებულებს, რომლებიც სასამართლოს შენობაში შედიოდენ. პოლიციამ არ შეუშვა მუშები სასამართლოს დარბაზში, სადაც იმყოფებოდენ უმთავრესად ჯაშუშები, სასამართლო აპარატის წარმომადგენლები და აფიცრები.

ერის დაკითხვა

პირველად დაკითხეს, როგორც უმთავრესად ბრალდებულებს, **რაკოშისა და ერის** (უნგრელი მუშა, რომელსაც რაკოშისთან ერთად ბრალად ედება უნგრეთის კომპარტიის არალეგალურ ცეკას წევრობა).

ერიმ განაცხადა, რომ იგი დაბრუნდა ემიგრაციიდან კომუნიზმის იდეების პროპაგანდისათვის. „უნგრეთის მმართველმა წრეებმა, სთქვა ერიმ, კონტრრევოლიუციის გამარჯვების შემდეგ უნგრეთის მშრომელები ისეთ სიღატაკემდე და დამონებამდე მიიყვანეს, რომ არსებულ სისტემასთან ბრძოლა ყოველი პროლეტარის ელემენტარულ კლასიურ მოვალეობას წარმოადგენს. ერთად-ერთი გამოსავალი უნგრეთში შექმნილ მდგომარეობიდან კომპარტიის მიერ ნაჩვენებ გზაზე დადგომაა“. ერი უარყოფდა თავის დანაშაულს და განაცხადა, რომ იგი პასუხისმგებელია მხოლოდ პროლეტარიატის წინაშე. „კომპარტიის განსამტკიცებლად, სთქვა ერიმ, მე მზადა ვარ შევსწირო სიცოცხლე და ვერავითარი სასჯელი ვერ შემაჩერებს“.

რაკოშის დაკითხვა

ვენა, 13 ივლისი. ერის შემდეგ დაკითხულმა რაკოშიმ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ თავის მოწაფეობის დროს იგი სწავლობდა მარქსიზმს და სოციალისტი გახდა.

„მე დარწმუნებული ვიყავი, განაცხადა რაკოშიმ, რომ სოციალ-დემოკრატია ყველგან იბრძოლებს ომის წინააღმდეგ და რომ მსოფლიო ომს სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატის კაპიტალიზმის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის გამოიყენებდენ. ამის მაგივრად სოციალ-დემოკრატებმა ყველგან უღალატეს კლასობრივი ბრძოლის პრინციპებს და მხარს უჭერდენ ბურჟუაზიას“.

რაკოშიმ მოიყვანა სოციალ-დემოკრატების გამცემლობის მაგალითები მთელ რიგ ქვეყნებში.

ამაზე შესწყდა რაკოშის დაკითხვა სასამართლოს შემდეგ სხდომამდე.

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

მოხალისე სტუდენტები

პეკინი, 12 ივლისი. კანტონის ნაციონალური უნივერსიტეტი საზაფხულო არდადეგების დროს აწყობს მოხალისე სტუდენტების კორპუსს სტუდენტობისათვის სამხედრო მომზადების მიცემის მიზნით.

გემების გაჩხრეკა

პეკინი, 12 ივლისი. სამხედრო წესების არსებობის გამო, კანტონში შემავალ გემებს განსაკუთრებით ჩხრეკენ.

კანტონის არმია

პეკინი, 12 ივლისი. **ზოგიერთ გენერლებმა, რომელნიც ხელმძღვანელობენ სამხედრო ჯგუფებს სი-ჩუანის და გუიჯოუს პროვინციებში, მიმართეს კანტონის მთავრობას თხოვნით ჩარიცხონ მათი სარდლობის ქვეშ მყოფი შეიარაღებული ძალები კანტონის არმიის შემადგენლობაში.**

ინგლისის რეაქცია ეხმარება რუსეთის სამღვდელოებას

ლონდონი, 12 ივლისი. 3 ივლისს შოტლანდიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანო „ფორუორდ“-ში გამოქვეყნდა მუშათა პარტიის წევრის და თემთა პალატის დეპუტატის **ჯონსტონის** წერილი, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„1924 წ. 11 მარტს „ტაიმს“-მა გამოაქვეყნა „რუსეთის სამღვდელოების დამხმარე კომიტეტის 7 წევრის მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა ფულის შეგროვება მართლმადიდებელ ღვდლების სასარგებლოდ, რომელთაც თითქოს სდევნიან რუსეთში“.

მოწოდებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ [illegible] ეპისკოპოსის, ან ლონდონში მცხოვრებ მაიორ პოლის სახელზე.

წერილის ავტორი—ჯონსტონი ამხელს შემდეგ ფაქტებს: „ვილაც ქალმა გარისონმა, რომელიც ლონდონში ცხოვრობს, სანამ ფულს გადაგზავნიდა, წერილით მიმართა მაიორ პოლს, რომლისაგანაც უნდოდა გაეგო, რომ ეს ფული დანიშნულებისამებრ იქნებოდა გადაგზავნილი, თუ რაიმე სხვა მიზნით იქნებოდა გამოყენებული.

მეორე დღეს გარისონმა ასეთი პასუხი მიიღო მაიორ პოლისაგან: „თქვენი წერილის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ რუსეთში გასაგზავნი ფული და პაკეტები უნდა გაეგზავნოს ინგლისის საქმეთა რწმუნებულს მისტერ ხოჯსონს მოსკოვში, ან მისტერ ტომას პრესტონს, ინგლისის წარმომადგენელს ლენინგრადში. ჩვენ, რასაკვირველია, საშუალება არ გვაქვს წერილობით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ მიერ დასახული დახმარების მიწოდება შესაძლებელი გახდა რუსეთში მყოფ ინგლისის წარმომადგენლების თანამშრომლობის წყალობით, მაგრამ ეს ფაქტია.

ამიტომ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იქ არაფერი დაიკარგება და ჩვენი ფულს ხელში ვერ ჩაიგდებენ ბოლშევიკები ან ეგრედ წოდებული „წითელი“ ეკლესიის რენეგატი-მღვდლები. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ იმდენ სიკეთეს იზამთ, რომ ამ ცნობას საიდუმლოდ შეინახავთ.

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 12 ივლისი. მთელს საარის ოლქში ჩატარდა სათემო საბჭოების არჩევნები; **არჩევნების დროს კომპარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება წინანდელ რაოდენობას.**

საარბრიუკენში კომპარტიამ მიიღო 8 მანდატი, წინად კი ჰქონდა 4, სოციალ-დემოკრატებმა შეინარჩუნეს წინანდელი 13 მანდატი.

ნეიკირხენში კომუნისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ათ-ათი მანდატი.

ახალი აფეთქება

ლონდონი, 13 ივლისი. დუვრიდან (ნიუ-ჯერსის შტატი) მიღებული ცნობით, დღეს დილით ლეკდენბარკის საზღვაო სამუნიციო დეპოში **მოხდა კიდევ ერთი საწყობის აფეთქება.**

წინასწარი ცნობების თანახმად, შაბათს აფეთქების დროს მოკლულ იქნა 17 კაცი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 29 და დაიჭრა 200. ზარალი 20 მილ. გირ. სტერლინგამდე აღწევს.

დღეს აფეთქება გრძელდებოდა. ავიაციის და საზღვაო დეპოს ოფიცრების განცხადებით, ჯერ კიდევ არ აფეთქებულა საჰაერო ყუმბარები და საზღვაო მაღაზიების მარაგი 75 მილ. ვაზნების რაოდენობით.

აფეთქების გამო, მახლობელ სოფლებიდან 900-მდე კაცი ლტოლვილების მდგომარეობაში იმყოფება.

დაზარალებული რაიონები ინახულა შრომის მინისტრმა **დევისმა,** რომელმაც განაცხადა, რომ თუმცა დანგრეული არსენალი აგებული იყო წინდახედულათ, მაგრამ მაინც მომავალში მთავრობა იძულებული იქნება შესცვალოს სამხედრო საწყობების აშენების მეთოდი. საწყობები იმდენათ დაშორებული უნდა იქნეს ერთი მეორისაგან, რომ ერთის აფეთქებამ არ გამოიწვიოს მეორეს აფეთქებაც.

ფრანგები მაროკოში

პარიზი, 12 ივლისი. საფრანგეთის და ესპანეთის დელეგატებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაროკოს დამშვიდების შესახებ; ხელშეკრულება გულისხმობს სანაპირო რეჟიმის მოწესრიგებას საფრანგეთის და ესპანეთის გავლენის ზონებს შორის მაროკოში.

მაროკოდან საფრანგეთის ჯარების შტაბი იტყობინება, რომ **საომარი მოქმედება აჯანყებულების წინააღმდეგ გრძელდება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ახმედ-ბურდა ტყვეობაში

პარიზი, 12 ივლისი. ესპანეთის ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს აბდ-ელ-ქერიმის ყოფილი სამხედრო მინისტრი ახმედ-ბურდა.

გერმანიის განიარაღება

ბერლინი, 13 ივლისი. მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ ფრანგმა გენერალმა ვალტმა გერმანიის სამხედრო განიარაღების კომისარს გაუგზავნა რამოდენიმე ნოტა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გერმანიის განიარაღებასა და ჯარის ორგანიზაციის საქმესთან არიან დაკავშირებულნი. კომისიის განცხადებებს ამჟამად ამოწმებენ დაინტერესებული უწყებები.

ჟურნალისტების „დიპლომატიური" მოგზაურობა

ვარშავა, 13 ივლისი. ვარშავაში ჩამოვიდა ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი გაზეთ „ტიმსის" ყოფილი რედაქტორი სტიდი. სტიდი ჩამოვიდა პრაღიდან, მან ინახულა ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრი—ბენეში. სტიდის ვარშავაში ჩასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

კაპიტალისტური კონკურენცია

ვარშავა, 13 ივლისი. პოლონეთის მრეწველთა წრეებში დიდ ყურადღებას იქცევდა დომბროვის რაიონის მაღაროს დირექტორის პროცესი. მაღაროს დირექტორი პასუხისგებაში იყო მიცემული იმის გამო, რომ მაღაროს მუშებს 8 საათზე მეტს ამუშავებდა დღეში. მისმა დამცველმა სასამართლოში განაცხადა, რომ სანახშირო კრიზისი ინგლისში პოლონეთის ექსპორტისათვის ფართო შესაძლებლობებს შლის და ბრალდებულის საქციელი სახელმწიფო საჭიროებათა სწორი გაგებით არის გამოწვეული. სასამართლომ გაამართლა ბრალდებული დირექტორი.

კაპიტალისტი-მინისტრები

ლონდონი, 12 ივლისი. მუშათა პარტიის წევრმა ჰენდერსონმა თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომ დაარსდეს საგანგებო საარჩევნო კომიტეტი, რომელიც გამოიკვლევს საკითხს ინგლისის კაბინეტის იმ მინისტრების შესახებ, რომლებიც აქციონერებად ითვლებიან ისეთ სამრეწველო წარმოებებში, რომლებიც ხელშეკრულებითი ურთიერთობაში იმყოფებიან მთავრობასთან. რეზოლიუცია ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქნა.

მებაღეთა ამხანაგობის საქმე

სოხუმი, 13 ივლისი. ამ მოკლე ხანში აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში გაირჩევა აფხაზეთის მებაღეთა კოოპერატიულ ამხანაგობის გამგეობის საქმე. გამგეობას ბრალდება, რომ მან კოოპერატივს 50.000 მანეთის ზარალი მიაყენა.

მხეცური მკვლელობა

სოხუმი, 13 ივლისი. სოფ. მერხეულის მოჯამაგირეებმა თხოვნით მიმართეს რესპუბლიკის პროკურორს, რომ საჩქაროდ გაარჩიოს მხეცურად მოკლულ მელკონიანის საქმე, რომელიც მოჯამაგირედ მსახურობდა სოფ. მერხეულის გლეხთან საიანცთან.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ვენა, 12 ივლისი. სამხრეთ-სლავიის გაზეთი „ვრემია"-ს ცნობით პოლონეთის მთავრობამ წინადადება მისცა რუმინიას, რომ ბულგარეთთან ერთად დადებულ იქნას თავდაცვის კავშირი ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ.

უ-პეი-ფუს მომხრეს დამარცხება

პეკინი, 12 ივლისი. ჩინეთის სააგენტოების ცნობით, ე-კაი-სინმა (უ-პეი-ფუს მომხრე) დასტოვა ხუნანის პროვინციის დედა-ქალაქი ჩან-შა, რომელიც დაჭერილია ტან- შენ-ჩის (გენერალი, რომელიც უ-პეი-ფუს წინააღმდეგ აჯანყდა და პროვინცია ხუნანი კანტონს შეუერთა) ჯარების მიერ.

სახალხო არმიის გამარჯვება

პეკინი, 12 ივლისი. სახალხო არმიის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ ცნობები წინააღმდეგობებითაა აღსავსე. უკანასკნელი ცნობები იუწყებიან, რომ დიდი ბრძოლები ნანკოუსის ფრონტზე სახალხო არმიის გამარჯვებით დამთავრდა. აქ სახალხო არმიამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

„მოსკოვის გავლენით"?

ვენა, 12 ივლისი. რუმინეთის ცნობების მიხედვით, ბულგარეთის ჩეტნიკები დობრუჯის საზღვარზე თავს დაესხენ რუმინეთის პოსტებს. შეტაკების დროს მოკლულია რუმინიის ჟანდარმთა უფროსი და ორი ჟანდარმი. რუმინიის მთავრობა ბულგარეთის მთავრობისაგან მოითხოვს ზომების მიღებას დობრუჯის საზღვრებზე თავდასხმების წინააღმდეგ, და ამტკიცებს, რომ მღელვარება საზღვარზე „მოსკოვის ზეგავლენით არის გამოწვეული".

რუმინეთის პრესა სასტიკ კამპანიას აწარმოებს ბულგარეთის მთავრობის წინააღმდეგ და ლიაპჩევის მთავრობას სდებს ბრალს „მოსკოვთან თანამშრომლობაში მეზობელ სახელმწიფო საზღვრებზე საშიშროების დარღვევის მიზნით".

ბრიანისა და რაკოვსკის შეხვედრა

პარიზი, 13 ივლისი. ბრიანმა მიიღო რაკოვსკი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

შტრეიკბრეხერები

ლონდონი, 13 ივლისი. მთავრობის გაზეთების ცნობით, მაღაროს 600 მუშამ განაახლა მუშაობა მაღაროებში ახალ პირობების გამოცხადების შემდეგ.

პროვოკატორ ვიშნის საქმე

მოსკოვი, 13 ივლისი. უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო უნგრელ პროვოკატორის ვიშნის საქმის გარჩევა. მას ბრალად ედება, რომ განზრახ ჩაეწერა უნგრეთის მუშათა პარტიაში, რათა პოლიციისათვის მიეწოდებია ცნობები ამ პარტიის და აგრეთვე კომინტერნის მუშაობის შესახებ. წინასწარ ძიებაზე ვიშნიმ აღიარა, რომ ის უნგრეთის „ოხრანკის" აგენტი იყო და საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა განზრახ პროვოკაციული მუშაობისათვის.

სახლი უმუშევართათვის

ბაქო, 13 ივლისი. ბაქოს საბჭოს განზრახული აქვს უმუშევართა სახლის გაფართოება 225 საწოლის მომატებით, რისთვისაც საჭირო იქნება 45.860 მანეთი. ამავე დროს უნდა აშენდეს სასადილო 1.000 კაცისათვის, რაიც დაჯდება 219000 მანეთი.

მეურნეობის აღორძინებისათვის

ბაქო, 13 ივლისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ აზერბეიჯანის რესპუბლიკას მისცა მეურნეობის აღორძინების სესხიდან მესამე კვარტალისათვის: აზერბეიჯანის საფეიქრო მრეწველობას—150.000 მ., აზერბეიჯანის სააბრეშუმო მრეწველობას—60.000 მანეთი. სულ 330.000 მანეთი.

ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ბაქო, 13 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოტანის ვადა აზერბეიჯანის ყველა მაზრებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგნაირად: პირველი ვადა 1926 წ. 1 ნოემბერი, როცა დაფარული იქნება გადასახადის საერთო ჯამი 40 პროც., მეორე ვადა 1927 წ. 4 იანვარი, როცა გადახდილი იქნება თელი ჯამის 50 პროც., მესამე—1 თებერვლი, როცა დაიფარება 10 პროც.

რემედასის მიტინგები

ბერლინი, 12 ივლისი. „რემედას"-ის გერმანიის სექციამ რურის ოლქის მთელ რიგ ქალაქებში მოაწყო მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც დამსწრეები მოითხოვდენ მაქს გოლცის განთავისუფლებას.

მომხსენებლად ყოველგან გამოდიოდა გოლტის ცოლი.

საბერძნეთში

მთავრობის კრიზისი

ათინა, 13 ივლისი. ზავიდ ზაიმისმა უარი განაცხადა კაბინეთის შედგენაზე. პანგალოსმა მიიწვია საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე ზილიმონი იმ მიზნით, რომ მიანდოს მას ახალი სამინისტროს შედგენა. ამავე დროს პანგალოსმა დანიშნა საპარლამენტო არჩევნები.

სხვადასხვა

— **პროფესორი ვოიცეხოვსკი.** პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ვოიცეხოვსკი აპირებს პროფესორათ შესვლას ვარშავის უმაღლეს კომერციულ სკოლაში.

— **სიცხე ინგლისში.** ორი დღეა, რაც ინგლისში ცხელი ამინდია. ტემპერატურა მეტად დიდია. ლიდსეში ის აღწევს 85 გრადუსამდე.

— **ამუნდსენის დაბრუნება.** ორშაბათს ამუნდსენი მიფრინდა ბერგენში (ნორვეგია), სადაც მას ზეიმით დახვდა აუარებელი ხალხი. შეხვედრას ოფიციალური ხასიათი მიეცა.

— **პრიმა-დე-რივერა.** პრიმა-დე-რივერა მადრიდიდან გაემგზავრა პარიზში.

მასლოვის განთავისუფლება. მასლოვი განთავისუფლებულია ციხიდან.

პრეზიდენტი ციხეში. პორტუგალიის ახალმა მთავრობამ გადასწყვიტა ჩაამწყვდიოს ციხეში ყოფილი დიქტატორი გენერალი გომეც დაკოსტა, რომელმაც უარი განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებების დათმობაზე.

ბრაზილიის დელეგატებმა ბარგი აიკრეს. ჟენევიდან მიღებულ ცნობით, ერთა ლიგაში წარგზავნილმა ბრაზილიის დელეგაციამ მიიღო ინსტრუქციები, სადაც აღნიშნულია დელეგაციის [illegible] — გამგზავრების დღის თარიღი.

ფარული მაკედონური ორგანიზაცია. ქალ. მონასტერის გაზეთის გამომცემელ პაპოვიჩის მკვლელობის გამო წარმოებულ კვლევა-ძიების დროს აღმოჩენილი იქნა ფარული მაკედონური ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ქონია ალბანიაში რევოლიუციის - მომწყობ ჯგუფთან, პოპოვიჩი პირველად იყო აღნიშნული იმ პირთა სიაში, რომლებსაც ამ ფარულ საზოგადოებას სიკვდილი მიუსაჯა.

მაროკოს სულთანი პარიზში. პარიზში ჩავიდა მაროკოს სულთანი, რომელიც მიიღო პრეზიდენტმა. პარიზში მეჩეთის გახსნაზე დასასწრებლად დელეგატები ჩამოვიდენ ალჟირიდან და სირიიდან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გადასახადი უცხოეთის ამანათებზე

მოსკოვი, 13 ივლისი. საბაჟოს მთავარი სამმართველო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეხლა მოქმედი საბაჟო წესების მიხედვით არავითარი შეღავათი არ დაიშვება, პირადი მოხმარების ხასიათის საგნებზე, რომელიც იგზავნება დამოუკიდებლივ ამანათის ხასიათისა და გამგზავნელის მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალურ მდგომარეობისა.

რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ

მოსკოვი, 13 ივლისი. ბრიუხანოვის და ვეტოშკინის მოხსენებების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოწონებულ პროექტს კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების მდგომარეობის შესახებ, საკავშირო ცაკ-ის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი შეუდგა ამ პროექტის მუხლობრივ წაკითხვას.

პროექტი მცირე შესწორებების შემდეგ პლენუმმა მიიღო მთლიანათ. საბიუჯეტო კომისიის პლენუმი დამთავრდა.

საპროტესტო მიტინგი

მოსკოვი, 13 ივლისი. **12 ივლისს მოსკოვის ექსპერიმენტალურ თეატრში შესდგა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი, ჰუნგრეთში რაკოშის, ვაგის და სხვების გასამართლების წინააღმდეგ.**

მიტინგი გახსნა რემედასის მოსკოვის კომიტეტის თავმჯდომარემ ზვეზდოვმა, რის შემდეგ კომინტერნის აღმასკომის სახელით ილაპარაკა პეპერმა, რომელმაც სთქვა, რომ რაკოშის და მისი ამხანაგების წინააღმდეგ მიმართული პროცესი არის,ნათლად კომუნისტური ინტერნაციონალის და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული პროცესი.

პეპერმა აღნიშნა ჰუნგრეთის სოციალ დემოკრატების გამცემლობითი როლი: „ყველა ქვეყნების რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა—სთქვა პეპერმა—ხმა უნდა აღიმაღლოს რაკოშის და მისი ამხანაგების დასაცავად".

გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელით გამოსულმა რემალემ, მთელ ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებს მოუწოდა, რომ ჯალათებს ხელიდან გამოგლიჯონ ჰუნგრეთის პროლეტარიატის ბელადები.

შმერალმა, რომელიც ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის სახელით გამოვიდა, მიტინგს გაუზიარა თავისი პირადი მოგონებანი რაკოშის შესახებ და დაახასიათა ის, როგორც მტკიცე და ურყევი კომუნარი. „რაკოშის ბედი—ამბობს შმერალი—უნდა აღელვებდეს არა მარტო მთელი ქვეყნის მუშათა კლასს, არამედ პროლეტარიატის მოკავშირეებს—აღმოსავლეთის დამონებულ ხალხებს და ნაციონალურ უმცირესობათ".

ჰუნგრეთის კომპარტიის სახელით გამოვიდა ბოკანი, რომელმაც მადლობა გადაუხადა კომინტერნს და ს. ს. ს.-რის პროლეტარიატს იმ ძმური დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს ჰუნგრეთის მრავალტანჯულ მშრომელთ. „დღეს —ამბობს ბოკანი,—რაკოშისა და მის ამხანაგებთან ერთად, საბრალმდებლო სკამზე ზის ჰუნგრეთის მთელი პროლეტარიატი და გლეხობა. მათ ასამართლებენ ბურჟუაზიული ხელისუფლების წარმომადგენლები მემამულეების და ბანკირების ხროვის სახით.

მკვეთრი სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელმა ლეშჩინსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთის და ჰუნგრეთის მშრომელთა ბედ-იღბალი მჭიდროთ დაკავშირებულია ურთიერთთან. „ახლანდელ ხელისუფლების სათავეში მოქცეული პილსუდსკი — პოლონეთის ჯალათია, ისე როგორც ჰორტი ჰუნგრეთის ჯალათია".

ლეშჩინსკი აცნობებს მიტინგს, პოლონეთის ციხეში მყოფ კომუნისტ დეპუტატის ლანცუცკის საშიშარ ავადმყოფობის შესახებ და მოსკოვის პროლეტარიატს მოუწოდებს, რომ ყოველი ღონისძიება იხმარონ პატიმართა დახმარების აღმოსაჩენად.

კრებამ შეიმუშავა მიმართვა მსოფლიო პროლეტარიატისადმი, სადაც მსოფლიო პროლეტარიატს საპროტესტოთ მოუწოდებს რაკოშის, ვაგის და 57 მათი ამხანაგების გასამართლების წინააღმდეგ და აგრეთვე მთელ ბარბაროსულ ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე ლანცუცკის ციხიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

სამხედრო აკადემიის გამოშვება

მოსკოვი, 13 ივლისი. 10 ივლისს კრემლის სასახლეში მოხდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის და უმაღლეს უფშემადგენლობის კადრის გასაუმჯობესებელ კურსების საზეიმო გამოშვება.

ამხ. **რიკოვმა** წარმოსთქვა მოკლე მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა: „სამხედრო აკადემიის მიერ მაღალ კვალიფიკაციის მქონე წითელ მეთაურების გამოშვება არის ახალი მიღწევა ქვეყნის თავდაცვის გაუმჯობესების საქმეში.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გააკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლოა, რათა გადამჭრელ მომენტში ქვეყნის თავდაცვის საქმე სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდეს".

ამხ. **ვოროშილოვმა** თავის სიტყვაში განაცხადა: „სამხედრო აკადემიის და უმაღლეს უფშემადგენლობის კადრის გასაუმჯობესებელ კურსების ეხლანდელი გამოშვება ხდება ისეთ მომენტში, როცა ჰაერში თოფის წამლის სუნი ტრიალებს, ჩვენი წითელი არმია—ეს არის ხმალი მუშურ-გლეხურ ძალაუფლების ხელში, რომელიც იცავს და უზრუნველყოფს ოქტომბრის მონაპოვართ".

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე: **ბაზილევიჩმა, ტუხაჩევსკიმ, კამენევმა, ბუდიონიმ** და პროფესორებმა: **სვეჩინმა, ვერხოვსკიმ, მაცეტისმა.**

ამხანაგური საუბარის დროს გამოშვებულებს ინახულა **კალინინმა,** რომელმაც მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა მათ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ინგლისელ სამთამადნო მუშების დასახმარებლად

ბაქო, 13 ივლისი. აზერბეიჯანის ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან, ბაქოს კომიტეტთან და რაიონებში დაარსდა ინგლისის სამთამადნო მუშების დახმარების კომიტეტები. 15 ივლისს კომიტეტები ყულაბებით შეაგროვებენ ფულს ინგლისელ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ, გამართავენ ფასიან სეირნობას და სხვ. მთელი შემოსავალი გადაირიცხება ინგლისელ სამთამადნო მუშების დახმარების ფონდში.

16 კომუნალური სახლი

ბაქო, 13 ივლისი. განჯაში დაიწყო 16 კომუნალური სახლის აგება მუშებისათვის. სახლების აგება დამთავრდება შემოდგომაზე. კოოპერატიულმა ბანკმა 8.000 მანეთი გადასდო სახლების ასაგებად.

სტიქიურ უბედურებათა შემდეგ

ბაქო, 13 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მოეწყო ადგილობრივი სპეციალური კომისიები, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ სტიქიურ უბედურებათა შედეგები განჯის, შანქორის, ყაზახის და ნუხის მაზრებში.

ავიაქიმის დღე

როგორი იქნება მომავალი ომი

უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მომავალი ომი ისეთივე ხასიათის იქნება, როგორიც იყო უკანასკნელი მსოფლიო ომი. ეს ომი უკვე იძლევა უფრო მაღალი ტიპის ომის განვითარების დასაწყისს. გადამჭრელი ცვლილებები, რომლებიც ემყარება უკანასკნელი ომის გამოცდილებებს, ეს არის ავიაციის გამოსვლა ასპარეზზე. წყალქვეშა ნავების და ქიმიის გადამწყვეტი როლი. როცა უკანასკნელი იმპერიალისტური ომი დაიწყო, ავიაცია მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ის თავისი განვითარების პირვანდელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და თუ ჩვენ ჩაუკვირდებით, რა როლს თამაშობდა ომის დროს საჰაერო ფლოტი, დავინახავთ, რომ ეს იყო, პირველ ყოვლისა, მზვერავის როლი. არც გერმანიის ცეპელინებს, არც სხვა რომელიმე სახის საჰაერო ფლოტს არ უთამაშია გადამწყვეტი როლი. იქნება თუ არა ასე მომავალშიაც? უნდა ვიფიქროთ, რომ არა, უნდა ვიფიქროთ, რომ ავიაცია მომავალში უდიდეს როლს შეასრულებს. ომის დროს ძლიერ განვითარდა სამხედრო ქიმია. ომის დროს სამხედრო ქიმიის დარგში უმნიშვნელოვანეს გამოგონებებს ჰქონდა ადგილი. თუ როგორ შორს წავიდნენ ამ მხრივ ჩვენი მოწინააღმდეგენი, კაპიტალისტური სახელმწიფოები, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მარტო იქედან, რომ ამ სახელმწიფოებში ეხლა სწარმოებს შესწავლა სხვადასხვა სასიამოვნო საგნების, რომელთაც მომავალ ომში ჩვენ გადმოგვაყრიან თავზე. ამერიკამ შექმნა მთელი ქალაქი, რომელშიაც ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ქიმიური ომის მომზადებას აწარმოებს.

ქიმიურ მრეწველობის განვითარებას გადამჭრელი გავლენა ექნება აგრეთვე ავიაციის განვითარებაზე. მე ამ ცოტა ხნის წინად ლაპარაკი მქონდა იუნკერსის ქარხნების ერთ-ერთ დირექტორთან, რომელიც ომის დროს გერმანიის საჰაერო ფლოტის უფროსი იყო ბელგიაში. ეს კაცი თვითონ არის ინჟენერი და მფრინავი და საუკეთესოდ იცის თავისი საქმე.

როგორი იქნება, ამბობს ის, მომავალი ომი? ეს იქნება ომის გადატანა ფრონტიდან ზურგში. ისეთი ვეებერთელა ჰაეროპლანების აგება, რომელთაც შეეძლებათ საკმაო რაოდენობის ასაფეთქებელ მასალების წაღება, რომ ააფეთქონ არა რკინისგზის რომელიმე ხაზი, არამედ მთელი სამრეწველო ქალაქი, რომელიც კვებავს ფრონტს,—აი ასეთი იქნება იმ ახალ ფლოტილიის ამოცანა, რომლებსაც ააგებენ მახლობელ წლებში კაპიტალისტური სახელმწიფოები. და მან იწინასწარმეტყველა, რომ დეზერტირობას ადგილი ექნება არა ფრონტიდან ზურგში, არამედ ზურგიდან ფრონტზე, რადგან იქ იქნება ნაკლები საშიშროება, ვინემ სამრეწველო ცენტრებში ყოფნა, ნახშირის ამოღება, ფაბრიკების აგება, რადგან მოწინააღმდეგის იერიშები მიმართული იქნება იმდენათ არა ცოცხალი ძალის წინააღმდეგ, რამდენათაც სამრეწველო ცენტრებისაკენ, რომელნიც აწვდიან ამ ცოცხალ ძალებს იარაღს და სურსათ - სანოვაგეს. აი პირველი ცვლილება: სამხედრო ქიმიის ზედმიწევნით განვითარება, ომის ფრონტიდან ზურგში გადატანის ცდა, ერთის სიტყვით, ომი არა შეიარაღებულ კაცის წინააღმდეგ, არამედ ომი მუშათა მასების, გლეხთა მასების და ბავშვების წინააღმდეგ, მთელი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ქ. რადეკი.

ორი ფრონტის დათვალიერება

14 ივლისს ავიაქიმის დღესასწაულია. დღესასწაული, რომელიც კალენდარში არ არის აღნიშნული და რომელსაც მიმდინარე წელს არც კი ვიუქმებთ, რადგან ის საქმიან დღეს ხვდება. მაგრამ ეს მაინც დიდი დღესასწაულია.

ავიაქიმს, რომელსაც უკვე რამოდენიმე სახელი გამოეცვალა (მას ერთ დროს უწოდებდენ „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებას", შემდეგ „დობროქიმს"), აქვს ერთგვარი ისტორია. ეს ისტორია მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენ მიერ ჰაერის, ქიმიურ ცოდნის და მრეწველობის დაპყრობის ისტორიასთან.

იმყოფებოდა რა ჯერ კიდევ პირვანდელ მდგომარეობაში, ჩვენი ავიაცია იძულებული შეიქნა გაზრდილიყო „არა დღეობით, არამედ საათობით". ყველაფერი ის, რაც საზღვარგარეთ ითვლებოდა ბუნებრივ განვითარებათ, რაც აბსოლიუტურად შესწავლილი და უდავო იყო, ყველაფერ ეს ჩვენთვის იყო—აღმოჩენა, უკეთეს შემთხვევაში—გამოგონება.

მე არ ვიცი შეიძლებოდა თუ არა სამი წლის წინად ვისმეს ეფიქრა, რომ ორი წლის შემდეგ ჩვენი მოტორებით, ჩვენი თვითმფრინავებით მოხდენილ იქნებოდა გადაფ.—მოსკოვი—პეკინი. მე მგონია, რომ იმ დროს, ეჭვს გარეშეა, გალაჟრებულ ოპტიმიზმათ ჩასთვლიდენ ასეთი აზრის გამოთქმას.

მართალია, ჩვენს მტრებს არც ისე დიდათ დაუფასებიათ ეს ჩვენი მიღწევა. მათ ის ჩვეულებრივ გადაფრენათ ჩასთვალეს. მაგრამ მტრის ჯერ მოესთხოვით იმის სამართლიანად შეფასებას, რაც მტრის ბანაკში ხდება.

ჩვენ, როგორც ტეხნიკურათ ჩამორჩენილები, პირველ ყოვლისა, ვცდილობთ გამოვასწოროთ ეს ნაკლი, შევიძინოთ ტეხნიკური ცოდნა და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ იმ ხალხს, რომელნიც ამ ტეხნიკის საშუალებით სასწაულებს ახდენენ. მაშინ როცა, სწორედ ის მფრინავი, რომელიც არ ზოგავს თავს არავითარი საფრთხის და დაბრკოლების წინაშე,—სწორედ ის არის, თუ გნებავთ, მთავარი ფაქტორი ყველა ჩვენს მიღწევებში. რაც შეეხება ქიმიას უნდა ითქვას, რომ ქიმიის ისტორია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში წარმოადგენს ჩვენი გლეხის კულტურული ზრდის ისტორიას. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინად მიწის ქიმ. განაყოფიერების პრობლემა ჩვენი გლეხისათვის რაღაც მიუწდომელ რამეს წარმოადგენს. ეხლა კი, მიმდინარე წლის 14 ივლისს, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გლეხობამ სავსებით გაიგო ქიმიური განაყოფიერების პრობლემა.

კიდევ მეტი ნაბიჯი, კიდევ მეტი მიღწევა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენი მინდვრების და ჩვენი ტყეების მავნებლებთან ბრძოლაში მათი ქიმიური საშუალებებით განადგურების გზით.

ჯერ კიდევ წარ. წელს ჩვენ მხოლოდ ნიადაგს ვსინჯავდით ამ ბრძოლის მეთოდებს. მიმდინარე წელს კი ამ ფრონტზე ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევებისა და თვით ეს ფრონტი ფართოვდება.

ამრიგად ეხლანდელი დღესასწაული, არსებითად, უდიდესი მნიშვნელობის დღესასწაულია. ამ დღეს ჩვენ ვათვალიერებთ ორივე ფრონტს. და ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წლიდან წლამდე ჩვენ თანდათან უახლოვდებით ამ ორი ფრონტის პრობლემის გადაჭრას, რომ თუ ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ ჰაერში მივდიოდით, თითქოს, ამერიკის აღმოსაჩენად. დღეს ჩვენ უკვე ამ სტიქიონში მდგომარეობის ბატონ-პატრონი ვხდებით, ისე როგორც ქიმიის დარგში შეუჩერებლივ მივიწევთ წინ.

ხ. კამ[illegible].

ავიოქიმის მუშაობა

საბჭოთა კავშირის საავიაციო და ქიმიური თავდაცვის მეგობართა საზოგადოებამ (ავიაქიმმა) თავის არსებობის სამი წლის განმავლობაში გააკეთა ძალიან დიდი საქმე, ჩვენი კავშირის თავდაცვის საშუალებათა შექმნით. (ავიაქიმის მხრივ სამხედრო უწყებისათვის 145 სამხედრო აეროპლანის გადაცემა, აეროდრომების მოწყობა ანგარებით, სახელოსნოებით, საჭირო შენობებით და სხვა).

ავიაქიმმა პრაქტიკულად გააცნო გლეხობას ახალ საშუალებებს და ხერხებს, რომლებითაც შეიძლება გლეხის მინდვრების მოსავლიანობის გადიდება.

ძვირფას მადნეულობის მარაგის გამორკვევა, ადგილობრივ ქიმიურ ნედლეულის შესწავლა, შესწავლა ადგილობრივი პირობებისა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ქიმიური წარმოება ამა თუ იმ რაიონში—ყველა ეს სამუშაოები ჩატარებულ იქნა ავიაქიმის მიერ.

საბჭოთა მთავრობის მიერ საკუთარ საჰაერო მრეწველობის შექმნა განხორციელდა ავიაქიმის ფართო დახმარებით.

ავიაქიმი საჰაერო გადაფრენების მოწყობით უჩვენებს დანარჩენ ქვეყნებს ჩვენს მიღწევებს საჰაერო მრეწველობაში. გასულ წელს ასეთი გადაფრენები მოხდა ჩინეთში და იაპონიაში, წელს კი იგი ეწყობა დასავლეთ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში.

გარდა ამისა ავიაქიმი აწარმოებს ავიაციისათვის ახალი ძალების მომზადებას.

პ—ი.

ავიაქიმი

მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოები კვლავ განაგრძობენ ზრუნვას ადამიანთა ჟლეტისა და განადგურების მეთოდების გაუმჯობესებისათვის; მათი მიღწევანი ამ დარგში მეტად დიდია: ისინი იძენენ ახალ საშუალებებს უფრო სუსტი ერების დასაჩაგრავად.

თანამედროვე უდიდესი არმიები საჭიროებენ გაუმჯობესებულ დაზვერვას, ისინი სცდილობენ, რომ თავს დაესხან მტერს ზურგში და ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავიაციას.

ავიაცია; მისი გამოყენების დროს მჭიდრო კავშირში იმყოფება სამხედრო ქიმიასთან, და ამ კავშირს არ შეიძლება დიდი ყურადღება არ მიექცეს ამჟამად.

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირში ავიაციის საქმეს დიდი პროგრესი ემჩნევა და მეტად სერიოზული მუშაობა სწარმოებს ქიმიის დარგში; ჩვენ ამ მხრივ უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები შეიძლება აღვნიშნოთ.

საბჭოთა ქიმია ამჟამად მშვიდობიანობის ფრონტზე მუშაობს, მომავალში კი ის სამხედროზედაც იქნება გამოყენებული და ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა ავიაციასთან ერთად იგი გადამწყვეტ როლს ითამაშებს თავისი ქვეყნის თავდაცვისა და მთელი ქვეყნის ჩაგრული ერების დახმარების საქმეში.

ამიტომ ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ამ მუშაობით, რომელიც კავშირის ყველა წევრების მოქალაქეთა მიერ იქნა შესრულებული ავიაციისა და ქიმიის დარგში, და ვუსურვებთ მათ წარმატებას მომავალშიაც.

გაუმარჯოს ავიაქიმს!

ფინ-იუი-სიანი.

ავიაქიმი წითელ ჯარში

„ავიაქიმი"-ს საქმიანობა წითელ ჯარში მჭიდროთ არის დაკავშირებული წითელ არმიელთა სამხედრო სწავლების პროგრამასთან.

წითელ არმიელმა ყაზარმაში ყოფნის დროს უნდა შეითვისონ ავიაციის ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა, გაეცნოს ავიაციას ომში და მშვიდობიან დროს მტრების ავიაციის ძალებთან საომარ საშუალებებს. აგრეთვე წითელი არმიელი ყაზარმაში ითვისებს ქიმიის დაწყებით კურსს და ქიმიურ ომის წარმოებას.

ამ საგნების შესწავლას აქვს მეტ წილად პრაქტიკული ხასიათი. წითელი არმიელნი საქმეზე ეცნობიან ყოველივე მოქმედებას: ჰაეროპლანების დაზვერვას, მათთან ბრძოლას; ეწყობა მინდვრათ და ყაზარმაში სხვადასხვა სახის აირების ხრჩოლვა და ნიღაბებით სამოსწავლო ბრძოლა.

„ავიაქიმი"-ს უჯრედში. რომელნიც მუშაობენ ყაზარმაში, შველიან წითელ არმიელებს ყველა ზემო ნათქვამის შეთვისება-შესწავლაში.

„ავიაქიმი" ყაზარმაში წარმოადგენს ნებაყოფლობით—თვითმოქმედ ორგანიზაციას. ყოველი წითელი არმიელი თავისი სურვილით შედის აღნიშნულ ორგანიზაციაში და მის მუშაობაში შეაქვს თავისი წვლილი.

ნაწილების „ლენინის კუთხეებთან" დაარსებულია „ავიაქიმი"-ს განყოფილებები, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა მასალა და ხელსაწყოები ავიაციიდან და ქიმიიდან. კუთხეებთან ჩამოყალიბებულია „ავიაქიმი"-ს შემსწავლი წრეები.

ამ წრეების საშუალებით წითელ არმიელს უადვილდება შეთვისება იმ ცნობების, რომლებსაც აძლევს მას სამხედრო პროგრამის გავლა ავიაციიდან და ქიმიიდან. აგრეთვე წითელ არმიელი წრეების მეცადინეობისას უფრო ახლო ეცნობა „ავიაქიმი"-ს საქმიანობას ომის და მშვიდობიანობის დროს და ნათლად ერკვევა მის მიზნებსა და ამოცანებში.

წრეში ყოველ წითელ არმიელს ეძლევა განსაკუთრებული დავალება, რომელიც მან უნდა შეასრულოს. აი ამ მუშაობის პროცესში წითელი არმიელი იძენს ისეთ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც მას გამოადგება ყაზარმის გარეშეც.

ნაწილების „ავიაქიმი"-ს უჯრედებს აქვთ გაბმული კავშირი „ავიაქიმი"-ს სამოქალაქო უჯრედებთან. კავშირი გამოიხატება მასიურ საღამოების გაერთიანებულ ძალებით ჩატარებაში და სამუშაო გეგმის ერთად გამომუშავებაში.

ე. ხ—ლი.

ავიაქიმის კვირეული წითელი ჯარის ნაწილებში

მე-2-ე ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ დაუგზავნა ცირკულიარი ნაწილებს „ავიაქიმი"-ს კვირეულის ჩატარების შესახებ.

კვირეული დაიწყება 18 ივლისიდან. ყურადღება კვირეულის ჩატარების დროს მიქცეული ექნება „ავიაქიმი"-ს მიღწევების გაშუქებას და მის პოპულიარიზაციას.

კამპანიისათვის გამოყენებულიც იქნებიან ნაწილების სამხედრო-სამეცნიერო წრეების აქტიური ძალები.

კლუბების მიერ მოწყობილ იქნება სპეციალური საღამოები, ბიბლიოთეკები მოაწყობენ შესაფერ წიგნების გამოფენას; შედგენილ იქნება წიგნების სარეკომენდაციო სიები. ბანაკად მდგომი ნაწილები „ავიაქიმი"-ს კამპანიას ჩაატარებენ ადგილობრივ მოსახლეობაში და საშეფო სოფლებში.

—ი.

ავიაქიმის დღესასწაული

მოსკოვი, 13 ივლისი. **11 ივლისს ხოდინკაზე გაიმართა ავიაქიმის სადღესასწაულო ზეიმი.** ჰაეროდრომის ვეებერთელა მოედანი სავსე იყო მშრომელთა მასებით. **დამსწრეთა რიცხვი 50.000-მდე აღწევდა.**

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა **რიკოვმა,** რომელსაც დამსწრე ხალხი მხურვალე „ურა"თი შეეგება. შემდეგ ავიაციის და ქიმიური თავდაცვის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **უნშლიხტმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ მილიონი მუშები და გლეხები, რომელნიც ჩაბმულნი არიან ავიაქიმის მუშაობაში, უზრუნველყოფენ ოქტომბრის მონაპოვართ. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. **ტუხაჩევსკიმ,** ს. ს. **კამენევმა, ბაზილევიჩმა** და სხვებმა. შემდეგ მოხდა საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეების კავშირის მიერ თვითმფრინავის გადაცემა. ამხ. რიკოვმა ჩამოიარა ქიმიური რაზმის რიგები და დაწვრილებით გაეცნო ქიმიური თავდაცვის საქმის მდგომარეობას. დღესასწაული დამთავრდა ჰაეროპლანების ლამაზი მასიური გაფრენით.

ჰაეროდრომზე

დღეს, დილით ავიაქიმის საზ-ბა აწყობს დიდ ექსკურსიას ჰაეროდრომზე, სადაც ექსკურსანტებს აუხსნიან ჰაეროპლანების ნაგებობას აგრეთვე დილის 9 საათზე მოხდება საჰაერო ნათლობა. აგრეთვე დღეს საღამოს 8 ს. წითელარმიელთა და ფლოტის ბაღში გაიმართება ავიაქიმის საზ-ბის წევრთა საზოგადო სხდომა თბილისის გარნიზონის სამხედრო - სამეცნიერო წრესთან ერთად.

ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც პროფკავშირის წევრებს, ისე გარეშე პირთაც.

ქართული მენშევიზმის სოციალური ბუნება*)

გლეხკაცობა

ქართველ გლეხკაცობამ რევოლიუციონურ მოძრაობაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. იშვიათია ისეთი ქვეყანა, სადაც გლეხკაცობა ასე აქტიურათ გამოსულიყოს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე. ჩვენ ვიცნობთ დასავლეთ ევროპის გლეხს, ვიცით, რომ მისი ჩაბმა რევოლიუციონურ მოძრაობაში წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს.

სულ სხვა იყო ჩვენში. ქართველი გლეხკაცობა ადვილათ ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში. ცხოვრების პირობებმა ის დააფიქრა მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე. ის გაეცნო მემარცხენე პარტიების იდეებს და შეისისხლხორცა ისინი. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გურიის გლეხკაცობაზე. გურული გლეხი სათავეში ედგა ჩვენში გლეხურ რევოლიუციონურ მოძრაობას. გურულ გლეხებმა გამოიჩინეს გასაოცარი სიმტკიცე მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოციალ-დემოკრატიულ იდეებმა მოიკიდეს ფეხი გურიის გლეხკაცობაში. თითქმის ყველა ოჯახში აქ შეხვდებოდით რევოლიუციონური და სოციალისტური ხასიათის ლიტერატურას. ის ცოტად თუ ბევრად გაცნობილი იყო რუსეთის და ევროპის მუშათა მოძრაობასთან.

რატომ გახდა გურული გლეხი სოციალ-დემოკრატი? რა იყო მიზეზი მისი გამემარცხენების? ამ კითხვაზე საჭიროა მივცეთ გარკვეული პასუხი.

ჩვენ შევეცდებით ანალიზი გაუკეთოთ გურიის და გორის მაზრის გლეხების ეკონომიურ მდგომარეობას. ამ ორ ადგილას ქონდა ადგილი ძლერ გლეხურ მოძრაობას. ვფიქრობთ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემათ საკმარისი იქნება ყურადღება მივაქციოთ სწორედ ამ მთავარ რაიონებს. მიღებული დასკვნები მართებული იქნება საერთოდ ქართველი გლეხკაცობისათვისაც.

ორიოდე სიტყვა საერთოდ გლეხური მეურნეობის განვითარების პირობებზე საქართველოში. საკმაოთ ცნობილია, რომ ჩვენში 1864-67 წლებში გლეხთა განთავისუფლების ნაცვლად მოხდა მათი დამონება, მათი ექსპლოატაცია. მართალია, **იურიდიულათ** გლეხი თავისუფალი შეიქნა, მაგრამ მისი **ეკონომიური** დამოკიდებულება მემამულისაგან და ჩაგვრა გაორკეცდა და გასამკეცდა. გაიზარდა გადასახადები, გადიდდა ღალა და სხვა.

„გლეხთა რეფორმამ" შეუმცირა გლეხებს მიწა, გამოიწვია მიწის სივიწროვე. რეფორმის ასე ჩატარებით მემამულეებმა მიიღეს ორნაირი სარგებლობა: **პირველი.** გამოიწვიეს მუშა ხელის გაიაფება. ეს ძალიან ხელსაყრელი იყო მემამულისათვის, რადგან მას არ ქონდა ფული მუშის დასაქირავებლათ. უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი გაიზარდა. ისინი ეძებდენ სამუშაოს. ხოლო კონკურენცია მათ შორის იწვევდა მათი სამუშაო ხელფასის დაცემას. **მეორე:** გაიზარდა მიწის რენტა, როგორც პირდაპირი შედეგი მიწის სივიწროვისა. მცირე მიწა-წყლიანი გლეხი ეძებდა დასამუშავებლათ მიწას. ეს მიწა კი მემამულეს ქონდა. რადგან მოთხოვნილება დიდი იყო და მიწოდება ნაკლები, საშინლად მოიმატა მიწის რენტამაც (ღალა). გაიზარდა აგრეთვე ფასები მიწაზე. ასე მაგალითად, გურიაში 1870 წლებში საშუალო ფასი ერთი დესეტინა მიწისა იყო 21 მან. და 16 კაპ., ხოლო 1880 წლებში 86 მან. 48 კაპ. ე. ი. **ოთხჯერ** მეტი. ასე იზრდებოდა ფასები საქართველოს სხვა მაზრებშიც. ხალხის ბუნებრივ გამრავლებასთან ერთად იზრდებოდა მიწის სივიწროვე, მწვავდებოდა აგრარული საკითხი.

მაგრამ იყო კიდევ სხვა გარემოებებიც რომლებმაც ხელი შეუწყვეს გლეხკაცობის მდგომარეობის გაუარესებას. ჩვენ დავასახელებთ ორ მთავარ გარემოებას. **პირველია მიწის მოსავლიანობის დაცემა, ხოლო მეორე ჩვენი მიწათმოქმედების ხანგრძლივი კრიზისი.**

თითქმის ყველა ეკონომიური ხასიათის წერილებში, რომლებიც დაწერილია 20-იან და 90-იან წლებში ხაზგასმით არის აღნიშნული ის ცვლილება, რომელიც მოხდა მიწის მოსავლიანობაში. ერთი დესეტინა მიწა იძლეოდა გაცილებით ნაკლებ მოსავალს (პური, სიმინდი და სხვა). ვიდრე უწინ. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ამ მოვლენის მიზეზების გამორკვევას. ამ საკითხს შევეხებით სხვა დროს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ **მთავარი** მიზეზი ჩვენი სოფლის მეურნეობის ასეთი ჩამოქვეითებისა იყო ფეოდალური ნაშთები, ის დამყაყებული სოციალური პირობები, რომელთა შენახვა-შენარჩუნებას ასე გულმოდგინეთ უწყობდა ხელს მთავრობა.

სანამ მიწა ნაყოფიერი იყო და დიდ მოსავალს იძლეოდა, მანამ გლეხს კიდევ შეეძლო მიწის ღალის (მოსავლის ¼, ხშირად კი 1/3 და ½) გადახდა. მაგრამ მოსავლიანობა დაეცა, გლეხი იმავე ერთ დესეტინაზე ღებულობდა გაცილებით უფრო ნაკლებ შემოსავალს. რა თქმა უნდა ამ მცირე შემოსავლიდან მას უძნელდებოდა 1/4, 1/3 და 1/2 გადახდა მემამულის სასარგებლოთ. ამაზე მიუთითებს სხვათაშორის ზემოთმოხსენებული გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი თავის მოხსენებაში. ის ამბობს: „ყველა ეს გადასახადები (1/3 და 1/4 არ იყო განთავისუფლების შემდეგ პირველ ხანებში მძიმე და აუტანელი გლეხობისათვის, რადგან მაშინ მიწის მოსავალი დიდი იყო ასე მაგალ., ქუთ. გუბ. ერთ დესეტინა მიწაზე მოდიოდა 70-ან წლებში 180—200 ფუთი სიმინდი და მაშინ გლეხი ადვილად იხდიდა მემამულის სასარგებლოდ 1/4 ნაწილს, თავისთვის კი იტოვებდა 135-150 ფუთს. ეხლა კი, როდესაც ერთ დესეტინაზე მოდის 60-80 ფუთი სიმინდი, მას უძნელდება 1/4 გაღება მემამულის სასარგებლოთ, რადგან დარჩენილი 45-60 ფუთი მას თვითონ არ ყოფნის"*).

როგორც ვხედავთ, თვით მეფის მოადგილე არ უარყოფს გლეხთა მდგომარეობის გაუარესებას მიწის მოსავლიანობის შემცირების გამო.

არა ნაკლები გავლენა იქონია აგრეთვე გლეხის ბიუჯეტზე რუსეთის პურის კონკურენციამ. რკინის-გზის გაყვანამ ჩვენში გამოიწვია უდიდესი ეკონომიური რევოლიუცია. ეს ცვლილება შეეხო სოფლის მეურნეობასაც. რუსეთის იაფი და უკეთესი ღირსების პური მოაწყდა ამიერ-კავკასიის ბაზარს და მასზე გაბატონდა. ჩვენ ვამჩნევთ 90-იან წლებში და შემდეგ საქართველოდან პურის გაზიდვის შემცირებას, და შემოზიდვის ზრდას. რუსეთის გლეხთან კონკურენციაში დამარცხებული გამოვიდა ქართველი გლეხი. ქართული პური განდევნილი იქნა ბაზრიდან. ის გადაიქცა ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ საგნათ.

რკინის-გზის გაყვანამ და იაფი რუსეთის პურის შემოტანამ ჩვენში გამოიწვია ხანგრძლივი კრიზისი ჩვენს მიწათ-მოქმედებაში. აქედან დაისახა ახალი გზები ჩვენი სასოფლო-მეურნეობისათვის, გზები კულტურულ მცენარეების გაშენებისა (ჩაი, თამბაქო და სხვ.) ამ გზით წავიდა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის ევოლიუცია. მაგრამ ეს გადასვლა ერთი კულტურიდან მეორეზე ხდებოდა ნელა და თან ამ პროცესმა ვერ ჩაითრია გლეხკაცობის საგრძნობი ნაწილი. ძირითადი შემოსავლის წყარო გლეხისათვის **უწინდებურათ იყო მიწათმოქმედება,** რომელმაც ხანგრძლივ კრიზისში შეყო თავი. ახალ პირობებს ჩვენი გლეხი სწრაფად ვერ შეეგუა. ამას ხელს უშლიდა მაშინდელი სოციალური პირობებიც. ასეა თუ ისე ამ მეორე მნიშვნელოვანმა გარემოებამაც ხელი შეუწყო ქართველი გლეხკაცობის დაქანებას ეკონომიურ ჩამოქვეითების გზაზე.

ეხლა შევჩერდეთ გურიის გლეხკაცობის სხვადასხვა ფენების უფრო სრულ დახასიათებაზე. 1886 წლის ცნობებით გურიაში სულ ითვლებოდა 10.832 კომლი 74.374 ორივე სქესის მცხოვრებით. 74.374 მცხოვრებში გლეხკაცობას ეკუთვნოდა 64.574 სული, თავად-აზნაურებს კი 4.664 სული, დანარჩენი სხვა წოდებას. გურული გლეხკაცობა ნაწილდებოდა ოთხ კატეგორიათ შემდეგნაირათ:

	კომლი	ორივე სქესის სული
1. გლეხები სახაზინო მიწებზე	2.398	15.914
2. დროებით-ვალდებული გლეხები	1.944	13.756
3. მესაკუთრენი	4.575	32.776
4. ხიზნები	311	2.128

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ ჩვენ იმას, რომ ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში გურული გლეხკაცობის უმრავლესობას შეადგენდენ **კერძო მესაკუთრენი.** 64.574 სულიდან კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა 32.776 სული. მათ შემდეგ უნდა აღინიშნოს გლეხები სახაზინო მიწებით, რიცხვით 15.914; დროებით ვალდებული გლეხები კი შეადგენდენ 13.756. ხიზნები გურიაში შეადგენდენ გლეხკაცობის მცირეოდენ პროცენტს. ერთის შეხედვით გვგონებათ, რომ სწორედ გურიაში ნაკლებ უნდა ყოფილიყო რევოლიუციონური გლეხთა მოძრაობა, რადგან იქ გლეხების დიდმა ნაწილმა მოახერხეს მიწების გამოყიდვა მემამულეებისაგან. მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნებოდა, საქმე იმაშია, რომ ეს კერძო მესაკუთრე გლეხი წარმოადგენდა ნახევარ-პროლეტარს, მისი ერთი ნაკუწი მიწა ვერ აძლევდა მას სარჩოს. ამაში დაგვარწმუნებს ჩვენ სათანადო ციფრები.

კერძო მესაკუთრეთა მიწების განაწილება სიდიდის მიხედვით ასეთი იყო:*).

მიწა 0—2 დესეტ. ქონდა 1381 კომლს
2—4 „ „ 6371 „
4 დეს. მეტი 816 „

მიწა სიდიდით 0—4 დესეტინამდი ქონებია კერძო მესაკუთრეთა 89%, ხოლო 4 დეს-ზე მეტი კი 11%. საშუალოთ თითო კომლზე მოდიოდა 1.4 დეს. მიწა.

სახელმწიფო გლეხების მიწები ნაწილდებოდა შემდეგ ნაირად.

„ნადელების" სიდიდე	კომლთა რიცხვი ამა თუ იმ „ნადელით"	პროც. კომლთა საერთო რიც. შედარებ.
უმიწაწყლო	76	3
1 დეს-მდი	391	15
1—2 დეს-მდი	658	31
2—3 დეს-მდი	419	19
3—4 დეს-მდი	320	15
4 და მეტი	352	16,12

სახელმწიფო გლეხების უდიდეს ნაწილს (80%-ს) ქონდა მიწა 4 დესეტინამდის ხოლო 3% სულ უმიწაწყლო იყო. 4 დესეტინაზე მეტი მიწები კი ქონდათ მხოლოდ კომლთა 16,12%. საშუალოთ თითო კომლზე მოდიოდა 4 დეს. მიწა.

დროებით — ვალდებულ გლეხების შესახებ ასეთი ცნობები არ არის. ზოგიერთი დაახლოვებითი ცნობებით 80-იან წლებში დროებ. ვალდებულ გლეხებს (1.901 კომლი) ეჭირა 4.500 დეს. მიწა, ასე რომ თითო კომლზე მოდიოდა ორ დესეტინაზე მეტი მიწა.

ხიზნებს ეჭირა 372 დეს., თითო კომლზე კი მოდიოდა საშუალო 1½ დეს.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ეს ციფრები შეეხება 1880 წლების პირველ ნახევარს. მას შემდეგ კი მდგომარეობა გაუარესდა. თუ მაშინ სჭარბობდა ისეთი გლეხები, რომელთაც ეჭირათ 2, 3 და 4 დეს. მიწა, 1900 წლების დასაწყისში ასეთები წარმოადგენდენ მცირე ნაწილს. დიდი უმრავლესობის მიწები კი დაქუცმაცდა. ხალხის ბუნებრივი გამრავლების მიხედვით გლეხთა ისედაც პატარა ნაჭრები მიწისა კიდევ უფრო იყოფოდენ და ქუცმაცდებოდენ.

თუ როგორ მიწის სივიწროვეს განიცდიდენ გლეხები გურიაში 1900 წლების დასაწყისში, ამის შესახებ საკმარისი იქნება მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი ჟურნალ „კავკასიის სასოფლო მეურნეობიდან" (რუსულათ). წერილის ავტორი სწერს: „თუ როგორ უმნიშვნელოა სიდიდე იმ მიწისა, რომელიც გლეხის განკარგულებაშია, ეს შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ თითო კომლზე, რომელიც ხშირად 5—10 სულისაგან შესდგება მოდის დროებით—ვალდებული გლეხებისათვის 1—1½ ქცევა (ქცევა უდრის 200 კვ. საჟ.), სახაზინო გლეხებისათვის — ½—1 ქცევა, გლეხ-მესაკუთრეებზე 1—4 ქცევამდი. აქ ერთ-ორ ქცევაზეა მოთავსებული გლეხის სახლი, ეზო, ბაღი და ბოსტანიც". *).

როგორც ვხედავთ გურული გლეხი მიწის სივიწროვის მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ერთ თუ ორ ქცევაზე მოსული შემოსავლით მას უნდა ერჩინა თავისი თავი და ეხადა გადასახადები მემამულეებისათვის,სახელმწიფოსათვის, და სასულიერო წოდებისათვის. ამავე დროს გურული გლეხების გვერდით ერთ მუჭა თავადებს ეჭირათ უზარ-მაზარი მამულები, რომელთაც ისინი სცემდენ ფრიად მაღალი იჯარით. ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

თუ ეხლა შევეხებით გორის მაზრის გლეხკაცობის მდგომარეობას, იქაც დაახლოებით იმავე სურათს ვნახავდით, რაც გურიაში. 1905 წლის რევოლიუციის წინ გორის მაზრის 26 სოფლის (მთელი მაზრის შესახებ ცნობები არ არის) გლეხთა მიწები სიდიდის მიხედვით პროცენტებში ნაწილდებოდა:**).

	1 დეს-მდი	1—2 დეს.	2—3 დეს.	3—5 დეს.	5-ზე მეტი დეს.	სულ კომ. რიცხვი %
სახაზინო გლეხები	34,72	26,37	18,54	12,53	7,84	100
დროებ. ვალდებული გლეხები	35,81	24,27	16,18	12,47	11,27	100
ხიზნები	9,09	19,48	19,48	29,87	22,08	100
მესაკუთრე გლეხები	64,19	14,36	9,93	7,09	4,4	100
სულ	43,42	21,37	14,85	11,53	8,8	100

რას გვეუბნება ეს ციფრები? იმას, რომ გორის მაზრის გლეხობაშიც სჭარბობს მცირე მიწა-წყლიანი გლეხები 0—2 დესეტინამდი. სწორედ ისინი წარმოადგენენ უმრავლესობას; 0—5 დესეტინამდი კი გლეხთა მიწები უჭირავს კომლთა 90 პროცენტზე მეტს. იგივე მიწის სივიწროვე—რაც გურიაში, იგივე მაღალი იჯარა (ღალა, ქულუხი და სხვ.) რაც გურიაში.

ჩვენ აქ შევეხეთ მარტო გლეხთა მიწების რაოდენობას, მათ სიდიდეს. რა თქმა უნდა მოყვანილი ცნობები საკმარისი არ არის, მით უმეტეს, რომ შეიძლება ზოგიერთი გლეხები თავიანთ წვრილ ნაჭერ მიწებზე ეწეოდენ კულტურულ მეურნეობას, რაც უფრო მეტ შემოსავალს იძლევა საერთოდ. ჩვენ არა გვაქვს აგრეთვე ცნობები სამუშაო საქონლის რაოდენობის და მათ განაწილების შესახებ გლეხთა შორის. ყოველ შემთხვევაში გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელი კორექტივები ნაკლებათ შესცვლიან ზემოთ დასახულ საერთო სურათს გლეხის ეკონომიური მდგომარეობისას. გლეხი ნაწილობრივ მისდევდა კულტურულ მეურნეობას, აშენებდა ვენახებს, თამბაქოს და სხვ. მაგრამ შემოსავლის ეს წყაროც დაიხშო მისთვის 90-იან და 900 - იან წლებში. საქმე იმაშია, რომ გურიაში ვენახი გაანადგურა ფილოქსერამ, ხოლო დაბალი ღირსების გურიის თამბაქო განდევნა ბაზრიდან სოხუმის, ბათუმის და ართვინის მაღალი ღირსების თამბაქომ. ამან კიდევ უფრო გააუარესა გურული გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა.

უმიწაწყლო გლეხები მამასისხლად პოულობდენ დასამუშავებლად მიწებს. მათ უნდა ეძლიათ მემამულისათვის მეტად დიდი იჯარა. იჯარის გარდა იყო კიდევ მთელი რიგი სხვა ვალდებულებათა, რომელთა ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ფეოდალური ნაშთები მძიმე ლოდივით აწვებოდა გულზე გლეხკაცობას და მის მეურნეობას. ისინი ბორკავდენ მის წინსვლელობას, ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეს. არ შეიძლება დასახელება ისეთი ქვეყნის, სადაც ფეოდალურ ნაშთებს იმდენი ზიანი მოეტანოს ქვეყნის კულტურული და ეკონომიური წინსვლელობისათვის, როგორც საქართველოში. ან ქართვ. გლეხკაცობა უნდა გაბაშენებულიყო სავსებით, რადგან მისი მეურნეობა ეცემოდა, ან და მას ქალაქის მუშებთან ერთად უნდა გაერღვია მემამულეთა ფრონტი და გზა გაეკაფა წინსვლელობისათვის.

ქართველი გლეხკაცობის ჩაბმა რევოლიუციონურ მოძრაობაში იყო ისტორიული აუცილებლობა. გამოწვეული იყო ეს მთელი რიგი ეკონომიური მიზეზების გამო, რომელზედაც ჩვენ ზევით მივუთითეთ. ძნელი არ არის არც იმის გაგება, თუ რატომ ჩვენში გლეხთა მოძრაობამ მიიღო უფრო ფართე ხასიათი ვიდრე რუსეთში. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოში 1864—67 წლებში მოხდა არა გლეხთა განთავისუფლება, არამედ მათი კიდევ უფრო მეტი დამონება, უფრო მეტი ვიდრე რუსეთში.

გლეხკაცობა ეძებდა მოკავშირეს მემამულეთა და მთავრობის წინააღმდეგ და ასეთი მოკავშირე მან იპოვნა პროლეტარიატში. ქალაქის მუშებთან ქართველ გლეხკაცობას პირდაპირი კავშირი ჰქონდა. ქალაქის მუშები ხშირად დადიოდენ სოფლებში და ესაუბრებოდენ გლეხებს სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

რითი იყო დაინტერესებული გლეხკაცობა? რა მოთხოვნილებებით შევიდა ის რევოლიუციონურ მოძრაობაში? თუ ჩვენ ამ საკითხს კარგად დავუფიქრდებით დავრწმუნდებით, რომ ჩვენი გლეხკაცობის მოთხოვნილებები იყო რადიკალურ - დემოკრატიული ხასიათის. გლეხები დაინტერესებული იყვენ ფეოდალური ნაშთების მოსპობით, მემამულეთა მიწების კონფისკაციით და მათი გლეხობაზე გადაცემით, გადასახადების შემცირებით, დრამა ფულის გადახდის მოსპობით და სხვ. საკმარისია გავეცნოთ გურიის და სხვა მაზრების გლეხების მოთხოვნილებებს 1902—906 წლებში, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

თუ ბურჟუაზიამ, ამბობს ენგელსი ერთ თავის ნაშრომში, ვერ შეასრულა გლეხების მიმართ თავისი მოვალეობა, თუ მან ვერ გადააძრო მას ფეოდალური მონობის უღელი, მაშინ ძნელი არ იქნება გლეხკაცობის დარწმუნება იმაში, რომ მისი ხსნა არის მხოლოდ ქალაქის მუშებთან ერთად ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენში. აქ არა თუ ბურჟუაზიამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, არამედ ის ყოველთვის უკან მისჩანჩალებდა მემამულეებს და მეფის მთავრობას. მას ეშინოდა დამოუკიდებლათ გამოსვლა და ბრძოლა, რადგან პროლეტარიატი რუსეთში უკვე დიდ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენდა. ჩვენში ხომ ფეოდალური წყობილება თითქმის სულ ხელუხლებელი დასტოვეს რეფორმის შემდეგ. გლეხკაცობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. და ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ჩვენი გლეხკაცობა გაჰყვა ქალაქის მუშებს საერთო მტრებთან საბრძოლველად.

სოციალ - დემოკრატიულმა მოძრაობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართველ გლეხკაცობაში, განსაკუთრებით კი გურიაში. გურული გლეხი „გასოციალდემოკრატდა", მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის სოციალიზმისთვის ბრძოლაზე ფიქრობდა, არამედ იმიტომ, რომ მას უნდოდა დაენგრია ძველი, დამყაყებული წყობილება, რომელიც ბორკავდა მის ეკონომიურ და კულტურულ წარმატების საქმეს.

ზევით ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ გურული გლეხების **უმრავლესობა კერძო მესაკუთრეები** იყო,რომ ისინი იტანჯებოდენ დიდი გადასახადებით,დიდი მიწის იჯარით და სხვა ვალდებულებებით. მოსპობა მსხვილი მიწათმფლობელობისა და გადასახადებისა მემამულეთა და სასულიერო წოდების სასარგებლოთ, ქვეყნის დემოკრატიზაცია, აი რა წააწერა თავის დროშას რევოლიუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოსულ გურიის გლეხკაცობამ. იგივე უნდა ითქვას საერთოდ ქართველ გლეხკაცობაზე.

გურიის გლეხკაცობა მოექცა სოციალ დემოკრატიის გავლენის ქვეშ, ის შევიდა ამ პარტიაში, გასოციალ - დემოკრატდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის სოციალისტი იყო, არამედ იმიტომ, რომ ის იყო უბრალო რადიკალ - დემოკრატი, დემოკრატიული რევოლიუციონერი. მათი მიზანი იყო პროგრამა — მინიმუმის განხორციელება, ეს იყო მათთვის აუცილებელი საჭიროება და სწორედ ამიტომ გაავსეს მათ მენშევიკების პარტიის რიგები. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მოხდა სასწაული და გურიის გლეხკაცობა, რომელიც უმთავრესად წვრილი მესაკუთრენი იყვენ მართლაც მასსიურათ გასოციალისტდა.

რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს იმას,რომ გლეხკაცობას შეუძლია მისცეს წევრები რევოლიუციონურ, სოციალისტურ პარტიას, მაგრამ როგორც მასსიური მოვლენა ეს შეუძლებელი იყო მაშინ. **გურიის გლეხკაცობის, ისე როგორც მთელი ქართველი გლეხკაცობის მოძრაობა 1904—906 წლებში და შემდეგ იყო უმეტესად დემოკრატიული და, მაშასადამე, იმ დროისათვის რევოლიუციონური და პროგრესიული მოძრაობა, მაგრამ არა სოციალისტური მოძრაობა.** მარქსიზმის სოციალური ფილოსოფიის ძირითადი დებულება — მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას, აქაც სავსებით სწორი დებულებაა.

გლეხობის მდგომარეობის განხილვის შემდეგ საჭიროა შევეხოთ აგრეთვე ჩვენი მუშათა კლასის წარმოშობას და მის მოძრაობას.

ქ. ორაგველიძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 156.

*) იხ. Всеподданнейшая записка... გვ. 35.

*) Аграрно-револ. движение в Озург. уезде, Кут. губ. в период 1902—1904 г. г. Архив канцелярии Наместника.

*) Кавказское сельское хозяйство за 1905 г. № 11.

**) Кавк. сельское хозяйство за 1903 г. ფ. გოგიჩაიშვილის წერილი გვ. 955—956.

ჩვენი გაზეთების გარშემო

ადგილობრივ პარტიულ და პროფორგანიზაციებს

ამხანაგებო!

ქართულ გაზეთების „მუშა“-ს და „კომუნისტი“-ს რედაქციებმა გადასწყვიტეს მიმდინარე წლის პირველ აგვისტოდან ხელის მოწერის ნაღდ წესზე გადასვლა.

თქვენ უკვე იცით, თუ რა გარემოებამ აიძულა ხსენებული რედაქციები ამ ზომისათვის მიემართა: **ნისიათ გაზეთის გაწერამ გამოიწვია ხელის მომწერთა უზომო დავალიანება და ერთობ გაართულა რედაქციების ნივთიერი მდგომარეობა.**

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი რედაქციები **იძულებული გახდენ შეეწყვიტათ სხვადასხვა უფასო დამატების ბეჭდვა** ან და ძლიერ შეემცირებიათ თვით გამოცემათა ზომა და რაოდენობა.

ამგვარად იმ ხელის მომწერთა წყალობით, რომელნიც ნაღდათ ან თავის დროზე არ იხდიდენ ხელის მოსაწერ თანხას, დაზარალდენ ისეთი მკითხველები, რომელნიც ხელის მოწერისთანავე იხდიან ხვედრ ფულს.

საერთოდ, ვითვალისწინებთ რა ნისიათ ხელის მოწერიდან გამომდინარე ყველა უარყოფით მოვლენებს, ნაღდ წესზე გადასვლას ჩვენ ვსთვლით **დროულ და მიზანშეწონილ მოვლენად.**

ამიტომ საჭიროა ამ ღონისძიების განხორციელებას **ენერგიულად დაუჭირონ მხარი ყველა ადგილობრივმა პარტიულმა** და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, როგორც ხელის მოწერის ნაღდი წესის უპირატესობის ახსნა-განმარტებით მასაში, ისე პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღებით, რათა ახალმა წესმა ცუდი გავლენა არ იქონიოს ხელის მომწერთა რაოდენობაზე.

ყველა მუშათა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ და მასასაც უნდა გააგებინონ, რომ ბეჭდვითი სიტყვა საუკეთესო იარაღია მშრომელი ხალხის ხელში და რომ საჭიროა ამ იარაღის გაფრთხილება და მისი გამოყენება მტრის წინააღმდეგ.

გაზეთს აქვს უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის კლასობრივად გათვითცნობიერების საქმეში. ამიტომ უგაზეთოთ არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, არც ერთი მოსამსახურე, რომლისთვისაც მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე წარმოადგენს ცხოვრებისა და ბრძოლის უმთავრეს მიზანს.

დასასრულ მოუწოდებთ ყველა ორგანიზაციებს გვაცნობონ დაუყოვნებლივ გაზეთების გავრცელებისა და ხელის მოწერის ახალი წესის განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცკას მდივანი მ. კახიანი.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე: გ. ყურულიშვილი.

ნაღდზე ხელისმოწერისათვის

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, „კომუნისტი“-სა და „მუშა“-ს რედაქციებს განზრახული აქვთ აგვისტოს პირველიდან გაზეთები გაუწერონ მხოლოდ იმ ხელისმომწერთ, რომლებიც წინდაწინ გადაიხდიან ხვედრ ფულს გაზეთისათვის. მწარე გამოცდილებამ მიგვიყვანა ჩვენ ამ გადაწყვეტილებამდე. ვერავინ ვერ გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ვატარებდით მაგარ ხაზს ჩვენი ხელისმომწერლებისადმი და ადგილობრივი ჩვენი კანტორებისა თუ აგენტებისადმი. კრედიტი, რომელსაც ჩვენ მათ ვუხსნიდით, იყო ფართო, უფრო ფართო, ვინემ ამის უფლებას გვაძლევდა ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობანი. ეს, რასაკვირველია, არ იყო მიზანშეწონილი. წმინდა საგაზეთო მეურნეობის თვალსაზრისით. ჩვენ ამას თავიდანვე ვგრძნობდით, მაგრამ ჩვენი მკითხველების, ჩვენი ხელისმომწერთა ინტერესებისათვის ვითმენდით ასეთ გარემოებას, სანამ მან მახინჯი სახე არ მიიღო, იმდენად მახინჯი, რომ საფრთხეში ჩააყენა გაზეთების და არა თუ გაუმჯობესების საქმე, არამედ თვით მათი არსებობაც.

როგორც უკვე ვწერდით ორი გაზეთის ხელისმომწერნი დავალიანებული არიან რედაქციების მიმართ საკმაოთ დიდი თანხით. ყოველ შემთხვევაში ჩვენი რედაქციებისათვის დიდი მნიშვნელოვანი თანხით. ძველი გზით სიარული, ძველი საკრედიტო პოლიტიკის გაგრძელება ჩვენ გვემუქრებოდა კატასტროფით. მკითხველებისა და ხელის მომწერთათვის გარეგნული გამოხატულება საქმის სირთულემ ჰპოვა იმ უფასო დამატებების „შეკვეცაში“ ან მთლად შეწყვეტაში, რომლებიც ჩვენ შევპირდით ხელისმომწერლებსა და რომელ დაპირებასაც შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობდით პირნათლათ შეგვესრულებია. ხელისმომწერთა დაუდევრობამ, მათმა დავალიანებამ, თავზე მოგვახვია ჩვენთვისა და ჩვენი მკითხველებისათვის არა სასურველი გადაწყვეტილება—უარი გვეთქვა დროებით ჩვენი დაპირებების შესრულებაზე, ჩვენ არას ვლაპარაკობთ ამჟამად—თუმცა სათქმელი ბევრი გვაქვს—იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებიც შედეგი შეიქნა კრედიტის გაფართოების. ვიტყვით მხოლოდ მოკლეთ, რომ ხელისმომწერთა დავალიანებამ ჩაგვაყენა ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩვენი კრედიტორების მიმართ. დროზე ვერ ვიხდით ქაღალდის ფულს, ვერ ვისტუმრებთ დროზევე, ან ვისტუმრებთ დიდი გაჭირვებით, სტამბის ხარჯებს, მუშების ხელფასს. ვინც დაახლოებულია ჩვენს რედაქციებთან მათთვის ეს „ახალი ამბავი“ არ არის, ამას ყველა დაგვიმოწმებს. ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელია და ჩვენ გადავწყვიტეთ ბოლო მოვუღოთ ამ მდგომარეობას, თუ არ გვინდა მთლად დავღუპოთ ჩვენი გაზეთები. და დარწმუნებული ვართ, რომ ამაში მხურვალე თანაგრძნობას და ენერგიულ დახმარებას ვიპოვნით თვით ჩვენ ხელისმომწერლებში, ჩვენ მშრომელ მასებში და მათ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებში.

ჩვენი მკითხველი გაეცნობა დღეს ზემოდ მოთავსებულ მიმართვას პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებისადმი. პარტიული და პროფესიონალური ხაზით სათანადო ხელმძღვანელი ორგანოები მიმართავენ თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადებით, რომ მათ დახმარება აღმოუჩინონ რედაქციებს დაწყებული კამპანიის და შემუშავებული ზომების გატარებაში. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს როგორც მთლიანად, ისე კერძოდ მათ მუშაკებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაგვიწიონ ჩვენ ამ საქმეში. ერთი კრებაც კი—იქნება ის ვიწრო თუ მასიური—არ უნდა ჩატარდეს ისე, რომ ამხანაგები არ შეეხონ ამ საკითხს, ასე საჭირბოროტოს ჩვენი გაზეთებისათვის, და არ გაამუქონ, არ დაადასტურონ ჩვენი რედაქციების ეს გადაწყვეტილება. მაგრამ ამას გარდა მათვე უნდა გასწიონ ერთ და იმავე დროს აგიტაცია გაზეთებზე ხელისმომწერის კიდევ უფრო გაფართოებისათვის, ეს არის საჭირო განსაკუთრებით მომავალი ორი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგში, მომდევნო თვეებში, ამ აგიტაციამ უნდა მიიღოს სისტემატიური ხასიათი, სანამ ამ აზრს და მიღებული ზომების მიზანშეწონილებას არ განამტკიცებთ ჩვენი გაზეთების მკითხველებში.

ვიცით, რომ ის ერთნაირი სიძნელეს წარმოადგენს თავსაწყისში, მაგრამ დაუძლეველი ჩვენთვის არაფერი არ არის, მით უმეტეს ასეთი ზომის გატარება. ამის პრეცენდენტები ჩვენ უკვე გვაქვს. სხვა მეზობელ რესპუბლიკებში ეს [illegible] უკვე განვლილის და სიძნელენი გადალახეს. ცხადია დასახულ მიზანს მიაღწევთ ჩვენც. ხოლო საქმე იმაშია, რომ ის მოხდეს მალე, უმტკივნეულოდ, საქმისათვის სასარგებლოდ.

ჩვენ ვიმედით შეგნებული მუშებისა, გლეხების და მათი ორგანიზაციების აქტიური დახმარების მოლოდინში ჩვენი ღონისძიებების გასატარებლად ნაღდზე ხელისმოწერის შესახებ.

რედაქციის მუშაკი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობისათვის ბრძოლა და პერიოდული პრესა

მოსკოვი, 12 ივლისი. სრ. საკავშირო კომ. პარტიის (ბ.) ცკას საორგანიზაციო განყოფილებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება— მომჭირნეობისათვის ბრძოლის დაყენების შესახებ პერიოდულ პრესაში:

— აღიარებულ იქნეს, რომ პერიოდულმა პრესამ ფართოდ დააყენა მომჭირნეობისათვის ბრძოლის საგიტაციო კამპანია.

— აღიარებულ იქნეს, რომ პერიოდულმა პრესამ ფართოდ დააყენა მომჭირნეობისათვის ბრძოლის საგიტაციო კამპანია.

აღიარებულ იქნეს, რომ მასიურმა მუშათა პრესამ შესძლო კამპანიაში ჩაება მუშკორთა მნიშვნელოვანი რიცხვი. ცნობილ იქნეს, რომ პროფესიულმა, კოოპერატიულმა, გლეხურმა და ქალთა, და აგრეთვე ეროვნულმა პრესამ უფრო სუსტად ჩაატარეს მომჭირნეობის კამპანია, ვიდრე პარტიულმა, საბჭოთა, ეკონომიურმა და მასიურმა მუშათა პრესამ.

აღნიშნულ იქნეს, რომ ძირითად ეკონომიურ ჟურნალებს „Плановое хозяйство“-ს და „Экономическое обозрение“-ს კამპანიის აგრარულ ფრონტზე არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

აღნიშნულ იქნეს შემდეგი საერთო ნაკლულოვანებანი პრესის მიერ ეკონომიის რეჟიმისათვის კამპანიის წარმოების დროს: სოფლის და მუშა-კორესპონდენტების კამპანიაში არა საკმარისი ჩაბმა და მათი შენიშვნების ნაკლები რაოდენობით გამოქვეყნება, საწარმოო თათბირების მუშაობის სუსტი გაშუქება, ნაკლებ ენერგიული ბრძოლა შრომის დისციპლინის და ნაყოფიერების ასაწევად, მიღწევათა აღრიცხვის უქონლობა, და მომჭირნეობის გარშემო მიღებულ დადგენილებათა გატარების შეუძლებლობა, იმ პირთა უმხილებლობა, რომელნიც შემჩნეული არიან უმომჭირნეობასა, ბედოვლათობასა და დაუზოგველობაში, სახალხო კომისარიატებში და საერთოდ ყველა სახელმწიფო სამმართველოებში გატარებულ ეკონომიურ რეჟიმის არასაკმარისი გაშუქება, მეტისმეტი ნდობა იმ ცნობების და ციფრებისადმი, რომელთაც იძლევიან ხარჯების შესამცირებლად დაარსებული კომისიები; კამპანიის ბიუროკრატიული ხასიათი,—განსაკუთრებით ცენტრალურ და საოლქო გაზეთებში, რომელთაც უმთავრესად დაწესებულებებიდან წამოღებულ სარეპორტიორო მასალით და ხარჯების შესამცირებლად მოწყობილ კომისიების ანგარიშებით სარგებლობენ.

სუსტი კონტაქტი რედაქციებსა, საკონტროლო კომისიებს და ინსპექციების შორის; საკონტროლო კომისიების და ინსპექციების მასალების სუსტი გამოყენება.

აუცილებლად იქნეს ცნობილი: ეკონომიურ რეჟიმის შესახებ დაწყებულ საერთო აგიტაციიდან კონკრეტიულ საკითხებზე გადასვლა; მომჭირნეობისათვის ბრძოლის კამპანიის წარმოების დროს არ უნდა შესუსტდეს ყურადღება წვრილმანებისადმი და საჭიროების მიხედვით წამოყენებულ უნდა იქნეს ჩვენი მეურნეობის საჭირო საკითხები, პრესის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კამპანიაში ფართე მშრომელთა მასების ჩაბმას, წარმოებებში გამართულ მუშათა მასების კრებების და საწარმოო თათბირებისადმი სამეურნეო მუშაკების მიერ დაწვრილებითი საქმიანი ანგარიშის წარდგენის საშუალებით; პრესის არანაკლებ აქტუალურ ამოცანად ცნობილი უნდა იქნას დაუნდობელი მხილება იმ პირთა, ვინც შენიშნული არიან უმომჭირნეობასა, ბედოვლათობასა და დაუზოგველობაში.

წინადადება მიეცეს გაზეთების რედაქციებს ასეთ „ბოროტების კონკრეტიულ მატარებელ პირთა“ (ლენინის გამოთქმა) მხილების დროს (თუ სიძნელეს ჰქონდა ადგილი) მუშაობა შეუთანხმონ საკონტროლო კომისიის მუშაობას.

გაძლიერებულ იქნეს მუშკორთა ჩაბმა კამპანიაში მათი საწარმოო თათბირებზე მოწვევის, სხვადასხვა ქარხნების მუშკორთა საერთო კრების, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თათბირების მოწყობის საშუალებით და კედლის გაზეთებში ეკონომიის რეჟიმის კამპანიისათვის ცალკე განყოფილების გამოყოფით.

გაზეთების რედაქციებმა უნდა გამოიმუშაონ ინსპექციაში რედაქციის სახელზე მოსულ მამხილებელ შენიშვნების გადაგზავნის წესრიგი, ხოლო საკონტროლო კომისიის და ინსპექციის ორგანოებმა უნდა მოაწესრიგონ ამ შენიშვნების შედეგების პრესაში გაშუქების საქმე.

ბეჭდვითი ორგანოებში უნდა გაგრძელდეს სამუშაო დროის გაცდენასთან, შრომის დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის კამპანია და აგრეთვე კამპანია შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. უნდა სწარმოებდეს ენერგიული ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის ცალმხრივ გატარებასთან, რომელიც ხშირად გამოიხატება შრომის ხელფასის შემცირებასა, მუშათა ყოფა-ცხოვრების საჭიროებისათვის გადადებულ თანხების შემცირებასა და აგრეთვე კოლექტ. ხელშეკრულებათა შეუსრულებლობასა და შეკვეცაში.

უნდა სწარმოებდეს ენერგიული ბრძოლა საბჭოთა - სამეურნეო აპარატების წინააღმდეგობასთან მომჭირნეობის ნამდვილად გატარების საქმეში და კამპანიის ბიუროკრატიზაციასთან მათ მიერ ხარჯების შემამცირებელ კომისიების შექმნის საშუალებით.

უნდა სწარმოებდეს ენერგიული ბრძოლა მომჭირნეობის გატარებასთან პროდუქციის ღირსების გაუარესების საშუალებით.

დაევალოს ცკას ბეჭდვითი განყოფილებას მიღებულ დადგენილების მიხედვით მისცეს ინსტრუქციები ბეჭდვითი ორგანოებს; კერძოთ, გაზეთები: „ტრუდ“, „რაბოჩაია გაზეტა“, „კრესტიანსკაია გაზეტა“, „ბედნოტა“, „კომსომოლსკაია რაბოტნიცა“, „დელეგატკა“, „კოოპერატივნაია ჟიზნ“, „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპოდენტ“ უნდა გადაიქცენ ორგანოებად, რომელნიც, თავის ხაზის მიხედვით უნდა გახდენ დანარჩენი გაზეთებისთვის სანიმუშო გაზეთებად მომჭირნეობის რეჟიმის გატარების კამპანიის საქმეში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხანძარი გემზე

ბათომი, 13 ივლისი. გამოირკვა, რომ გემ „მაზუთზე“ ხანძარი სამანქანო განყოფილებიდან დაიწყო. სწარმოებს გამოძიება. ირკვევა ზარალი. დაიწვა 1.500 ფუთამდე ნავთი. ცეცხლმა გადასწვა გემის მთელი ზედნაშენი. ცეცხლ-მოდებული გემი ბუქსირით იქნა გაყვანილი გარეგან რეისზე. ქალაქის ცეცხლის-მშრომელთა რაზმისა და ნავთის სინდიკატის ენერგიული ზომებით სამი საათის განმავლობაში შესაძლო გახდა ცეცხლის ჩაქრობა. ტრუმები, რომელშიაც 300 ტონამდე ბენზინი იყო, და რომელიც შესაძლო იყო აფეთქებულიყო, გადარჩენილია.

აგრონომიული პუნქტი

თელავი, 13 ივლისი. სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. ახმეტაში აგრონომიული პუნქტის მოწყობა. გამოყოფილია მიწის განსაზღვრული სივრცე და გაგზავნილია აგრონომი პუნქტის მოსაწყობად. ეს პუნქტი დახმარებას გაუწევს პანკისის ხეობის მოსახლეობას, სადაც სცხოვრობენ ქისტები, ოსები, ფშაველები, ხევსურები და თუშები.

პირველი ფაბრიკა

თელავი, 13 ივლისი. დაიწყო მუშაობა სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ახალმა აბრეშუმის საართავმა ქარხანამ. ჯერ-ჯერობით ფაბრიკაში 88 მუშა-ქალი მუშაობს.

მოსავლის აღება

თელავი, 13 ივლისი. ყველგან შეუდგნენ პურის მომკას. მოსავალმა მოსალოდნელს გადააჭარბა.

მკას აბრკოლებს პერიოდული წვიმები, აგრეთვე ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანში კოკისპირულ წვიმების და ნიაღვრების გამო, ზოგიერთ ადგილებში პური დაწოლილია. სამკალი მანქანები მაზრაში ძალიან ცოტაა.

პური ზოგიერთ ადგილებში სულ მოკლე ხანში დამწიფდა.

სეტყვა

თელავი, 13 ივლისი. ამ დღეებში სეტყვამ დააზიანა ვენახები და ნათესები შემდეგ სოფლებში: წინა-ალაზანსა, ზემო-ხოდაშენსა, რუისპირსა, კონდოლსა და წინანდალში. გამორკვეულ იქნა, რომ საერთოთ მოსავალი 20—25 პროცენტით დაკლებულია.

ღვინის დამყენებელ ამხანაგობების წინანდალის „სავრის“ და სხ. ვენახები დაზღვეულია.

საქონლის ქურდობა

თელავი, 13 ივლისი. სოფელ შილდის მწყემსებმა, რომლებიც ალაზნის ჭალაში მწყემსავდენ საქონელს, თან გაირეკეს 5 წყვილი კამეჩი.

ქურდების ნაკვალევზე გადევნებულმა მილიციამ ისინი შეიპყრო თბილისთან. საქონელი პატრონებს დაუბრუნდათ, ხოლო ბოროტმოქმედნი სასამართლოს გადასცეს.

წერილები

გაგვიხსენით სამეურნეო სკოლა

(ქვიანი, გურია)

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სოფ. ქვიანის მცხოვრებლებმა განიზრახეს სასოფლო სამეურნეო სკოლის გახსნა. ჯერ კიდევ ძველად ჰქონდა სოფელს 7 დესეტინამდე მიწა და ორი დიდი შენობა სკოლისათვის. მენშევიკების დროს ხალხმა აღძრა ეს საკითხი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეხლა კვლავ იქნა აღძრული შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და მშრომელი გლეხობა მოითხოვს დამტკიცებული იქნას ქვიანში სას. სამ. სკოლა, რომელსაც აკრავს ახლო სოფლები: გულეკარი, კოდორი, კეთილარი, კაპანა, ტოლები, სატახაია, ამაღლება, ვანი, სამება, ჭყონაგორა და სხვა. ყველა ეს სოფლები დაინტერესებული არიან სკოლის გახსნით ქვიანში, სადაც მდებარეობაც და ქონებაც ამ საქმეს ხელს უწყობს.

გეტო წულაძე.

ინტრიგანები აქაც არიან
სოფ. ჩოპორტი (დუშეთის მაზრა)

არაგვის ხეობაზე ჩოპორტი თითქმის პირველი სოფელია: ორასამდე კომლია და მათ საცხოვრებელ წყაროს შეადგენს ხვნა-თესვა და მევენახეობა.

წელს ბაღის კარგმა მოსავალმა პატარა წელში გაასწორა ზოგიერთი ბეჩავი გლეხი და ეგონენ ჭირნახულით დაქვეითებულ მეურნეობასაც ხელს შეუწყობს, თუ რამე ბუნების სტიქია არ მოევლინა: სეტყვა ანუ ნიაღვარი.

ჩვენი სოფელი თანდათანობით აღორძინების გზაზე დგება: ოთხწლედი—სკოლა გვაქვს და კოოპერატივიც იწყობა, აგრონომიული წრე არსებობს და რჩევა-დარიგებას აძლევს გლეხებს, გვაქვს აგრეთვე დრამატიული გუნდი, რომელიც მართავს ხოლმე წარმოდგენებს და გასართობ საღამოებს. უფრო სასიამოვნო ისაა, რომ მოეწყობა სამკითხველო, სადაც თავისუფალ დროს გლეხი ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს. აღსანიშნავია ამ სამკითხველოს გამგის ოლა თხილაძის მუყაითი მუშაობა: თვით სოფლის შვილი, ღარიბი ქალი სწირავს თავის ძალ-ღონეს და ენერგიას მშრომელთა განვითარება და გასაცნობიერებლად. ეს სოფლის მოღვაწე—სამკითხველოს გამგეცაა და დამლაგებელიც; იღებს თვეში მცირე ხელფასს, რაღაც 12 მანეთს. გამოჩნდნენ ისეთი ინტრიგანი და შურიანი ელემენტები, რომელთაც შურთ პატიოსან მუშაკისთვის ლუკმა პური და ცდილობენ ხრიკებით „გააშავონ“ და მის ადგილას პოლიციელი ქვრივი,—ვიღაც ფიცხრიშვილი დააყენონ, მაგრამ ფონს ვერ გავლენ: სოფელი და ქალთა წრე ოლა თხილაძეს მომხრეა.

ჭალარა.

„სამნი არიან ტოლნი არიან“
აცანა, (გურია)

აცანაში არის სას. სამ. ამხანაგობა „ყლორტი“, რომლის გამგეობაში რაღაც ნაირად სამი ჩხაიძე არის არჩეული. ერთ - ერთი მათგანი (ლ. ჩხაიძე) გამგეობამ, საბჭოს დაუკითხავად სანერგეს გამგეთ დანიშნა, ის ორი თვის განმავლობაში არც კი მიჰკარებია სისხლივეს სანერგეს. საბჭოს დადგენილებით ლ. ჩხაიძე მოიხსნა თანამდებობიდან, მაგრამ „ვიღაცას“ დახმარებით ისევ იქნა დაბრუნებული ძველ თანამდებობაზე. ამხანაგობას აქვს სავაჭრო, რომელშიც საქმე ისე „კარგად“ არის დაყენებული, რომ ხალხი მას „მენშევიკების დუქანს“ ეძახის. საქონელი ამ „დუქანში“ არ იშოვება, რაც იშოვება ისიც კერძო სავაჭროებზე უფრო ძვირად იყიდება.

წყაროს უბნელი.

წერილები ადგილებიდან

ს. ასკანა (ოზურგეთის მაზრა)

წამლებს ვერ ვიღებთ ჩვენს თემში, არსებობს აფთიაქი. აქამდე ის იჯარით იყო გაცემული ეხლა კი „სახმედვაჭრობას“ გადაეცა ეს აფთიაქი, მაგრამ ჩვენთვის მოსამსახურეთათვის უსარგებლოა, იმიტომ, რომ უფასოთ წამალს არ გვაძლევენ.

წამლისათვის ან მაზრაში უნდა წახვიდე ან მოსამსახურე კაცი, ან და 4—5 ვერსის მანძილზე სხვა თემში იარო. მრავალჯერ მივმართეთ მაზრას, რათა გამოესწორებია ეს მდგომარეობა, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია.

თემში 27 საბჭოთა მოსამსახურეა.

სანდრო.

ახალ-სენაკი

წიგნებს აფუჭებენ. ახალ-სენაკის სამკითხველოდან გააქვთ წიგნები და საშინლად აფუჭებენ მათ. სულაბნიან ფურცლებს, ხევენ სურათებს და სხვა. საჭიროა წიგნების გაცემისა და მიღების დროს მეთვალყურეობის დაწესება.

ვ. ჭანტურაია.

პირველი ხორგა

გახშირდა საქონლის ქურდობა. სოფელ პირველ ხორგაში მუშაობის დროს გლეხები ხარებისა და ძროხების ძებნას მოუნდნენ, ხოლო ყანები დაუთესავი დარჩათ. აღმასკომმა სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ქურდების წინააღმდეგ, რომელთა აღმოჩენა არც ისე ძნელია თუ მოინდომებს.

ბ. თ—ა.

ჟაზგმი (დუშეთის მაზრა)

სწავლის სურვილი დიდია. ჩვენი თემი შესდგება 24 სოფლისაგან. მხოლოდ სკოლები კი არსებობს 4 და ისიც ოთხწლედებია.

ვისაც სასწავლებლად ქალაქებში შეეძლო წასვლა — წავიდა, ვისაც არა, სკოლის გარეშე დარჩა.

განათლების კომისარიატო გაგვიხსენი შვიდწლედი შრომის სკოლა.

ხალამური.

გლდანი, (თბილისის მაზრა)

დაკეტილი სამკითხველო. სოფელს გლდანში გვაქვს ქოხ-სამკითხველო, მაგრამ ის მეტ წილად დაკეტილია. დიდი სურვილიც, რომ გქონდეს ვერ მოახერხებ ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობას.

ჯავახიშვილი.

ლანჩხუთი, (გურია)

კულტსექციას სძინავს. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ლანჩხუთის ქალაქის საბჭომ გამოყო კულტსექცია, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთხელ გამართულ წარმოდგენას.

კულტსექციამ შეადგინოს ადგილობრივი დრამატიული წრე და იმუშაოს ახალი რევოლიუციონური რეპერტუარით.

გ. ქვიანელი.

სოფლის ქრონიკა

— **ტყის დაცვა.** დუშეთის აღმასკომმა სასტიკად აკრძალა ტყეების გაჩეხვა.

— **ბაჟი.** დუშეთში გასაყიდად შემოტანილ შეშაზე მოიხსნა ბაჟი.

— **ხიდი.** დუშეთის მაზრის აღმასკომის დადგენილებით, შეუდგენ ჩოპორტის ხიდის აგებას.

— **სამკურნალო მცენარეულობათა გადასამუშავებლად** განზრახულია აფხაზეთში სპეციალური ქარხნის მოწყობა.

— **სკოლა.** მომავალ სასწავლო წლისათვის სოფ. ცხონკუში (ქუთ. მაზრა) აგებენ სკოლას.

— **ლიუქსემბურგში** წელს პურის კარგი მოსავალია.

პარტიული ცხოვრება

1926 წლის პარტაღწერა

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების აღწერა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღემდე არ მოიპოვება სრული ცნობები ა.-კ. პარტორგანიზაციების, კომუჯრედების შემადგენლობის და პარტკომების ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. გასული წლის აღწერისგან, მომავალი აღწერა მით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი შეეხება, როგორც. პარტიის წევრებს ისე მის კანდიდატებს.

აღწერის მნიშვნელობას აორკეცებს კიდევ ის გარემოება, რომ მის შემდეგ მოხდება კომუნისტების აღრიცხვის სრული რეორგანიზაცია, ხოლო პირადი საქმეების სრულიად გაუქმებული და ისპარტში იქნება მიცემული.

ეს საკითხი გაირჩა სრ. საკ. კომპარტიის ცეკასთან მოწვეულ საინფორმაციო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირზე, სადაც, ეს საკითხი დეტალურად იქნა შესწავლილი და განხილული.

ამჟამად პარტორგანოების საორგანიზაციო გეგმას ამუშავებენ ეროვნულ კომპარტიათა ცეკები. პარტ. ამხანაგები პარტაღწერის ჩატარებას ადგილობრივ სრულიად მიზანშეწონილად სთვლიან.

არსებითი ცვლილებები და დამატებები გეგმაში არ შეუტანიათ, მხოლოდ საქართველოს და სომხეთის კომპარტიის ცეკებმა გამოსთქვეს სურვილი გამოკვლეულ იქნეს აგრეთვე სოფლელი კომუნისტების სამეურნეო მდგომარეობა. ამის შესახებ ეცნობება სრ. საკ. კომ. პარტიის ცეკას.

აღწერა დაიწყება დეკემბერში ქალაქის პარტორგანიზაციებში გაგრძელდება 7 დღეს, ხოლო სოფლის პარტორგანიზაციებში 14 დღეს. აღწერის დროს ყოველი წევრის პარტბილეთზე დაკრული იქნება მარკა წარწერით: „1926 წლის პარტაღწერა“! ამხანაგებისაგან, რომელნიც პარტაღწერაში არ გატარდებიან, საწევრო გადასახადი არ მიიღება.

ამჟამად საკ. ქ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი აწარმოებს პარტაღწერის ჩასატარებელ მოსამზადებელ მუშაობას. გამოყოფილია საოლქო კომისია სათანადო კომისიებს აწყობენ ეროვნულ კომპარტიების ცეკებიც, რომელთაც ევალებათ გამოჰყონ ადგილებზე პარტაღწერის ორგანიზატორები. აღწერის დაწყების დღე დაწესებულ იქნება საკ. კომპარტიის ცეკას საგანგებო დადგენილებით. იგივე ცეკა აძლევს თანხებს აღწერის ჩასატარებლად. აღწერა ჩატარდება რუსულ ენაზე მთელ საბჭოთა კავშირში.

აღმწერელთა და ორგანიზატორების შერჩევის დროს უპირატესობა მიეცემა ამხანაგებს, რომელთაც იციან, როგორც რუსული, ისე ადგილობრივი ენები.

აღწერის მნიშვნელობის განსამტკიცებლად და ფართე პარტიული მასისათვის გასაცნობად საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იწყებს კამპანიის პრესაში. აღწერის საკითხი დაისმება აგრეთვე პარტიულ დღის წესრიგში.

ა.-კ. კომუნივერსიტეტთან არსებულ კოოპერატიულ კურსებზე მიღების შესახებ

ა. წ. 15 სექტემბრიდან დაიწყება მეცადინეობა ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ კოოპერატიულ კურსებზე. პანსიონერთა საერთო რიცხვი განსაზღვრულია 50 კაცით.

ადგილები პანსიონში ა.-კ. რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული:

საქართველოს—20 ადგილი, აზერბეიჯანს—20, სომხეთს—10.

ეს ადგილები რესპუბლიკებმა უნდა გაანაწილონ კოოპერაციის ორს ძირითად დარგებს შორის—მომხმარებელი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შორის. კურსებზე გამოსაგზავნ კანდიდატების სიებს ადგენენ მომხმარებელი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რესპუბლიკანური ცენტრები და უთანხმებენ რესპუბლიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს.

კურსების ამოცანა არის უფრო მაღალი ტიპის (ვიდრე შარშან იყო) მუშაკების მომზადება. ამიტომ კოოპერაციის რესპუბლიკანურმა ცენტრებმა მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგს:

1) კურსებზე გამოსაგზავნ პირების წინასწარ საერთო მომზადებას. კურსებზე მიღებისათვის აუცილებელია ელემენტარული ცოდნა ფიზიკურ გეოგრაფიიდან, საზოგადოებრივ ისტორიიდან პოლიტცოდნიდან, და რუსული წერა-კითხვის საკმაოდ ცოდნა.

2) კანდიდატების ამორჩევის დროს უპირატესობა უნდა მიეცეთ მათ, ვინც უკვე მუშაობს კოოპერაციაში და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა საზოგადო მუშაკმა.

კურსებზე მიღების დროს მოხდება მისაღებ კანდიდატების შესამოწმებელი გამოცდა. ის კანდიდატები, რომელნიც ვერ დააკმაყოფილებენ კურსების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს, გაგზავნილ იქნებიან უკანვე გამომგზავნელ ორგანიზაციის ხარჯზე.

სამეცადინო ენა—რუსულია ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი გამოგზავნილი მოწაფეები წამოყენებულ პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო, უკანვე იქნებიან გაბრუნებული, საჭიროა რესპუბლიკებმა ზემოაღნიშნულ 50 კაცს გარდა, დამატებით გამოგზავნონ კიდევ 15 კაცი: 6 კაცი საქართველოდან, 6 აზერბეიჯანიდან და 3 სომხეთიდან. ზემოხსენებულ პირობებს გარდა კურსანტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნილებანი:

ა) ფიზიკური განვითარება.

შენიშვნა: გადამდებ სნეულებით—მათ შორის, ვენერიული სნეულებით, ნევრასტენიით, ჭლექით შეპყრობილნი და აგრეთვე ძალზე დაქანცულნი და ფიზიკურად სუსტნი კურსებზე არ მიიღებიან.

კურსებზე წარმოგზავნილებმა უნდა წარმოადგინონ კომ. უნივ. კანცელიარიაში შემდეგი საბუთები:

ა) სამივლინებო მოწმობა;

ბ) დაწვრილებითი ავტო-ბიოგრაფია ორი, გამომგზავნელ ორგანიზაციის მიერ დამოწმებული, ფოტოგრაფიული სურათით;

გ) პირადობის მოწმობა;

დ) პირადი სამხედრო აღრიცხვის ბარათი;

ე) მოწმობა განათლების შესახებ (თუ ასეთი აქვს).

კურსანტებს ეძლევა. საერთო საცხოვრებელი ბინა, კვება, სრული ჩაცმა-დახურვა და სამოსწავლო ნივთები-სახელმძღვანელოები.

საერთო საცხოვრებელში კურსანტები მიიღებიან უოჯახოთ.

კურსანტების ოჯახების ბინით და სამსახურით უზრუნველყოფის შესახებ კურსები არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს.

კურსებზე გამოგზავნილი დელეგატები უნდა გამოცხადდენ 10 სექტემბერს. მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 15 სექტემბერს. ის, ვინც დაიგვიანებს, უკანვე გაიგზავნება.

„წითელი წერაქვის“ კვირა

გუშინ, ა. ლ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციაში დაიწყო „წითელი წერაქვის“ კამპანია. კამპანიის მიზანია მუშურ ახალგაზრდობის ამოძრავება ინგლისის გაფიცულ მემაღაროებისადმი სოლიდარობის და ამხანაგური თანაგრძნობის ნიშნად.

მიმდინარე კამპანიას მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ ის გააძლიერებს მშრომელ ახალგაზრდობაში ინტერნაციონალური სოლიდარობის და მუშური მთლიანობის შეგნებას.

გარდა ამისა, მიმდინარე კამპანია მიზნად ისახავს აგრეთვე ფულის შეგროვებასაც გაფიცულთა სასარგებლოთ.

კომკავშირის ორგანიზაციის ყველა რაიკომებთან დაარსებულია სპეციალური კომისიები, რომლებიც უხელმძღვანელებენ კამპანიას. მიმდინარე კვირის განმავლობაში ყველა ფაბ.-ქარხნებში და წარმოებებში მოეწყობა მიტინგები, სადაც განმარტებული იქნება მემაღაროების ბრძოლის მიზანი და ბრძოლის ძნელი მდგომარეობა.

თვითეული კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრდობა მხურვალედ უნდა გამოეხმაუროს „წითელ წერაქვის“ კამპანიას. თბილისის პროლეტარიატთან ერთად მანაც უნდა აღიმაღლოს ხმა ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ და შეძლების და გვარად აღმოუჩინოს მატერიალური დახმარებაც.

16, 17 და 18 ივლისს გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ იწარმოებს ფულების შეგროვება.

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში უკვე ჩატარდა „წითელი წერაქვის“ კამპანია. კომკავშირლებმა და უპარტიო ახალგაზრდობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მის ჩატარებაში.

მოსკოვში, მაგალითად, შეგროვილ იქნა ყულაბებით 15 ათას მანეთამდე.

ვფიქრობთ, რომ თბილისის მშრომელი ახალგაზრდობა არ ჩამორჩება საბჭოთა კავშირის ახალგზრდათა ლაშქარს და ისიც შეიტანს თავის წვლილს ინგლისის გაფიცულ მუშათა დახმარების საქმეში.

ზანიძე.

ქალაქის (მეოთხე) რაიკომის პლენუმი

13 ივლისს, ქალაქის აღმასკომის დარბაზში საღამოს 6 საათზე გაიხსნა ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის (მეოთხე) რაიკომის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) პოლიტსკოლების მეცადინეობის შედეგები 1925—26 სამოსწავლო წელში.

2) მოხსენება საწარმოვო და საეკონომიო თათბირების მუშაობის გამოკვლევის შესახებ.

3) მიმდინარე საკითხები.

პოლიტსკოლების მუშაობის შედეგების შესახებ 1925—26 სამოსწავლო წელში მოხსენება გააკეთა ამხ. ფიშერმა.

1926 წ. 1 იანვრისათვის რაიონში იყო 33 პოლიტსკოლა 750 მსმენელებით, 1926 წ. 1 თებერვლისათვის 43 პოლიტსკოლა 963 მსმენელებით, 1 მაისისათვის კი 57 პოლიტსკოლა—სხვადასხვა საფეხურისა.

პოლიტსკოლებში მთავარი ყურადღება ექცევა მე 14 პარტყრილობის დადგენილებათა და საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესწავლას. ა.-წ. 1 მარტიდან თანახმად ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის დირექტივებისა პოლიტსკოლებში ასწავლიდენ საბჭოთა კონსტიტუციას და პარტიის ისტორიას—(შემოკლებით). ირჩეოდა აგრეთვე სამეურნეო საკითხები. პოლიტსკოლები დაამთავრა სულ 975 კაცმა, გამოშვება მოხდა მხოლოდ 47 პოლიტსკოლაში. სხვა სკოლები კი სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო არ იქნა გამოშვებული. გამოშვებულ პოლიტსკოლებისაგან ქართულია—20, სომხური—5 და რუსული—22 სკოლა.

მომხსენებელმა გამოსთქვა აზრი, რომ მომავალში უნდა გაფართოვდეს თვით განვითარების წრეთა ქსელი, აგრეთვე პოლიტსკოლებში უნდა იქნეს ჩაბმული მუშათა აქტივის 25 პროცენტი, აგრეთვე უნდა იქნეს შერჩეული უკეთესი პოლიტსკოლების ხელმძღვანელები.

პლენუმმა აღნიშნა, რომ პოლიტსკოლებში საუბრების მეთოდი მიზანშეწონილი აღმოჩნდა მიღწევებთან ერთად პლენუმმა აღნიშნა შემდეგი ნაკლულოვანებანი:

1) პოლიტსკოლების შემადგენლობის არა ერთფეროვანება.

2) სათანადო ბინების უქონლობა სკოლებისათვის.

3) არა საკმაო დასწრება მეცადინეობაზე.

4) სასწავლო სახელმძღვანელოების უქონლობა უმთავრესად ქართულ და სომხურ ენებზე.

5) უჯრედების არა საკმაო კავშირი პოლიტსკოლეთან.

6) არა საკმაოდ დამუშავება საპროგრამო მასალისა.

პლენუმმა პოლიტსკოლების მეცადინეობისათვის მომავალ სამოსწავლო წლისათვის გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა.

საწარმოვო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის გამოკვლევის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **გუდავაძემ.** თანახმად რაიკომის დირექტივებისა გამოკვლეული იქნა 5 წარმოების დარგის და 6 დაწესებულებების ეკონომიური და საწარმოვო თათბირების მუშაობა. გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი: 1) არ ხდება მუშაობის აღრიცხვა. საწარმოვო და ეკონომიური თათბირების მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ მუშების 10 პროც., რაიც ძლიერ მცირეა. მომავალში მუშაობაში უნდა იქნეს ჩაბმული რაც შეიძლება მეტი პროცენტი მუშებისა. 2) კავშირების ცენტრალურ გამგეობის მხრით სუსტია ხელმძღვანელობა საწარმოვო და ეკონომიურ თათბირების მუშაობაზე. კავშირების ცენტრ. გამგეობები არ ისმენდენ მოხსენებებს ცალკე ქარხნების საწარმოვო და ეკონომიურ თათბირების შესახებ. 3) საწარმოვო და ეკონომიურ თათბირების მუშაობაზე. სუსტია აგრეთვე პარტხელმძღვანელობაც.

ამ თათბირების მუშაობის გაუმჯობესებისათვის პლენუმმა შეიმუშავა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

დასასრულს ამხ. **დარახველიძის** წინადადებით პლენუმმა დაადგინა დაევალოს პარტწევრებს ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშებისათვის დასახმარებლად გაიღონ ხელფასის ნაწილი.

№.

საბჭოთა კავშირი და იაპონია

(საუბარი ხარბინის იაპონია-საბჭოთა სავაჭრო მუზეუმის დირექტორ ბ. მიხასე მოზესთან)

თბილისში ჩამოვიდა იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ხელის შემწყობ კომიტეტთან (ხარბინში) არსებულ სავაჭრო მუზეუმის დირექტორი ბ. **მიხასე მოზე** და ამავე მუზეუმის თანამშრომელი **სუეძი ხატი.**

12 ივლისს ბ. მოზე ესტუმრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესთან საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის შესახებ. შემდეგ მოზე ესტუმრა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სადაც დაწვრილებითი ცნობები მიიღო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შესახებ.

ჩვენს თანამშრომელს ბ. მოზემ გაუზიარა ზოგიერთი ცნობები იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ხელისშემწყობ საზოგადოების და, კერძოდ, მუზეუმის მუშაობის შესახებ.

— ჩვენს საზოგადოებას,—განაცხადა მოზემ,—რომელიც დაარსებულია იაპონიის საქმიანი წრეების და საბჭოთა მთავრობის დახმარებით, მეთაურობს ვიკონტ გოტო, რომელიც ერთერთი თავგამოდებული მომხრეა იაპონიის და საბჭოთა კავშირის დაახლოვების.

ჩვენმა საზოგადოებამ მიზნად დაისახა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკების ეკონომიური მდგომარეობის გაცნობა. საზოგადოების მიერ ხარბინში დაარსებულ სავაჭრო მუზეუმში გამოფენილია იაპონიის და საბჭოთა კავშირის მრეწველობის მრავალი ექსპონატები.

რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა უფრო მდიდრულად იქნეს წარმოდგენილი აღნიშნულ მუზეუმში, მე და ჩემი თანამშრომელი გამოგზავნილი ვართ ხანგრძლივ მივლინებაში საბჭოთა რესპუბლიკების მრეწველობის ადგილობრივ გასაცნობად.

ჩვენ უკვე ვიყავით მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ოდესაში და ამჟამად ვეცნობით საქართველოს მრეწველობას. საქართველოში ჩვენ გვაინტერესებს ტყიბულის ქვა-ნახშირი და აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგები.

ამასთანავე ჩვენ გვაინტერესებს ბაქოს ნავთის ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან იაპონიაში; ომამდე ეს საკითხი მოგვარებული იყო, მაგრამ ომისა და რევოლიუციის ხანებში სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის შეწყდა. ეხლა მე მივემგზავრები ბაქოში ამ საკითხის პრაქტიკულად გასაცნობად.

გუშინ ბ. მოზე და ხატი გაემგზავრენ ბაქოში.

ახალი საბაჟო ტარიფი

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საბაჟო ტარიფის ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ.

საბაჟო ტარიფის ახალი განაკვეთები უკვე ტარდება ცხოვრებაში მოსკოვის საბაჟოში; დანარჩენ საბაჟოებში ის შემოღებული იქნება რამოდენიმე ხნის შემდეგ.

საბაჟო ტარიფი გადიდებულია საზღვარგარეთიდან შემოტანილ იმ საქონელზე, რომელიც უფრო მომგებიანია, მათ რიცხვში ისეთ საქონელზე, რომელსაც ხმარობს მოსახლეობის შეძლებული ნაწილი.

ყველაზე უფრო არსებითი ცვლილებები შეტანილია ზოგიერთი ხარისხის ხილის და ტკბილეულობის საბაჟო ტარიფებში. ბაჟი გადიდებულია საშუალოთ 70-300 პროცენტამდე. გადიდებულია ბაჟი საკანდიტრო ნაწარმოებზე, კაკაოზე, ყავაზე, შოკოლადზე, ტკბილეულობაზე და სხვა.

შემდეგ ბაჟი გადიდებულია თევზზე („სელდი“) და პრობკის ხის ქერქზე, რომელიც აქამდე უბაჟოდ შემოდიოდა.

ქერქზე ბაჟის გადიდება გავლენას არ მოახდენს მომხმარებელზე, ფინსახკომს კი იგი ყოველწლიურად მისცემს ერთ მილიონ მანეთის შემოსავალს, რადგან ქერქი საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად შემოდის 6,5 ათასი ტონის რაოდენობით.

გადიდებულია აგრეთვე ბაჟი კაუჩუკზე და გუტაპერჩზე. ბაჟი ყოველგვარ საპარფიუმერიო და კოსმეტიურ ნაწარმოებზე გადიდებულია 13 მანეთიდან 170 მანეთამდე თითო კილოგრამზე, ბაჟი ისეთ კოსმეტიურ ნაწარმოებზე კი, რომელიც არ შეიცავს სპირტს, გადიდებულია 7 მან. 40 კაპ. 70 მანეთამდე თი-

აბაშის ელსადგური

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო კომიტეტმა დასდო ხელშეკრულება „ელექტროსელსტროისთან“, მაღალი ძინთვის ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად და ოთხი ელექტრო ქვესადგურის ასაგებათ—ფოთში, ახალსენაკში, მარტვილში და ზანძაში.

სამუშაოთა შესასრულებლად შემუშავებული ხარჯთაღრიცხვა 299.627 მანეთის რაოდენობით გადაეგზავნა საგეგმო კომისიას დასამტკიცებლად.

აღმშენებლობა ქუთაისში

ელსადგური

საგეგმო კომისიამ გამოჰყო სპეციალისტთა კომისია ქუთაისის ჰიდრო-ელსადგურის ასაშენებლად წინასწარ სამუშაოთა პროექტის შესადგენად.

კომისიაში შედიან: ინჟ. ზეს. ჭიჭინაძე, სამოილოვი, შახბუდაგოვი და რამიშვილი.

კომისიის გამოანგარიშებით მთელი წინასწარ ხასიათის სამუშაოთა ჩატარება დაჯდება 11 ათას მანეთი.

აღნიშნული სამუშაო შეიძლება დასრულებული იქნეს სამი თვის განმავლობაში დღიდან მუშაობის დაწყებისა.

წყალსადენი

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მიიღო ქუთაისში წყალსადენის გაყვანის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. პროექტით წყალსადენი გამოყვანილი იქნება რიონიდან და გაიწმინდება ფილტრების საშუალებით.

უკანასკნელ ხანებში წარმოებულმა ანალიზმა გამოარკვია, რომ რიონის წყალი თავისი თვისებით თუ არ სჯობია, არ ჩამოურჩება წყაროს წყალს.

ხარჯთაღრიცხვით, რომელიც ითვალისწინებს ხარჯებს მილების ღრმად გასაყვანად და სახანძრო საქაჩების დასადგმელად,—წყალსადენის გაყვანა ჯდება 1.360.000 მანეთი. სახანძრო საქაჩების დაუდგმელად 80 ათასი მანეთით ნაკლები.

წყალსადენის გეგმა დასამტკიცებლად გადაეგზავნა ცენტრს.

მუშათა ცხოვრება

მუშა-გამომგონი ამხ. ქიტესა ვაშაკიძე

ყველამ იცის, ვინც დაჰკვირებია მუშაობას თონეში პურის გამოცხობის დროს, რომ ყველაზე დიდი ჯაფა „დამკვრელს“ აწევს. დამკვრელის მუშაობა აუტანელი ხდება მეტადრე ზაფხულში, როდესაც სიცხიან დღეებში მას უხდება უშველებელ თონეში, ხშირად 4 არშინის სიღრმეზე, ჩაძვრება. ყოველი მეპურე დაგიმოწმებთ, თუ რა შედეგი მოსდევს „დამკვრელის“ მუშაობას: ხშირი გაცივება, თავის ტკივილის დაჩემება, სისხლის სნეულება, ჯანმრთელობის მოშლა. გატრუსულ წვერ-ულვაშს, საბოლოოდ გაცვივნულ თმასა და უდროვოდ თვალების დაზიანებას ხომ ის „აინუშნაც აღარ აგდებს“.

ამიერიდან მეპურეობის ხელობის ეს უარყოფითი მხარეები ახალ გამოგონებამ საისტორიო არქივს უნდა ჩააბაროს. ამიერიდან ზედმეტი ხდება თვით დამკვრელის პროფესია, რადგანაც აღარ არის საჭირო თონეში ჩასვლა და ჩაძვრება. დამკვრელის როლს ვაკელი მუშის ქიტესა (პავლე) ვაშაკიძის მიერ გამოგონილი ხელსაწყო ასრულებს. უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც ვაკეში, ახალი ხელსაწყო ხმარებაშია.

ამხ. ქიტესას ხელსაწყოს გრძელი ტარი აქვს, რომელიც ორი შიგნით მოკაუჭებული რკინის „თითით“ ბოლოვდება. „თითებ“ შუა ღერძია გაყრილი; ღერძზე დაკრულია ზამბარიანი („პრუჟინიანი“), ტილოთი გადაკრული ბალიში, რომელიც ღერძთან ერთად ბრუნავს. ბალიშს ზემოდან და ქვემოდან გაკეთებული აქვს მოკლე ზამბარი, რომ 45 გრადუსზე მეტი არ გადაიწიოს და დაკვრის უმალ ჰორიზონტული მდგომარეობა მიიღოს. მეპურე ჩაუშვებს ხელსაწყოს თონეში ზედ დადებულ გატკეპნილი ცომით, მიიტანს საჭირო ალაგს, ოდნავ აიწევს ტარს, ბალიში სწრაფად აიწევა და მიაკრავს „გუნდს“ თონის კედელზე მტკიცედ და სწრაფად. მუშაობა ძალიან სწრაფად მიდის. მექანიკური დამკვრელი 5-ჯერ და 10-ჯერ მეტ პურს აკრავს ვიდრე „ცოცხალი“ დამკვრელი, სავსებით იყენებს თონის მთელ ზედაპირს და არც „კუტი“-ს გაგდება იცის. ამას გარდა იგი ისეთი მარტივია და ოსტატურად არის გაკეთებული, რომ მის ხმარებას ორ წუთში ისწავლის არამეპურეც. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მუშაობის სისწრაფე: „ცოცხალი დამკვრელი“ მზელელს ვერ შეეჯიბრება—მას ყოველთვის, თონიდან ამოსვლის უმალ, ახალ-ახალი „გუნდები“ ეგებება დაზგაზე. ახლა კი—პირიქით, მზელელი ვეღარ ასწრებს „გუნდების“ გატკეპნასა და მიწოდებას, ისეთი მარდია მექანიკური დამკვრელი.

ხელსაწყოს გამომგონი, მუშა ქიტესა ვაშაკიძე იქნება 45—50 წლისა. ხელობით ზეინკალია, მსახურობს ქალაქის სადეზინფექციო კამერაში 25 წელიწადი. მას შეტანილი აქვს განცხადება გამომგონის უფლებების მიღების შესახებ. მაგრამ ქიტესა, როგორც მისი მეგობარი მუშები ახასიათებენ მას, „ალალი და უენო“ კაცია და საჭიროა სადაც ჯერ არს მას ყურადღებით მოეპყრონ და დაეხმარონ, მით უმეტეს რომ ქიტესა ამჟამად თავისი გამოგონების ზედმიწევნით გაუმჯობესობაზე მუშაობს: სურათზე გამოსახული ორი ხელსაწყოს გარდა გაკეთებული აქვს კიდევ ორი, პატარა პურებისა და ლავაშისათვის და აგრეთვე რამდენიმე მოდელი.

გ. ბაქრაძე.



მუშა-გამომგონი ამხ. ქიტესა ვაშაკიძე
მის მიერ გამოგონილი ხელსაწყოთი

საჭიროა მიიღოთ ზომები

ა.-წ. 2 ივლისის მოულოდნელმა დიდმა წვიმის და ქარიშხალის ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა, როგორც გარე უბნების ზოგიერთ მცხოვრებლებს, ისე ზოგიერთ დაწესებულებებსაც. ნიაღვარმა მრავალი დარაბები და დაბლობზე მდგომი სახლები აავსო წყლით და ხრეშით და მრავალი შენობებიც დააზიანა.

ასეთი მოულოდნელი ნიაღვრები არც რკინის გზის მთავარ სახელოსნოებს სტოვებს უყურადღებოდ. აქაც ნიაღვრები ხშირი სტუმარია და დიდ ზარალს აყენებს სალითონო საამქროს და წყლითა და ხრეშით ჰფარავს მრავალ დამზადებულ მასალას და სხვა.

2 ივლისის საშინელი ნიაღვრები აქაც მივარდა და აავსო იქაურობა. სალითონო საამქროში მეორე დღეს მუშაობა არ წარმოებულა. დამზადებულ მასალას დიდი ზიანი მიაყენა.

ყველა ამ უბედურების მიზეზია იმ არხის გაუწმენდელობა, რომლითაც გასავალი გზა აქვს მთელი ლენინის უბნიდან მოვარდნილ ნიაღვრებს, ყოველ წელს მთავარ სახ. მოსდის ასეთი ზარალი. ხსენებული არხი ძველ დროს მუდამ წელს იწმინდებოდა, ახლა კი იმაზე არავინ ფიქრობს.

საჭიროა ამაზე იზრუნოს, როგორც მთავარ-სახელოსნოების ადმინისტრაციამ, ისე ადგილკომმაც, თორემ კიდევ მოგვივა ასეთი ზარალი.

მუშა—სიონელი.

ჩვენი ექსკურსია

(სენაკელი მუშკორისაგან)

სამაზრო პროფბიურომ 19 ივნისს გაგზავნა პირველი ექსკურსია „ზაჰესის“ და თბილისის დასათვალიერებლად.

ექსკურსია შესდგა 26 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ჰქონდა 50% შეღავათი რკინისგზის ბილეთებზე და აგრეთვე თითეულ ექსკურსანტზე 9-9 მანეთი გაღებული იქნა კავშირებისაგან. 20 ივნისს ექსკურსია ჩავიდა „ზაჰესში“.

ექსკურსიამ აქ დაწვრილებით დაათვალიერა „ზაჰესი“ მთლიანად. „ზაჰესმა“ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსანტებზე.

21 ივნისს ექსკურსია თბილისში იყო და დაათვალიერა სას.-სამ. გამოფენა. უკანასკნელის დასათვალიერებლად პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიურომ მოგვცა სპეციალური ხელმძღვანელ - ამხსნელი ამხ. ბოლქვაძე, ამხანაგმა დაწვრილებით გაგვაცნო გამოფენის თითეული იარაღი—მანქანა და მოგვცა საშუალება გაგვეცნო გამოფენის ღირსებები, რისთვისაც ექსკურსანტები მადლობას უცხადებენ ამხ. ბოლქვაძეს და საექსკურსიო ბიუროს გამგე ამხ. ე. ქმონზერს, რომელიც განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევდა ექსკურსიის ყოველგვარ საქმეში. იმავე დღის საღამოს ექსკურსიამ დაათვალიერა ფუნიკულიორი.

22 ივნისს დავათვალიერეთ ისტორიული, ზოოლოგიური და რევოლიუციის მუზეუმები. რევოლიუციის მუზეუმის დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსანტებზე, 22 ივნისს საღამოს დათვალიერებულ იქნა ბოტანიკური ბაღი.

23 ივნისს კი დავბრუნდით უკან.

დაბრუნებისას ექსკურსანტებმა თავთავიანთ კავშირებში გააკეთეს მოხსენებები ექსკურსიის შესახებ.

27 ივნისს კი გამოცემულ იქნა კედლის გაზეთი ექსკურსიის შედეგებზე. კედლის გაზეთში მოთავსებულ იქნა ექსკურსიით ნახული და ექსკურსანტების აზრი ექსკურსიის შესახებ.

აღსანიშნავია ექსკურსიის მწყობრათ ჩატარება, მხიარული და უძლიერესად მეგობრული წასვლა და დაბრუნება, რაც მთავარი პირობაა ექსკურსიისათვის.

ასეთი ექსკურსიები კიდევ უნდა მოეწყოს.

მუშკორი—უჩა.

მუშათა ქრონიკა

— **მანქანების შეძენა.** ძეხვის ქარხნის გაფართოებასთან დაკავშირებით გერმანიიდან გამოწერილია, უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით გაუმჯობესებული ძეხვის საკეთებელი ოთხი მანქანა.

— **შვებულება.** ქარხნის ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს თვეში თითო თვით შვებულებაში გაუშვას ორ-ორი კაცი.

— **საერთო საცხოვრებელი სახლი.** სად. მარელისში შენდება გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის საერთო საცხოვრებელი სახლი.

— **მუშების რიცხვის გადიდება.** საქ. სატყეო-სამრეწველო ავეჯეულობის ქარხნის გაფართოების მიზნით, განზრახულია მიიღონ 150—200 კვალიფიციური მუშა.

ახალი გამოგონება

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეცნიერო საბჭოში პროვიზორმა რომან ანდრონიკაშვილმა წარადგინა თავისი ახალი გამოგონება კბილის ავადმყოფთა მკურნალობის ტეხნიკიდან.

დღემდე კბილის ავადმყოფობათა მკურნალობის მეცნიერებაში არ იყო ცნობილი ისეთი საშუალება, რომლითაც კბილის ამოძრობა ან სხვა ოპერაციები უმტკივნეულო ყოფილიყო. ანდრონიკაშვილმა დაამზადა განსაკუთრებული ქიმიური შემადგენლობის პრეპარატი, რომლითაც ტკივილი სრულებით ისპობა.

სამეცნიერო საბჭომ მიიღო და მოიწონა აღნიშნული გამოგონება და ნება დართო პროვიზორ ანდრონიკაშვილს მოაწყოს ლაბორატორია ამ წამლის დასამზადებლათ.

ინვალიდ. სანატორიუმი

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამჟამად აწარმოებს კურორტების შერჩევას, იმის გამოსაკვლევათ, თუ სად სჯობს აგებულ იქნეს ინვალიდების სანატორიუმი.

სანატორიუმის ასაშენებელი თანხები შეტანილ იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში, სპეციალური თანხების სახით.

განზრახულია შემოდგომაზე დაიწყოს არჩეულ აგარაკზე სასანატორიუმო შენობის აგება. სანატორიუმში მოეწყობა 40 საწოლი.

მომავალ წლის საზაფხულო სეზონისათვის სანატორიუმი მზად უნდა იქნეს.

დამზღვევ სალაროში

ივნისის თვის განმავლობაში ავადმყოფთა რიცხვი უდრიდა: მამაკაცები 2.375-ს, დედაკაცები 1040. გაცდენილი სამუშაო დღეების რიცხვი ამავე თვეში უდრის მამაკაცების 31.149 დღეს, დედაკაცების — 14.433.

გაცდენილ დღეებში მიღებული ხელფასი ორივე სქესის — 125.497 მ. და 27 კ. უდრის.

ყველა სახის დახმარებები შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო უდრის ივნისის თვის განმავლობაში 136.456 მ. და 82 კაპეიკს. ამას გარდა, დამზღვევ სალაროში 1 ივლისამდე ითვლებოდა შრომის ინვალიდებად 722 მამაკაცი და 638 დედაკაცი.

10 ახალი წარმოება

ადგილობრივ წარმოებათა მომწყობმა ტეხნიკურმა კომისიამ, რომელიც მუშაობს საგეგმო კომისიასთან, დაადგინა, მომავალი წლისათვის მოაწყოს მაზრებში ათი ქარხანა. მათ შორის განზრახულია აიგოს: ახალქალაქში—ერბო-კარაქის სახდელი ქარხანა, რომელიც წელიწადში დაამუშავებს 50 ათას ფუთ რძეს. ასეთივე ქარხანა მოეწყობა ან ბორჩალოში და ან ყაზახში. ახალსენაკში გადაწყვეტილია ბეტონის ქარხნის აგება; შორაპანში—აგურ-კრამიტის ქარხნის, ხოლო ქუთაისში—ტომატის ქარხნის გახსნა. გარდა ამისა გორში გაიხსნება ახალი საკონსერვო ფაბრიკა და ოზურგეთში ნიგვზის კაკლის საწმენდი ქარხანა.

ყველა აღნიშნულ წარმოებათა ძირითადი თანხა განსაზღვრულია 1.186.000 მან., ხოლო საბრუნავი—1.165.000 მან.

ქარხნების მოსაწყობათ საჭირო ხარჯების გამოანგარიშება და ხარჯთაღრიცხვების შედგენა მინდობილი ჰქონდა ს. მ. უ. ს. საეკონომიო განყოფილებას.

ს. მ. უ. ს. მიერ წარმოდგენილი დასკვნების თანახმად მოხსენებულ ქარხნების ასაგებათ საჭირო პროექტების შედგენა და წინასწარი გამოკვლევების მოხდენა დაჯდება 21.880 მან.

პროექტების გადამუშავებას დასჭირდება ორი თვე.

მულანლოს ველის მორწყვა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მისაღებად სცნო საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიის პროექტი მულანლოს ველის მორწყვის შესახებ.

მუშაობა აღნიშნული ველის მოსარწყავად გაგრძელდება ათი წელიწადი და დაჯდება 50 მილიონი მანეთი. პირველ წლებში მთავარი ყურადღება მიექცევა აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებას ჩრდილოეთ მულანლოში და სხვა დასახლებულ რაიონებში.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ აუცილებლად სცნო მულანლოს თანდათანობითი დასახლება მიწების მომზადებისთანავე. ამ მიზნით არსდება გადასახლებულების სპეციალური ფონდი, გადასახლებულებს კი მიენიჭებათ მთელი რიგი შეღავათები.

იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობა გაეწიოს მულანლოს ველის მოსარწყავად წარმოებულ მუშაობას, დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლებისაგან არსდება განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ დაემორჩილება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

სალი რძე

ამ.-კავ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატები და კოოპერატიულ კავშირთა კავშირი ახლო ხანში მოაწყობს კონკურსს სალ რძეზე. კონკურსის მიზანია გამოაკვლიოს ცალკე რესპუბლიკებში რძის სისაღე და ხარისხი და ამავე დროს მოაწყოს ბრძოლა რძის ხელოვნურათ დამზადების წინააღმდეგ. ეს გამოწვეულია მით, რომ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გავრცელდა ხელოვნურათ შეზავებული რძე, განზრახულია აგრეთვე კონკურსის შემდეგ გამოიცეს დადგენილება ყალბი რძის გამყიდველთა წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი შრიფტი

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობასთან დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ქართული შრიფტის რეფორმის განხორციელება გადასაწერ მანქანებისათვის.

ახალი შრიფტის ახოთა ნახაზობანი, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ გაიგზავნება გერმანიაში გადასაწერ მანქანის ახოთა ჩამოსასხმელად.

საზღვარ გარეთიდან აღნიშნულ შრიფტის ჩამოსხმულ კომპლექტების მიღების შემდეგ, დაიწყება საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა გადასაწერ მანქანების გადაკეთება.

მუშათა ბინები

შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა უშუალო მონაწილეობა მიიღოს მუშათა ბინების აშენებლობაში. უმთავრესად ეს მონაწილეობა გამოიხატება აღმშენებლობის ტექნიკურ მხარეში, რომ მუშათა ბინები შენდებოდეს სანიტარულ - ჰიგიენურ პირობების დაცვის მიხედვით. ამ მიზნით კომისარიატის ტექნიკურ ინსპექციას დაევალა, მუშათა ბინების აშენებლობაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა და ამა თუ იმ ბინის საამშენებლო გეგმის შედგენის დროს წარადგინოს და მტკიცედ გაატაროს წინადადება იმის შესახებ, რომ ბინები თავის საცხოვრებელ მოცულობით სავსებით აკმაყოფილებდენ სანიტარულ - ჰიგიენურ მოთხოვნილებებს მუშათა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და ამავე დროს ბინები უზრუნველყოფილნი იქნენ უშიშროების მხრივ.

ტყეები

საქართველოს ტყეების საერთო არე 2.571.011 დესეტინას უდრის, აქედან აფხაზეთში—499.901 დეს., აჭარისტანში—124.375 დეს., სამხრეთ-ოსეთში—300.000 დეს. და დანარჩენ საქართველოში—1.646.335 დეს.

გეგმით განზრახული იყო გლეხობისათვის 245.517 დეს. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა, აქედან ავტონომიურ ერთეულებში—111.017 დეს. და დანარჩენს ადგილებში—134.500 დეს.

ადგ. მნიშვნ. ტყეების გამოყოფის შესახებ ავტონომიურ ერთეულებში საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს ჯერ მიღებული არ აქვს საბოლოო ცნობები, ხოლო დანარჩენ ადგილებში გეგმა 100 პროც. გადამეტებით არის შესრულებული: გამოსაყოფად განზრახულ 134.500 დეს. ნაცვლად ნამდვილად გამოყოფილია 151.240 დეს. ადგ. მნიშვნელობის ტყე.

შემდეგ ყველაზე მეტი გამოყოფილია მაზრებში: ქუთაისის—23.653 დეს., თელავის—22.413 დეს., გორის—19.470 დეს.

ყველაზე ნაკლები შემდეგ მაზრებში: ბორჩალოს—3.871 დეს., ლეჩხუმის—3.125 დეს., ახალქალაქის—3.109 დეს. და სიღნაღის—2.180 დეს.

პენსიონერები

აჭარისტანში

1 ივნისისათვის აჭარისტანში პენსიონერთა რიცხვი უდრიდა 202. მათ შორის შრომის ინვალიდები არიან 150 კაცი.

დამზღვევი სალარო ამავე რიცხვისათვის დახმარებას აძლევდა 796 დაზღვეულ უმუშევრებს. მათ შორის 636 მამაკაცია, 160 ქალი.

სამხრეთ ოსეთში

სამხრეთ-ოსეთში პენსიონერთა რიცხვი 1 ივნისისათვის უდრიდა 20 კაცს, აქედან შრომის ინვალიდი ყო 11.

ამავე ხნისათვის დახმარებაზე აყვანილი იყო 201 დაზღვეული უმუშევარი, მათ შორის 4 ქალი.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

— კერძო პირთა სახლების დათვალიერება დაამთავრა ტექნიკურმა კომისიამ. დათვალიერებულ სახლების უმრავლესობა საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას. სახლის პატრონებს წინადადება მიეცათ 3 თვის განმავლობაში მოახდინონ მათი შეკეთება.

— ავჭალაში შეუდგენ წყალსადენის ახალი მაგისტრალის გაყვანას 2 ვერსის სიგრძეზე.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— [illegible]. ხუთშაბათს, ივლისის 15-ს მიწადმოქ. სახ. კომისარიატში დანიშნულია სახ. კომისართა საბჭოს მიერ დაარსებულ კომისიის სხდომა, კომისია განიხილავს სახალხო მამულებს და „საქართველოს ჩაი“-ს საპაიო საზ-ბის განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო ქონების იჯარის საფუძვლებზე სარგებლობის საკითხს.

— მიწად-მოწყობის საქმის გამოსაკვლევად ადგილებზე დაიგზავნა რევიზორები.

შრომის სახ. კომისარიატში

— სტატისტიკურ ქვეგანყოფილებას დაევალა სტატისტიკურად დაამუშაოს შრომის ინსპექტორების საბრევიზიო ოქმები გასულ წელს დაგროვებული მასალების მიხედვით.

— მომრიგებელი კომისია. შრ. სახ. კომისარიატის წინადადებით კომისარიატთან შესდგა მომრიგებელი ახალი კომისია ამხ. მორჩილაძის თავმჯდომარეობით და გოგინაშვილის და ჩიტაშვილის შემადგენლობით.

— ნარკომზდრავის მუშა-მოსამსახურეთა საქმეთა დახმარების განყოფილებამ, შრ. კომ. კომისარიატმა გამოყო საკურორტო სამმართველოდან და გადასცა ბორჯომის დამზღვევ სალაროს.

— შრომის მეურნეობის საზეიმო გახსნა მოხდება ამა თვის მეორე ნახევარში.

სოციალური უზრუნველყოფა

— პენსიები. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით ახალ-ქალაქის მაზრაში პენსიების სახით პირველ მაისიდან პირველ ივლისამდე დაურიგდა ინვალიდებს ფულით — 705 მანეთი, ერთ-დროული დახმარებით—[illegible] მანეთი, გაეწია უფასო საქ. დახმარება — 26 კაცს.

— [illegible]. — ფონდის გასაძლიერებლად სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით—ახალქალაქის მაზრაში კოლექტიურად დასამუშავებლათ გლეხკომს გადაცემული აქვს 70 დესიატინა მიწა.

— დახმარება. გლეხკომებმა ახალ-ქალაქის მაზრაში ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ერთდროული დახმარების სახით დაურიგა ღარიბ გლეხებს — 600 მანეთი. მეურნეობაზე მოსახმარათ სესხის სახით მიეცა გლეხებს—1000 მანეთი.

— სათადარიგო ფონდში. ახალ-ქალაქის მაზრაში გლეხკომებს ამჟამად აქვთ ფულათ დაგროვილი სათადარიგო ფონდში — 3.189 მანეთი და 50 კაპ.

— შრომით დახმარება. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით—ოზურგეთის მაზრაში ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში გლეხკომებმა 485 სამუშაო დღით შრომით დახმარება აღმოუჩინა ობლებს, ქვრივებს, ინვალიდებს და იმ წითელარმიელების ოჯახებს, რომელთაც სამუშაო სეზონში გაწვევის დროს არ დარჩენიათ სახლში ნარჩენი მუშა ხელი.

— სესხი ღარიბ გლეხებს. ოზურგეთის მაზრაში სათესლე ხორბლეულის შესაძენად და მიწების დასამუშავებლად გლეხკომებმა სესხად მისცეს ღარიბ გლეხებს—1243 მანეთი. დაურიგა გლეხებს ამავე მიზნისათვის ერთდროულ დახმარებათ — 873 მანეთი.

— დახმარება სკოლებს და სხვა დაწესებულებებს. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით — გლეხკომებმა ოზურგეთის მაზრაში სკოლებს და სხვა დაწესებულებებს 1 აპრილიდან 1-ლ ივლისამდე მისცა დახმარების სახით — 1.148 მანეთი.

სხვადასხვა

— სასამართლოს მთავარი შენობის შესაკეთებლად (იუსტიციის) გადადებული იქნა 8.000 მან.

— სამაღაროო ყრილობა გაიხსნება ნოემბრის შუა რიცხვებში.

— სახ. ვაჭრობის სამმართველომ მიიღო დიდძალი ფეხსაცმელები და ჭურჭლეულობა.

— კრედიტი. ა.-კავკასიაში საბჭოთა მეურნეობების დასაფინანსებლად გასულ ორ წელში სესხის სახით გაიცა 867,000 მან.

— სეტყვა. უკანასკნელ ხანებში მოსულმა სეტყვამ ა.-კავკასიის მრავალ ადგილას სასტიკად მოსპო ვენახები და ხილის ბაღები. ზარალის გამოკვლევა სწარმოებს.

— პურის ახალი მოსავალი. საქართველოს მრავალ ადგილას პური უკვე მოიწია. ზოგ ადგილას ეხლა სწარმოებს.

— სახალხო - სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან სამედიცინო-სანიტარული და სამეცნიერო და სასწავლო ხასიათის დაწესებულებები.

— განათლების მუშაკთა სახლში დღეს, ოთხშაბათს 14 ივლისს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ტექნიკურ თანამშრომელთა კრება. წრის მეცადინეობა ქართულ ჯგუფში, ხოლო საღ. 7 საათზე—ამხ. ანდრეევის მოხსენება რუსული ენის რაციონალიზაციის შესახებ.

შემთხვევები

— შეპყრობა. დააპატიმრეს ილიკო შერაძე, რომელსაც ბრალდება კარონას სავაჭროდან სისტემატიურად საქონლის მოპარვა.

— ქურდების ჩხუბი. რკ. გზის სადგურის მახლობლად ქურდმა რეციდივისტმა ბრლლეშამ დანით დასჭრა ქურდი რეციდივისტი სევერიანე ნინუა.

—ქურდობა. 11 ივლისს ამაღლების ქ. № 1 ეჟვით შეიპყრეს ოლღა მასლიანიკოვა.

— შეპყრობა. ჯიბგირობისათვის 11 ივლისს შეიპყრეს ზურა ჩახოიანცი.

— ამავე დღეს ვერის დაღმართი № 5 გაქურდეს ნადეჟდა მაქსიმოვის ბინა. წაიღეს 150 მან. ნივთები.

— ქურდობა. 12 ივლისს ხათომის ქ. № 8 გაქურდეს მარიამ სარიაშვილის ბინა.

მეხანძრეთა ალლუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე გაიმართა თბილისის მეხანძრეთა რაზმის ალლუმი-გამოცდა.

რაზმი მოულოდნელად გამოწვეულ იქნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობასთან, სადაც გაიმართა ხანძრის იმიტაცია.

გამოწვევიდან რაზმი გამოცხადდა და წყალი მიაწოდა საჭირო ადგილას 7 წუთში, რაც გაცილებით მანძილისათვის უნდა ჩაითვალოს სარეკორდო სისწრაფედ.

გამოწვევის ადგილზე გაიმართა აგრეთვე ახალი ცეცხლის მქრობელი მანქანების ამუშავება.

ალლუმს დაესწრო დიდძალი საზოგადოება.

სამრეწველო გეგმა

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა სამრეწველო გეგმების წარმოდგენის წესი 1927—28 წლისათვის. ამ წესის მიხედვით ტრესტებმა თავიანთი მუშაობის გეგმა უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს 10 აგვისტოსი, ხოლო აფხაზეთის სახ. მეურ. უმ. საბჭომ, აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველომ და თბ. კომუნ. მეურნეობამ — 15 აგვისტომდე. წარმოდგენილ გეგმების განხილვა უნდა დამთავრდეს 25 აგვისტომდე.

გლეხთა სასახლეში

კინო-სურათი

დღეს გლეხთა სასახლეში გაიმართება კინოსურათის ჩვენება ჩამოსულ გლეხებისათვის. მიდის „ძინა ძაძუ“.

ექსკურსია

15 ივლისს, საღამოს გლეხთა სასახლეში ჩამოსული გლეხების ექსკურსია მოახდენს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებას.

სასამართლო

ხელშეკრულების შეუსრულებლობა და ფულების მითვისება

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ზერაშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების გ. ხარაგაშვილის და ი. ჭოსიაშვილის მონაწილეობით გაირჩა ვანო სოლოლაშვილის საქმე.

სოლოლაშვილს ბრალდებოდა ხელშეკრულების შეუსრულებლობა და 751 მან. მითვისება.

1924 წ. 17 მაისს, ბრალდებულმა ს. მ. უ. საბჭოს ლითონის ტრესტის განყოფილებასთან 6 თვის ვადით დასდო ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო იარაღების რეალიზაციის შესახებ. მიიღო რა სამეურნეო იარაღები სარეალიზაციოდ—გაჰყიდა და 751 მან. მითვისა.

ბრალს სდებდა პროკურორი ზარამიძე, ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ქ. ნინიძე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულმა წინასწარი განზრახვით არ შეასრულა ხელშეკრულება.

751. მან. მითვისების ფაქტი სასამართლოს კვლევა-ძიებით დადასტურდა.

სასამართლომ ბრალდებულ სოლოლაშვილს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა; ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებული ამჟამად იხდის სასჯელს ამგვარი ხასიათის ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, რისთვისაც მას მისჯილი აქვს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, დაადგინა: სოციალური დაცვის ღონისძიება დაფარულ იქნეს პირველი განაჩენით.

საგარანტიო დაზღვევა

საგარანტიო დაზღვევის პრაქტიკას საქართველოში მხოლოდ ერთი წლის ისტორია აქვს, ხოლო აქედან წლის პირველი ნახევარი მოუნდა მის ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმეს.

მიმდინარე წლის ოქტომბრიდან—30 ივნისამდე მოხდა დაზღვევა სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების საქონლისა და ფულის ოპერაციებისა. დასაზღვევი თანხა გამოიხატება—3.9[illegible].500 მანეთში.

ამ პერიოდში მიყენებული ზარალი განისაზღვრება—7.612 მან. რომელიც სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ უკვე ანაზღაურებულია სავსებით.

ამ ხნის განმავლობაში დაზღვეულ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა ქონების დაკარგვის 15 შემთხვევას.

უკვე დაზღვეულია: ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, კომპილის ტრესტი, მუშკოოპი და „მერმისი“. დაზღვეულნი არიან აგრეთვე მთელი რიგი ბანკებისა.

გარდა ქონების დაზღვევისა, საგარანტიო დაზღვევა ვრცელდება თანამშრომლებზედაც, რისთვისაც არსებობს სპეციალური სარეკომენდაციო-საატესტაციო ბიურო, რომელშიაც, ტარდებიან ყველა ის პირები, რომლებიც მუშაობენ დაზღვეულ დაწესებულება-ორგანიზაციებში, ან ირიცხებიან კანდიდატებად იქ გასაგზავნად.

ამჟამად ჩარიცხულია საგარანტიო დაზღვევაში 1.5000 პირი სამუშაოზე გასაგზავნათ; უკვე გაგზავნილია 1.000 კაცამდე.

კინო

ახალი სურათები

რეჟისორმა პერესტიანმა დაამთავრა ფილმები „ხაბურ-საფლავი“ „თავადის ქალის დანაშაული“ — (აზერბეიჯანი I) „სასჯელი“ (აზერბეიჯანი II) „ილლან-დილლი“ (ველის ნესტარი). ყველა ეს ფილმები გაერთიანებული არიან „წითელ ეშმაკუნების“ მსახიობთა — ესზეფის, ესიკოვსკის, კადორ-ბენ-სალიბას (ჯაკსო-ნისს), [illegible], მაგრამ თვითეულ ფილმათაგანი სრულიად დამთავრებულ სურათს წარმოადგენს.

„ხაბურ - საფლავი“

მძლევა მახნოს რაზმის დარღვევას, მახნოს რუმინიაში გადასვლის და მისი ბანდების ლიკვიდაციის სურათს, ფილმში გადმოცემულია მახნოველების ყოფა-ცხოვრება. წარწერები შედგენილია მახნოველების თავისებური ჟარგონით.

ამ სურათის გადაღებაში მონაწილეობა მიიღეს კავკასიის კავალერიის ნაწილებმა. მთავარ როლები დაკისრებული აქვთ: ესზეფის, ლიუქსს, ესიკოვსკის, კადორ-ბენ-სალიბას. ოპერატორი დილმელი.

„თავადის ქალის დანაშაული“

ამ სურათში გადმოცემულია ბრძოლა ნავთის წყაროების დაპატრონებისათვის. სურათი გადაღებულია ბაქოში, უმთავრესად ბიბიეიბათის რაიონში, კასპიის ზღვის და მეტად წარმტაცი ტბის „ჯიულ-გიული“-ს პირად. სურათის მეორე ნაწილში მოქმედება სწარმოებს პარიზში, სადაც გადაღებულია მთელი რიგი სცენები.

სურათი ბოლოვდება ბიბიეიბათის ნავთის წყაროების გრანდიოზული ხანძარით. ხანძარის სცენაში მონაწილეობს სარეწაოების ყველაზე მძლავრი სახანძრო რაზმები. მთავარ როლებში არიან: შირაი, ესზეფი, ესიკოვსკი, კადორ-ბენ-სალიბა, გელოვანი, იაკობინი და ლიუქსი. სურათში გადაღებულია შირაის ხტომა, რომელიც არ ჩამოუვარდება ცნობილ ფერბენქსის ხტომით ვარჯიშობას. ოპერატორი დილმელი.

„სასჯელი“

ანუ აზერბეიჯანი II წარმოადგენს სურათს, რომელიც შეიცავს სარეწაოების რაიონში მოკლათებულ უცხოელთა მაიკის მოქმედების მხილებას, მათ გაქცევას და დაღუპვას საქართველოს სამხედრო გზატკეცილის უღელტეხილზე. სურათის უკანასკნელი ნაწილები გადაღებულია გუდაურის რაიონში, თოვლიან მწვერვალებზე, 8 ათას ფუტის სიმაღლეზე. სურათში მშვენივრად არის შეხამებული მთის ზამთრის პეიზაჟები; მონაწილეობენ ზემოხსენებული მსახიობნი; ოპერატორი დილმელი.

„ილლან - დილლი“

ანუ ველის ნესტარი. ამ ფილმის თემაა—„ეშმაკუნების“ საქმიანობა მშვიდობიან პირობებში —სწავლა-მეცადინეობა, ბრძოლა მუსულმანთა ცრუმორწმუნეობასთან. ამ ნიადაგზე იქმნება დრამატიული მომენტები: „ეშმაკუნების“ დატყვევება, მათი წაყვანა უდაბნო კუნძულ „ველის ნესტარზე“, მათი ხსნა. ფილმში დრამატიული მომენტები გადახლართულია კომიკურ მომენტებთან.

სურათის დაბოლოება ოპტიმისტურია და გაჟღენთილია ახალგაზრდობისადმი რწმენით და თანაგრძნობით.

მონაწილეობენ „წითელი ეშმაკუნები“ მსახიობები. ოპერატორი დილმელი.

ოთხივე სურათი ნახული და გასინჯული იქნა სახ. კინმრეწველ. სამხატვრო საბჭოს მიერ.

სურათების ჩვენება დაიწყება შემოდგომიდან მთელ საბჭოთა კავშირში ერთსა და იმავე დროს.

კომუნარების ბაღი

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება კომუნარების ბაღის გაფართოების მიზნით ხურავს კეცხოველის ქუჩის (ყოფილი ლორის მელიქოვის) ნაწილს, რომელიც ამჟამად გადის ჯორჯიაშვილის (ბარიათინის) ქუჩაზე მუშათა სასახლისაკენ და ყოფს ბაღს.

ამ გზის გაუქმებით ერთდება რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ბაღის ზედა პატარა ნაკვეთი ქვედა ნაწილთან. ამნაირად გაშენდება ერთი მთლიანი ბაღი.

ამ შეერთების გამო აღებული რკინის ღობეები გამოყენებული იქნება სხვა პატარა ბაღების შემოსაღობათ.

კეცხოველის ქუჩიდან ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გადასასვლელად (ე. ი. დახურ. ქუჩის ადგილზე) ბაღზე გაივლის საცალფეხო გზა აქეთ-იქედან ჭიშკრების დატოვების საშუალებით.

მეცნიერება და ტექნიკა

ჩანასახის განვითარების შესწავლა

ჰოლანდიელმა მეცნიერებმა ფოგელაარმა და ვენ-დერ-ბოოგერტმა, რომლებიც სამეცნიერო გამოკვლევებს ახდენენ ლეიდენის უნივერსიტეტში, აღმოაჩინეს კვერცხის განაყოფიერებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ქათმის ჩანასახის განვითარების შესწავლის საშუალება.

ისინი განსაკუთრებულ შუშის ლამბაქზე ათავსებდენ ქათმის ნორმალურ კვერცხს, მხოლოდ წინასწარ ანთავისუფლებდენ მას ნაჭუჭისაგან—სტოვებდენ მხოლოდ ნახევრად გამჭირვალე თხელ გარსს, რომელიც ქვეშიდან აკრავს კვერცხის ნაჭუჭს. შემდეგ ლამბაქს ათავსებდენ ინკუბატორში (მანქანა, რომელშიც ხელოვნურად იჩეკება წიწილები). 5 დღის განმავლობაში მეცნიერები თვალყურს ადევნებდენ ემბრიონის (ჩანასახის) განვითარებას. შემდეგ ემბრიონი იღუპებოდა, რადგან კვერცხი განთავისუფლებული იყო ნაჭუჭისგან და ჩანასახის განვითარება არანორმალურ პირობებში ხდებოდა.

დღემდი ქათმის განვითარების შესასწავლათ განაყოფიერებულ კვერცხს ტეხდენ სხვადასხვა ვადებში, ე. ი. კლავდენ ჩანასახებს.

შუშის ისტორია

შუშის წარმოების ტექნიკის შესწავლის დროს, ინგლისელმა მკვლევარებმა სხვათაშორის გამოაკვლიეს, რომ შუშის წარმოებას ადამიანები უეჭველს დროში იცნობდენ. არის ცნობები, რომ შუშის წარმოება განვითარებული იყო მდ. ეფრატის მიდამოებში და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში 4500 წლის წინედ. ეგვიპტეში შუშის დამზადების საიდუმლოებას დიდხანს ვერ იცნობდენ და შუშის საგნები შეჰქონდათ იქ აღმოსავლეთიდან. ასე გრძელდებოდა იმ დრომდი, სანამ ჩამოსულმა სირიელმა სპეციალისტებმა არ შეასწავლეს ეგვიპტელებს შუშის წარმოება.

გვირაბი მდინარის ქვეშ

ნიუ-იორკში ამთავრებენ ორი გვირაბის გაყვანას მდ. გუძონს ქვეშ. ეს გვირაბები შეართებენ მანჰატანს (ნიუ-იორკის ცენტრი) ჯერსი-სიტისთან. ამ გვირაბებით მოეწყობა საავტომობილო მიმოსვლა და მათ უნდა გასწონ იმ მრავალრიცხოვან ბორანების მაგიერობა, რომლებითაც ამჟამად მდ. გუძონის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადააქვთ-ავტომობილები.

გვირაბების სიგრძეა 1321 საჟენი, ე. ი. 2½ ვერსზე მეტი. აქედან 720 საჟენი მდინარის ქვეშ არის გაყვანილი.

გვირაბები პარალელურათ არის გაყვანილი. თითეული გვირაბი დანიშნულია მოძრაობისათვის მხოლოდ ერთი მიმართულებით. ქვაფენილის განი უდრის 3 საჟენსა და 1 ფუტს, რაც საკმაო ორი საბარგო და ერთი მსუბუქი ავტომობილის მოძრაობისათვის. გარდა ამისა, ქვაფენილის ერთ მხარეს, გაკეთებულია ფილაქანი ფეხით მოგზაურობისათვის. გვირაბი ელექტრონით არის განათებული.

საათში გვირაბში შეუძლია გავლა 3800 ავტომობილს.

გვირაბების აშენებაზე დაიხარჯა 115.000 ტონა (ტონა—62 ფუთი) რკინა და 130.000 ტონა ცემენტი. წინასწარი გეგმით, გვირაბების გათხრისათვის გადადებული იყო 29 მილიონი დოლარი, ნამდვილათ კი მათი აგება დაჯდა 49 მილიონი დოლარი, ე. ი. თითქმის 100 მილიონი მანეთი.

ჰამბურგი—ნიუ-იორკი 36 საათში

ცნობილმა გერმანელმა კონსტრუქტორმა რუმპლერმა საჯაროთ გამოსცადამოდელი ახალ სამგზავრო აეროპლანის, რომლითაც 36 საათის განმავლობაში შეიძლება გადაფრენა ევროპიდან ამერიკაში.

აეროპლანზე დადგმული იქნება ათი ათასძალიანი მოტორი. აეროპლანს ექნება აგრეთვე 10 პროპელერი (საჰაერო ხრახნილი).

საათში აეროპლანი გაივლის 270 ვერს, შესძლებს 30 მგზავრის წაყვანას და 360 ფუთი ბარგის წაღებას.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 38

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

თამასუქის დებულების მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ

თამასუქის დებულების 12 მუხლის (კან. კრებ. 1925 წ. 1-ლი №-რით, მუხ. 7) შესაცვლელად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

თამასუქის დებულების მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით.

12. პროტესტის მოსახდენად თამასუქის პატრონმა თამასუქი უნდა წარუდგინოს სანოტარო ორგანოს, ხოლო უკეთუ, იმ ადგილას, სადაც თამასუქით ფული უნდა გადაიხადოს, ასეთი ორგანო არ არის,—სახალხო მოსამართლეს—მეორე დღის იმ ვადის გასვლისას, რა ვადაშიდაც თამასუქის გამცემმა გადახდა იკისრა. ორი დღის განმავლობაში თამასუქის ვადის დადგომის შემდეგ სანოტარო ორგანომ ან სახალხო მოსამართლემ პირადად ან წერილობით უნდა მოსთხოვოს თამასუქით—ვალდებულ პირებს გადახდა, და, უკეთუ მესამე დღის თამასუქის ვადის დადგომის შემდეგ, 15 საათამდე თამასუქით ფული არ იქნება გადახდილი, სანოტარო ორგანომ ან სახალხო მოსამართლემ იმავე დღეს უნდა მოახდინოს თამასუქის პროტესტი განსაკუთრებულ რეესტრში ჩაწერით და თვით თამასუქზე აღნიშვნით.

შენიშვნა: უკეთუ გამოურკვეველია თამასუქით—ვალდებული პირის საცხოვრებელი ადგილი ან და უკეთუ იგი იმ ადგილას არ იმყოფება, სადაც თამასუქით ფული უნდა გადახდილიყო, თამასუქის პროტესტი მოხდება ფულის გადახდის მოუთხოვნელად, და ამასთანავე, იმის საფუძველი, თუ რატომ არ იყო გადახდა მოთხოვნილი, აღინიშნება როგორც განსაკუთრებულ რეესტრის ჩანაწერში პროტესტის შესახებ, ისე თვით თამასუქზე გაკეთებულ შენიშვნაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თოდრია.**

1926 წ. ივნისი.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 37

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 101—1 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 101—1 მუხლი შემდეგი შინაარსისა.

101—1. „დადგენილი წესით მომქმედი საკრედიტო დაწესებულების ისეთი მოთხოვნა, რაც გირაოთია უზრუნველყოფილი, უკეთუ მოვალის სხვა ქონება საკმარისი არ იქნება, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაგირავებული ქონების ღირებულებიდან უპირატესად ყველა სხვა პრეტენზიისა, გარდა: ა) იმ პრეტენზიისა, რაც გამომდინარეობს სამუშაო ხელფასიდან, სოციალური დაზღვევიდან და ალიმენტებიდან და ბ) დაგირავებულ ქონებაზე დადებული საქციზო გადასახდელისა, უკეთუ ეს ქონება დაგირავებულია იმ დროს, როდესაც იგი წარმოების ადგილას იყო, საბაჟისო საწყობში ან და საბაჟოში.

შენიშვნა: 1. საქციზო გადასახდელი დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაგირავებულ ქონებიდან უპირატესად, ვიდრე საკრედიტო დაწესებულების მოთხოვნა, მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რაც აღნიშნულია სათანადო საფინანსო ორგანოსაგან საკრედიტო დაწესებულების მიერ მიღებულ ცნობაში საქციზო გადასახდელის იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ედვა დაგირავებულ ქონებას დაგირავების მომენტის დროს.

შენიშვნა: 2. ამა მუხლის წესი არა სპობს რკინისგზის უფლებას, რაც დამყარებულია რკინისგზების წესდებით 68 მუხლზე (ს. ს. რ. კ. კან. კრებულ. 1925 წ. 84 №-რი, მუხ. 630).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თოდრია.**

1926 წ. ივნისი.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვიღებ პერსონალურად ხელფასის ჯამაგირს 100 მან. თვეში. ოთახის ქირას მთხოვს საბინაო ამხანაგობის გამგეობა კვ. არშინზე 20 კაპ. გთხოვთ ახსნა-განმარტებას—რამდენი უნდა ვიხადო 47 კვ. არშინზე ოთახის ქირა.

უ. ჯაში.

პასუხი

თანახმად არსებულ საბინაო ტარიფისა, თქვენ როგორც ხელფასის განაკვეთით (არა უმეტეს 175 მანეთისა თვიურად) მიიღებთ საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირად იხდით თერთმეტ კაპეიკს. (11 კაპ.)

მიიღება თუ არა ორკვირეული შვებულება

კითხვა

მე ვმუშაობ ქ. თბილისის ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში. კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად ჩვენ გვეძლევა თვიური მორიგი შვებულება 11 თვის განუწყვეტლივი მუშაობისათვის. ასეთი შვებულება მე მერგებოდა მიმდინარე წლის 7 იანვრიდან და მივიღე კიდეც. ა. წ. ივლისის 15-დან მინდა მივიღო ორი კვირეული შვებულება, რადგანაც უკანასკნელად შვებულებიდან დაბრუნების (ე. ი. 7 თებერვლიდან) შემდეგ მიმუშავნია განუწყვეტლივ 5½ თვე.

ადმინისტრაცია კი ასეთ შვებულების მოცემაზე უარს მეუბნება. გთხოვთ განმარტებას, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?

ტრ. გ—ძელი.

პასუხი

ადმინისტრაცია მართალია. მორიგი შვებულება, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ისა, მუშა-მოსამსახურეთ საკალენდრო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ეძლევათ მორიგი შვებულება 6 თვის განუწყვეტლივ მუშაობისათვის არა ნაკლები ორი კვირის ხანგრძლივობით. თქვენ კი მორიგი შვებულება მიმდინარე საკალენდრო წელს მიღებული გაქვთ და მეორეჯერ ვეღარ მიიღებთ, რადგანაც თქვენ ასეთი არ გეკუთვნით.

პარტიული კალენდარი

— „რემედას“-ის [illegible] ნება, რომ [illegible] საათზე პლეხანოვის [illegible] შესდგება ლენინის [illegible] საერთო რაიონული კრება.

აუცილებლად უნდა დაესწრონ „რემედასის“ ყველა წევრები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, ოთხშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგება გაფართოებული პლენუმი კომპარტიის მეორე რაიონის უჯრედების მდივნების თანდასწრებით.

აუცილებლად დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ რაიკომის ყველა წევრები და კანდიდატები, აგრეთვე პარტუჯრედთა მდივნები, ბიუროების წევრები და კომკავშირის უჯრედთა მდივნები.

საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ხუთშაბათს 15 ივლისს, დილის 9 საათზე შესდგება ტ. კ. ეკონომ-კომისიის სხდომა. დასწრება ყველა წევრებისათვის და პროფკავშირთა წარმომადგენლებისათვის სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს, რომ პარასკევს, 16 ივლისს ერთიან პარტიულ დღისთვის დაამუშაონ პარტიის შეცვლილი წესდება.

(„პრავდა“ № 140 (3369) 1926 წლის 20 ივნისიდან).

(„კომუნისტი“ № 144 (1599) 26 ივნისიდამ და № 145 (1600) 27 ივნ.

დღეს, 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე საქ. რემედასის შენობაში შესდგება რემედასის ც. კ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის სავალდებულოა:

ჩოდრიშვილი, იმედაძე, ბელიაევი, არაზაშვილი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენელიძე, გუდავაძე, ჭელიძე, კიზირია, ნუცუბიძე, შარაშენიძე და ხომერიკი.

მეუღლე ნინა დედ-მამა დიმიტრი და ტასო, სიმამრი იაგორი და სიდედრი ბაბილინე, ძმები ვასო, ალექსანდრე, ბიქტორი, ვარლამი და კოლია, და ანიჩკა, სიძე ლადო, ცოლის ძმები იოსები, ტიტიკო, ვარდენი და ნოე, ცოლის დები მარუსია და ფაცია, ქვისლები აკაკი და კოლია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი ძვირფასი

გიორგი (გოგი) დიმიტრის ძე ბურდულის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 15 ივლისს ქალ. ხაშურში დღის 3 საათზე. ქ. 3114

სრულიად საქართველოს ცაკის საქმეთა მმართველობის კანცელარიის თანამშრომლები მწუხარებით აცხადებენ ცაკის თანამშრომლის, უძვირფასესი მეგობრის და პატიოსანი მუშაკის

ამხ. არჩილ ნესტორის ძე მაჭარაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2—1 ქვ. 3115

---

13 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

არჩილ ნესტორის ძე მაჭარაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მისს თანამოსამსახურეებს გულდამწვარნი მშობლები ნესტორ და ეკატირინე, მეუღლე მარიამ ფილიპეს ასული, ძმები: ვასო, კოტე და ლეო; დები; ელენე და თამარი, რძლები: ნინო, კატო და სიძე კოლია სულიკაშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე მამადავითის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 15 ამა თვეს 4 საათზე. წირვა და ანდერძი 12 საათზე 2—1 ნ. 1554

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნოლეი
ნ. 1446 0—10

დიდი სურათი
რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ვინც იღებს ბილეთს კინოში—ბაღში შესვლისათვის არ იხდის.
ანონსი ჩქარა „ქალი ნილაბში“.
პირველად თბილისში დიდი სურათი
კოვანკოს, კოდინის და ანჯელოს მონაწილეობით
„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“
ტურგენევის რომანის მიხედვით.
პრემიერა
„ზღვის და კლდის პირად“
შემდეგი პროგრამა
საზღვარგარეთო ხანჯალი ედდი პოლოს მონაწ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს

საქმეთა მმართველობისაგან

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობასთან **დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ქართული შრიფტის რეფორმის განხორციელება** გადასაწერ მანქანებისათვის.

ახალი შრიფტი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნახაზით, შეკვეთილ იქნება გერმანიაში.

შრიფტის სანიმუშო კომპლექტების მიღებისა და მოწონების შემდეგ საქართველოს სსრ დაწესებულებათა გადასაწერ მანქანების ახალი შრიფტის მიხედვით გადაკეთებას ხელმძღვანელობას გაუწევს ერთი რომელიმე ორგანიზაცია.

ამისათვის ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას ევალება, ვიდრე ხსენებულ კომისიას მუშაობა არ დაუსრულებია, შეაჩერონ გადასაწერ მანქანების გადაკეთება.

1558 **საქ. სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.**

საქც. საზ.-ბა „ქართული მარგანეცი“
აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვისაც სურს აიღოს თავის თავზე
500 კუბ. საჟ. შეშის მიწოდება
რომ ამ. თ. 15 რიცხვამდე შემოტანილ უნდა იქნეს წერილობითი განცხადებები საზ.-ბის მთავარ კანტორაში, ჭიათურაში
მიწოდების პირობები: მაგარი ჯიშის შეშა 24 ვერშოკიანი, სატყეო დაწყობით, ჩაბარებით ფრანკო-ვაგონი ჭიათურა
ჩაბარების ვადა: 2 თვის განმავლობაში დღიდან [illegible]
ანგარიშის გასწორება: ნაღდათ ჭიათურაში შეშის მიღებისთანავე.
2—1 ნ. 1556

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს რწმუნებულათ ოზურგეთსა და მის მაზრაში
ინიშნება
ეპიფანე ცეცხლაძე
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“, „მუშაზე“ და „ახალი სოფელზე“
0—1 გაზ. „კომუნისტ“-ის მთავარი კანტორა

გაზეთ
„კომუნისტის“ „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“
რწმუნებულად ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ხემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი“ „მუშა“ და „ახალი სოფლის“ მთავარი კანტორები

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურლანოვის ქ., № 20 50—3

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს**, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

სასამართლოს აღმასრულებელი თელავის უბნისა გ. ზ. ყარასაშვილი

ამით აცხადებს, რომ 22 ივლისს, შუადღის 12 საათზე, ქ. თელავში, მღებრების ქუჩაზე № 10 გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, მაღლა სართული შემდგარი ორი ოთახისაგან აივნით; დაბლა სართული—ერთი ოთახი, გვერდზე მიდგმული მარნით, კუთვნილი ზაქარია, ნატალია და სვიმონ ზუკაკოვებისა, შეფასებულია რვაას (800) მანეთად დასაკმაყოფილებლად ვალისა ზაქარია დაგუნდარიძისა. ვაჭრობა დაიწყობა შეფასებიდან და მოხდება 310—313 მუხ. სამ. სას. საპრ. კოდექ. ივნისის 30 დღესა 1926 წ. 3121

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 20 ივლისს, 1926 წელსა დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩაზე, ადგილობრივ, იოსებ ოქროპირისძე მუშკუდიანის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება ხსენებული იოსებ მუშკუდიანის უფლება ნახევარი ნაწილი ხის სახლზე, მდებარე ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩაზე დაფას. 400 მანეთ., ანტონ მანაგაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ვაჭრობა დაიწყება 400 მანეთიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სამართველოში. ნ. 1557

ქუთაისის 1ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქუთაისში, მახარაძის ქუჩის 1 შესახვევი, სახლი № 4 დანიშნულია 26 ივლისს, 1926 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** სამსონ შალამბერიძის შენობის ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის ოთხი ოთახიანი, ორი სამზარეულოთი და ერთი საწყობის გაყიდვაზე. შეფასებულის 1200 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამხ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1557

ქ. თბილისის 2-რე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივლისს, 1926 წ. დღის 12 საათზე, სახლში № 20 რეუტოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბოლდან ჯანფულადოვის მოძრავ ქონებას: ჭურჭეულობის შკაფს, ხალიჩებს და სხ. საოჯახო მოწყობილებებს შეფასებულს 185 მანეთად, ქ. თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 2 ივნისი, 1926 წ. თარიღით. № 3193 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3113

ქ. თბილისის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივლისს, 1926 წ. დღის 1 ნახ. საათზე სახლში № 60 კახეთის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გეურქა, მარიამი და ელისაბედ პოლოსოვის უძრავ ქონებას: რომელიც შესდგება ორ სართულიანი სახლისაგან და შეიცავს 13 ოთახს შეფასებულს 1500 მანეთად, რადგან მეორეთ ხდება ვაჭრობა, დაიწყება შემცირებულ ფასით კომუნ. ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან მაისის 1926 წ. თარიღით, № 4024 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ცნობა თანახმად სამ. სამ. კოდ. 311 მუხ. და შენობის ღირებულობის 10 პროც. საწინდარი. ნ. 1555

ქ. თბილისის 2-ე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 17 ივლისს, 1926 დღის 12 საათზე, სახლში № 11 სოლოლაკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არსენ გოგოლაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას შეფასებულს 125 მანეთად, ფილიპე ოჩიგავას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად, ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 ივლისის, 1926 წ. თარიღით, № 2170 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 3120

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებული პ. ბ. ერისთავი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 14 ივლისს, 1926 წ. დღით ოთხშაბათს, დილის 12 საათზე, თანახმად დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს, აღმასრულებელი ფურცლისა 22 მაისს, 1925 წ. № 11.289 დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** ქალ ხონში გაყიდვა ქონების მც. ქალ. ხონში მოქალაქე ივანე ფირანისძე ჩხენკელისა დასაკმაყოფილებლად მოქალ. ერმილე სიმონისძე ძიძიგურისა 1600 მან. ხსენებული ქონება მდებარეობს ქალ. ხონში და შეიცავს შემდეგს: 1. ცხრა სკამს, 2. ერთ პატარა მაგიდას, 3. ერთ პლიუშის სტოლსაფარს, 4. ერთ დიდ ლამპას, 5. ერთ დიდ დასაკიდებელ ზალის ლამპას, 6. ერთ პატარა მრგვალ მაგიდას, 7. ერთ კიდლის ნოხს, 8. ერთ კუშეტკას თავის „ჩეხოლით“, 9. ერთ გრამაფონს პლასტინკებით, 10. ერთ საწერ მაგიდას, 11. ერთ დიდ საშალ სასადილო მაგიდას, 12. ერთ კუშეტკას, 13. ერთ ფარდაგს, 14. ერთ ბუფეტის შკაფს, 15. ერთ რკინის საწოლს, 16. ხუთ ბამბუკის სკამს, რომლებიც არის შეფასებული 103 მანეთად. ვაჭრობა მოხდება შეფასებიდან, ნივთების ნახვა შეიძლება ვაჭრობის დროს. 3122

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

პროფ. გ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი პლეხანოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9.

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—13

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარის საალრიცხვო ფურცელი, მოცემული ბანძის რაიონის (სენაკის მაზრა) ბიქტორ შარვაშიძე ზაქარიას სახელზე, ჩ. გ. 3121

დაიკარგა დროებითი შვებულების მოწმობა ევსევი გიორგისძე გოდუაძის სახელზე, ჩ. გ. 1557

დაიკარგა პირადობის და სიღარიბის მოწმობები. მარია ნადიროვის სახელზე, ჩ. გ. 3119

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ალექსანდრე ივანესძე კოჩლავაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3116

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 16 კონსტანტინე ალექსანდრესძე ჩეჩელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3117

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ბათომის მე-3 სამილიციო უბნის მიერ ირაკლი იოსებისძე მელაძის სახელზე, ჩ. გ. 3118

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 23427 მოცემული სამტრედიის [illegible] მიერ გიორგი სერგისძე ქანდარიას სახელზე, ჩ. გ. 3095

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, ქამოს ქუჩა, 68